

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Faculty of Humanities



## XII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია

მიძღვნილი პირველი ქართული უნივერსიტეტის  
დაარსების 100 წლის იუბილესადმი

## XII FACULTY SCIENTIFIC CONFERENCE

Commemorating the 100th Anniversary of the First Georgian University

# თ ე ზ ი ს ე ბ ი BOOK OF ABSTRACTS

ივნისი 13-14 June

თბილისი 2018 Tbilisi

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Faculty of Humanities

**XII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია**  
მიძღვნილი პირველი ქართული უნივერსიტეტის  
დაარსების 100 წლის იუბილესადმი

**XII Faculty Scientific Conference**

Commemorating the 100<sup>th</sup> Anniversary of the First Georgian University

თეზისები  
Book of Abstracts

ივნისი 13-14 June  
თბილისი 2018 Tbilisi

**საორგანიზაციო კომიტეტი:**

პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი

პროფესორი თედო დუნდუა

პროფესორი თეიმურაზ პაპასქირი

ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ნავროზაშვილი

ასოცირებული პროფესორი ირინე გველესიანი

**Organizing Committee:**

Professor Nana Gaprindashvili

Professor Tedo Dundua

Professor Teimuraz Papaskiri

Assoc. Professor Ekaterine Navrozashvili

Assoc. Professor Irine Gvelesiani

**რეგლამენტი:**

მოხსენება პლენარულ სხდომაზე – 20 წუთი

მოხსენება სექციის სხდომაზე – 15 წუთი

დისკუსია – 5 წუთი

სამუშაო ენა ქართული

**Time Limit:**

Presentation at the plenary session – 20 minutes

Presentation at the section meeting – 15 minutes

Participation in discussions – 5 minutes

Working language – Georgian

## შინაარსი/Contents

<b>მარინე ალექსიძე</b> ექსპრესიული სინტაქსური კონსტრუქციები რუსული და ქართული ენების სამეცნიერო დისკურსში .....	9
<b>Marine Aleksidze</b> Expressive Syntactic Constructions in Russian and Georgian Scholarly Discourses.....	10
<b>მარინა ანდრაზაშვილი, ნატა ბესელია</b> კლიპურ-კომიქსალური აზროვნების მანერა და მისი გამოვლენის ფორმები ტექსტში.....	11
<b>Marina Andrazashvili, Nata Basilaia</b> Clip-comics Thinking Method and Forms of Indication in Text.....	12
<b>თამარ ანთაძე</b> ვარლამ ჩერქეზიშვილი ჯოზეფ ჩემბერლენზე და სერ არტურ ბალფურზე .....	12
<b>Tamar Antadze</b> Varlam Cherkezishvili on Joseph Chamberlain and Sir Arthur Balfour .....	13
<b>ციური ახვლედიანი, ქეთევან გაბუნია</b> კონცეპტ „სივრცის“ ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკა / ფრანგული და ქართული სივრცითი თანდებულების მასალაზე.....	13
<b>Tsiuri Akhvlediani, Ketevan Gabunia</b> National-Cultural Specifics of Concept “Space”/On the material of the prepositions denoting space .....	14
<b>ცირა ბარამიძე</b> მორფოსინტაქსური კონსტრუქციების ურთიერთმიმართებისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში.....	14
<b>Tsira Baramidze</b> Morphosyntactic Constructions of labiality in the Iberian-Caucasian languages .....	15
<b>ხათუნა ბასილაშვილი</b> მხატვრული ტექსტის აღქმის რეცეფციული მოდელები .....	16
<b>khatuna Basilashvili</b> Receptive Models of Literatry Text Perception.....	17
<b>ოთარ ბაკანიძე</b> კულტურათამორისი ურთიერთობების ახალი ფორმები და მეთოდები (1960-იანი წლები) .....	17
<b>Otar bakanidze</b> New forms and Methods of Intercultural Cimmunications (1960s) .....	18
<b>მიხეილ ბახტაძე</b> გენერალი ვარდენ წულუკიძე .....	18
<b>Mikheil Bakhtadze</b> General Varden Tsulukidze .....	19
<b>ნანა გაფრინდაშვილი</b> კოლონიალიზმის ფაქტორი ოჯახისა და მწერლის ბედის განსაზღვრაში (ტიტე და გივი მარგველაშვილების მაგალითზე).....	20
<b>Nana Gaprindashvili</b> Factor of Colonialism in Determining the Fate of a Family and a Writer (On the Example of Tite and Givi Margvelashvili)	
<b>თამარ გელაშვილი</b> ანა ლივია პლურაბელი, როგორც კულტური სამსახოვანი ღვთაება, ჯეიმზ ჯოისის რომანში „ღამისთევა ფინეგანისათვის“ .....	22
<b>Tamar Gelashvili</b> Anna Livia Plurabelle, as the Celtic Triple Goddess, in James Joyce’s “Finnegans Wake” .....	23

<b>მანანა გელაშვილი</b>	
„ითაკას“ მხატვრული თავისებურებები და მისი ადეკვატური თარგმანის პრობლემა .....	23
<b>Manana Gelashvili</b>	
Characteristic Features of “Ithaca”, and the Problem of its Adequate Translation into Georgian .....	24
<b>ნანა გელაშვილი</b>	
იაპონიის პოლიტიკური გაერთიანება (1573-1603) .....	25
<b>Nana Gelashvili</b>	
Japan's Political Unification (1573-1603) .....	26
<b>ზაალ გოგენია</b>	
„ესპანეთის საკითხი“ და საბჭოთა კავშირის პოზიცია 1945-1946 წწ. ....	26
<b>Zaal Gogenia</b>	
The Spanish Question and the Soviet Position in 1945-1946 .....	27
<b>ია გრიგალაშვილი</b>	
ქრისტიანთა თემი „წმინდა კოლაელ ყრმათა წამებაში“ .....	28
<b>Ia Grigalashvili</b>	
Christian Community in the "Martyrdom of the Nine Children of Kola " .....	29
<b>ნანა გულიაშვილი</b>	
მითი ფილოსოფიურ კონცეფციებში .....	29
<b>Nana Guliashvili</b>	
Myth in Philosophical Concepts .....	30
<b>მაია გურგენიძე</b>	
მოკლე შეტყობინებების ენა და თანამედროვე ინგლისური ენის განვითარების თავისებურებანი .....	31
<b>Maia Gurgenidze</b>	
About some peculiarities of the SMS language in Modern English .....	31
<b>მარიამ გურგენიძე</b>	
ქრისტიანიზაციის პროცესის თავისებურებები სკანდინავიაში .....	32
<b>Mariam Gurgenidze</b>	
Peculiarities of Christianization Process in Scandinavia.....	33
<b>როზეტა გუჯეჯიანი</b>	
სოლიდარობის ტრადიციული ფორმები საქართველოში (სვანეთის რეგიონი) .....	33
<b>Rozeta Gujejiani</b>	
Traditional forms of solidarity in Georgia (Svaneti region).....	34
<b>ნინო ბაგრატიონ-დავითაშვილი</b>	
ქართული ზმნის სალექსიკონო ერთეულის განსაზღვრისათვის ორენოვან ლექსიკონებში .....	35
<b>Nino Bagration-Davitashvili</b>	
On the Definition of a Dictionary Unit of a Georgian Verb in Bilingual Dictionaries.....	36
<b>თედო დუნდუა</b>	
ახალი ეპიგრაფიკული და ნარატიული წყაროები ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიისათვის ...	36
<b>Tedo Dundua</b>	
New Inscriptions and Narrative about Georgia in Antiquity.....	37
<b>ნინო ეჯიბაძე</b>	
ერთი თანამედროვე ტენდენციის შესახებ არაბულში .....	37
<b>Nino Ejibadze</b>	
On One Modern Tendency in Arabic.....	38
<b>სარდიონ ზედელაშვილი</b>	
კავკასიის ალბანეთში ქრისტიანობის გავრცელების საკითხისათვის .....	38
<b>Sardion Zedelashvili</b>	
Towards the Issue of the Spread of Christianity in Caucasian Albania .....	39

<b>აპოლონ თაბუაშვილი</b>	
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში .....	40
<b>Apolon Tabuashvili</b>	
Prices on the Commodities in Feudal Georgia .....	40
<b>ლერი თავაძე</b>	
ორუჯუქის ციხე ისტორიულ ტაოში.....	41
<b>Leri Tavadze</b>	
Orujuk Fortress in Historical Tao.....	41
<b>მაია თუხარელი</b>	
ძველი რუსული საბავშვო ლიტერატურა .....	42
<b>Maya Tukhareli</b>	
The Old Russian Children’s Literature .....	42
<b>მერაბ კალანდაძე</b>	
საქართველოში იაკობინელთა დიქტატურის გაშუქების საკვანძო მომენტები.....	43
<b>Merab Kalandadze</b>	
The Main Stages of Coverage of Jacobin Dictatorship in Georgia.....	43
<b>დალი კანდელაკი</b>	
ცნობები საქართველოს შესახებ ჟურნალ „ვესტნიკ ევროპის“ ფურცლებზე .....	44
<b>Dali Kandelaki</b>	
Notices about Georgia on the pages of magazine “Vestnik Evropy” .....	45
<b>ვლადიმერ კეკელია</b>	
მულტიკულტურული ვარიაციების ანარეკლი 11-14 სს. სომხურ ეპიგრაფიკაში.....	45
<b>Vladimer Kekelia</b>	
Reflection of Multicultural Variations in the Armenian Epigraphy of the 11th-14th cc. ....	46
<b>სალომე კენჭოშვილი</b>	
იტალიური მიგრანტული ლიტერატურის განვითარების ეტაპები და თავისებურებანი .....	46
<b>Salome Kenchoshvili</b>	
The Periods and Features of the Development of Italian Migrant Literature.....	47
<b>შოვნა კვანტალიანი</b>	
მიცვალებულის კულტი და ხალხური სიტყვიერება (მეგრული მასალების მიხედვით) .....	48
<b>Shovna Kvantaliani</b>	
The Cult of Dead and the Oral Folklore (According to Megrelian Materials) .....	48
<b>ზვიად კვიციანი</b>	
უნიკალური საიუველირო არტეფაქტი სვანეთიდან (ბრინჯაოს ამბოსი) .....	49
<b>ჯონი კვიციანი</b>	
ადამიანის მრავალდონიანი იდენტობის ფორმირება კავკასიაში – რეგიონის ინტეგრაციის ფაქტორი .....	50
<b>Joni Kvitsiani</b>	
Multilevel Identity Formation of Human in the Caucasus – Regional Integration Factor.....	51
<b>მაია ლომია</b>	
უ-პრეფიქსიან ლექსემათა სემანტიკური განაწილების საკითხი მეგრულში.....	52
<b>Maia Lomia</b>	
On Semantic Distribution of the Lexemes with u- Prefix in the Megrelian Language .....	52
<b>ხვთისო მამისიმედიშვილი</b>	
საკრალური სიმბოლოები და ქრისტიანული კულტურის ელემენტები ნართების ეპოსის ჩეჩნურ და ინგუშურ ვერსიებში .....	52
<b>Khvtiso Mamisimedishvili</b>	
Sacral Symbols and Elements of the Christian Culture in the Chechen and Ingush versions of the Nart epos ....	54

<b>ქეთევან მარგიანი</b> კვლავ სვანური ენის კოდორული მეტყველების სტატუსისთვის.....	54
<b>Ketevan Margiani</b> Again on the Status of Kodori of the Svan Language .....	55
<b>ანა მაღლაკელიძე</b> დიმიტრი ერისთავის მხატვრობა ოთარ იოსელიანის ფილმში „იყო შაშვი მაგლობელი“ .....	56
<b>Ana Maghlakelidze</b> Dimitri Eristavi’s Painting in Otar Ioseliani’s Movie “Once upon a Time there was a Singing blackbird” .....	57
<b>მარია მშვილდაძე</b> ქურციკისგამოსახულებიანი საბეჭდავები ფიქრისგორის სამაროვნიდან.....	58
<b>Marika Mshvildadze</b> Seals with the image of a gazelle from Piquisgora Tombs.....	58
<b>ივანე მჭედლაძე</b> პოსტკოლონიური უკრაინა საბჭოთა რეალობასა და დესოვიეტიზაციას შორის: ევრომაიდნის, როგორც სოციოკულტურული ფენომენის, რეფლექსია მხატვრულ ლიტერატურაში.....	59
<b>Ivane Mchedladze</b> Postcolonial Ukraine Between Soviet Realism and Desovietization : Reflections on Euromaidan as Socio-cultural Phenomenon in Literature.....	60
<b>ეკატერინე ნავროზაშვილი</b> მულტიკულტურალიზმი, როგორც ლიტმცოდნეობითი პროცესი (გერცელ ბააზოვი) .....	60
<b>Ekaterine Navrozashvili</b> Multiculturalism as a Process in Literature Studies (Gertsel Baazov).....	61
<b>მერი ნიკოლეიშვილი</b> ძირითადი და არაძირითადი პირის მორფო-სინტაქსური მნიშვნელობისათვის.....	61
<b>Meri Nikolaishvili</b> On the meaning of Morpho-syntaxes of the Basic and Non-basic Person.....	62
<b>მურმან ჰაპაშვილი</b> ქართულ-რომაული ეკლესიების „გაყრის“ დროისა და უნიის პროცესის ახლებური ინტერპრეტაცია .....	62
<b>Murman Papashvili</b> New Interpretation of the Time of the "Divorce" and Unification Process of the Georgian-Roman Churches.....	63
<b>ნინო პოპიაშვილი</b> ალეგორია განმანათლებლობის ეპოქის ლიტერატურაში.....	64
<b>Nino Popiashvili</b> Allegory in Literature of the Age of Enlightenment .....	65
<b>ნიკოლოზ ჟგენტი</b> ახლად გამოვლენილი ეპიგრაფიკული მასალა დმანისის ნაქალაქარიდან და მისი მნიშვნელობა დმანისის დედაციხის საეკლესიო-არქიტექტურული კომპლექსის ქრონოლოგიისათვის .....	65
<b>Nikoloz Zhgenti</b> Newly Revealed Epigraphic Materials from Dmanisi Old City and Their Meaning for the Chronological Issues of Dmanisi Citadel’s Church-Architectural Complex .....	66
<b>ინგა სანიკიძე</b> ანანურისა და წარმართული ღვთაების – „აინინას“ – დაკავშირებისათვის .....	67
<b>Inga Sanikidze</b> For relation of Ananuri and the Pagan Deity - “Ainina” .....	68
<b>თენგიზ სიმაშვილი</b> საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სამინისტრო და სწრაფვა დასავლური განათლებისკენ .....	69

<b>Tengiz Simashvili</b> According to archival materials, several hundred young people were sent abroad by the Ministry of Education of the Democratic Republic of Georgia.....	69
<b>ნესტან სულავა</b> ჰაგიოგრაფი და ჰიმნოგრაფი, როგორც ერის სულიერი წინამძღოლი .....	70
<b>Nestan Sulava</b> Hagiographer and Hymnographer as a Spiritual Leader of the Nation.....	71
<b>მამია სურმავა</b> ღმერთის ონტოლოგიური დასაბუთება-კრიტიკული რეფლექსია .....	72
<b>Mamia Surmava</b> Critical Reflection on the Ontological Proof of God.....	72
<b>თეა ფეტელავა, ნინო აბრალავა</b> ევროპული გამოცდილება და პრაქტიკაზე ორიენტირებული განათლება .....	73
<b>Tea Petelava, Nino Abralava</b> European Experience, Practice oriented Education.....	73
<b>ნინო ქავთარაძე</b> ფილოსოფიური ზღაპარი .....	73
<b>Nino Kavtaradze</b> A Philosophical Fairy Tale.....	74
<b>თეა ქარჩავა</b> მიქელე მემბრე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ.....	75
<b>Tea Karchava</b> Michele Membré and his notifications about Georgia .....	76
<b>რამაზ ქურდაძე</b> ერთი არაბული სიტყვის შესახებ ქართულ და რუსულ გვარ-სახელებში .....	76
<b>Ramaz Kurdadze</b> On One Arabic Word in Georgian and Russian Names and Surnames .....	77
<b>აკაკი ყულიჯანიშვილი</b> მულტიკულტურული სამყარო და კულტურის პოლიტიკა .....	77
<b>Akaki Kulidjanashvili</b> Multicultural World and Cultural Policy.....	78
<b>გიორგი ყუფარიძე, ციური ახვლედიანი</b> ფრანგულ და ინგლისურ ფრაზეოლოგიზმთა დეკოდირების თავისებურებანი .....	78
<b>Giorgi Kuparadze, Tsiuri Akhvlediani</b> Decoding Peculiarities of French and English Historical Phraseologisms .....	79
<b>ფატი მეყლაშვილი</b> ახალგაზრდული ორგანიზაციები გერმანიაში XX ს-ის 90-იან წლებში .....	80
<b>სოფიო ჩხატარაშვილი</b> ნიკოლოზ ბარათაშვილის რეცეფცია მიკოლა ვინგრანოვსკის პოეზიაში.....	81
<b>Sophio Chkhatarashvili</b> Reception of Nikoloz Baratashvili in the Poetry of Mykola Vyngranovski .....	82
<b>ლელა ციხელაშვილი</b> ანისის „ქართული ეკლესიის“ კათალიკოს-პატრიარქ ეტიფანეს წარწერის (1218 წ.) ენობრივი თავისებურებანი.....	82
<b>Lela Tsikhelashvili</b> The Linguistic Peculiarities of Anisi „Georgian Church“ Inscription (1218) by Catholicos-Patriarch Etiphane .....	83
<b>ნინო წერეთელი</b> ფოტოხელოვნება და ლიტერატურა: ნაპეღბაუმები .....	84



---

<b>Nino Tsereteli</b>	
Photography and Literature : the Nappelbaums .....	84
<b>ლელა ხაჩიძე</b>	
კოზმა იერუსალიმელი – „ვნების შვიდეულის საგალობლები“ .....	85
<b>Lela Khachidze</b>	
Kosmas of Jerusalem - "Hymns of the Holy Week" .....	85
<b>ზაზა ხინთიბიძე</b>	
კლასიკური ტრადიციის პაროდირებული ალუზია, როგორც კომპოზიციური ფუნქცია რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ .....	85
<b>Zaza Khintibidze</b>	
The case of a Parodic Allusion to the Classical Tradition, as a Function of the Composition in "The Man in a Panther Skin" by Rustavlei.....	86
<b>ლალი ქეცბა-ხუნდაძე</b>	
ეპისტოლური დისკურსის ზოგიერთი თავისებურების შესახებ ლინგვისტიკის პერსპექტივიდან .....	86
<b>Lali Ketsba-Khundadze</b>	
Some Peculiarities of the Epistolary Discourse from the Linguistic Perspective .....	87
<b>ქეთევან ხუციშვილი</b>	
არაფორმალური სავაჭრო ურთიერთობები და სოციალური კავშირები თბილისის მაგალითზე .....	88
<b>Ketevan Khutsishvili</b>	
Informal Trade Relations and Social Networking on the case of Tbilisi .....	88
<b>ნათელა ჯაბუა</b>	
ოდა-სახლის არქიტექტურული სტრუქტურის გააზრების ზოგიერთი ასპექტი .....	89
<b>Natela Jabua</b>	
Some Aspects of Insight of the Oda House Architectural Structure .....	90
<b>ნიკოლოზ ჯავახიშვილი</b>	
ეტიუდები ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიიდან.....	90
<b>NikoLoz Javakhishvili</b>	
Essays from the history of life and activities of Ivane Javakhishvili .....	91

## მარინე ალექსიძე

### ექსპრესიული სინტაქსური კონსტრუქციები რუსული და ქართული ენების სამეცნიერო დისკურსში

მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის ეპოქაში სამეცნიერო ლიტერატურის ენის შესწავლა ლინგვისტურ კვლევათა ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ მიმართულებას წარმოადგენს. სამეცნიერო დისკურსი განისაზღვრება, როგორც სამეცნიერო მოღვაწეობის სფეროში სუბიექტის სამეტყველო ქცევის საყოველთაოდ მიღებული მოდელი, რომელიც დეტერმინირებულია სოციალურ-ისტორიული პირობებით და სამეცნიერო ტექსტების ორგანიზაციისა და ინტერპრეტაციის ჩამოყალიბებული სტერეოტიპებით.

მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო პროზის ძირითად მახასიათებლებს წარმოადგენს ობიექტურობა და ლოგიკურობა, მკვლევრები აღიარებენ სამეცნიერო სტილის ექსპრესიულობის არსებობას.

იმასთან დაკავშირებით, რომ თანამედროვე მეცნიერება სულ უფრო სპეციალიზებული და სამეცნიერო ტექსტების ადრესატთა წრე სულ უფრო შეზღუდული ხდება, თანამედროვე სამეცნიერო დისკურსში იზრდება ადრესატზე სამეტყველო ზემოქმედების როლი. ამგვარი ზემოქმედების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს ექსპრესიულობა. სამეცნიერო ტექსტის ავტორი მიმართავს ექსპრესიულობას ადრესატზე მიმართული კომუნიკაციურ-პრაგმატული მიზნებიდან გამომდინარე. სამეცნიერო დისკურსში ექსპრესიულ საშუალებათა გამოყენება განპირობებულია ამ სფეროში ურთიერთობის კომუნიკაციური ამოცანებით და, უპირველეს ყოვლისა, ადრესატის დარწმუნების სურვილით, რისი მიღწევაც შესაძლებელია მასზე სამეტყველო ზემოქმედებით და მისი ყურადღების აქტივიზაციით.

სამეცნიერო დისკურსის პრაგმატულობა მიმართულია მკითხველის მიერ ინფორმაციის ერთდროულად ემოციურ და ინტელექტუალურ აღქმაზე, რასაც ხელს უწყობს ენობრივი ექსპრესიული საშუალებები.

ლინგვისტური პროფილის რუსული და ქართული სამეცნიერო სტატიების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მათში ადგილი აქვს ექსპრესიულობის სხვადასხვა ენობრივ საშუალებათა გამოყენებას. ამ საშუალებათა დომინანტს წარმოადგენს სინტაქსური ენობრივი საშუალებები. ექსპრესიულობის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები ვერ იქნებიან სამეცნიერო დისკურსში ექსპრესიულობის ძირითადი მატარებლები, ვინაიდან ემოციურ-ექსპრესიული ლექსიკის გამოყენება სამეცნიერო ენაში შეზღუდულია სტილის ნორმებით როგორც რუსულ, ასევე ქართულ ენაში.

ექსპრესიული სინტაქსური კონსტრუქციები უპირისპირდება სინტაქსურ სიმშვიდეში მყოფ კონსტრუქციებს. სინტაქსურ ექსპრესიულობას განმარტავენ, როგორც „სინტაქსური ფორმების შესაძლებლობას, გაზარდონ გამონათქვამის პრაგმატული პოტენციალი იმაზე მეტად, ვიდრე მიღწეულია იმ ელემენტების ლექსიკური მნიშვნელობებით, რომლებიც ავსებენ ამ სინტაქსურ ფორმებს“.

როგორც რუსული, ასევე ქართული ენის სამეცნიერო დისკურსში ექსპრესიულობის ყველაზე აქტიურ სინტაქსურ საშუალებათა რიცხვს მიეკუთვნებიან: ძახილის წინადადებები, სინტაქსური გამეორებები, ინვერსია, კითხვა-პასუხის კომპლექსები, რომლებიც ორგანიზე-

ბულნი არიან ველის პრინციპით: ცენტრში განლაგებულია ძახილის წინადადებები, ვინაიდან მათში ექსპრესიულობა გამოხატულია უფრო მკვეთრად, ველის პერიფერიას კი იკავებენ სინტაქსური საშუალებები, რომლებშიც ექსპრესიულობა ვლინდება შედარებით შესუსტებულად – კითხვითი წინადადებები და განმეორებები.

შეპირისპირებულ ენებში სამეცნიერო კომუნიკაციის ძირითადი პრინციპების თანხედრობა განაპირობებს იმ მოცემულობას, რომ ლინგვისტური პროფილის სამეცნიერო დისკურსში ექსპრესიული სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენების მხრივ მათში განსხვავებები არ ვლინდება.

## **Marine Aleksidze**

### **Expressive Syntactic Constructions in Russian and Georgian Scholarly Discourses**

In the age of scientific and technical progress, the study of scholarly language is one of the priorities of linguistics. The scholarly discourse is determined both by the universally adopted models of speech act of a scientific actor, which is determined by social and historical conditions and by the formed stereotypes of organization and interpretation of scholarly texts.

Despite the fact that one of the principal characteristics of scholarly prose is objectivity and logical flow, scholars still accept the existence of an expressive scholarly style.

Due to the fact that contemporary scholarship is increasingly specialized and the readership of scholarly texts has become increasingly narrow, in contemporary scholarly discourse the speech influence on readership is becoming even more important. Expressiveness is one of such methods of influence. The author of the scholarly work uses expressiveness for their communicative-pragmatic purposes. The use of expressive tools in scholarly discourse is determined by communicative objectives, and above all, by a need to convince the target. This is achievable by speech influence and by activating the readers' attention.

The pragmatics of scholarly discourse aims at the readers' emotional and intellectual perception, which is supported by linguistic expressive means.

The analysis of Georgian and Russian linguistic articles has demonstrated that the two languages use expressiveness in various linguistic means. Among these means, syntactic tools are the most widely adopted. Expressive vocabulary cannot be the main bearers of expressiveness in scholarly literature, because emotional-expressive vocabulary is restricted in scholarly language by style, and this both in Russian and Georgian.

Expressive syntactic constructions come in contrast with syntactically peaceful constructions. Syntactic expressiveness is defined as "the ability of syntactic forms to increase the pragmatic potential of an utterance more than this is possible by the vocabulary that fills in the syntactic forms".

In both Russian and Georgian scholarly discourse the most actively used syntactic means of expressiveness are exclamatory sentences, syntactic repetitions, inversion, question and answer complexes that are organized as a field: exclamatory sentences are located in the middle, as they are most expressive, whereas the peripheries are occupied by syntactic means that reveal a lesser degree of expressiveness: interrogative sentences and repetitions.

In the compared languages, the coincidence of the basic principles of communication determines the fact that in linguistic scholarly discourse there is no difference between the two in the usage of syntactic constructions.

## მარინა ანდრაზაშვილი, ნატა ბასილაია

### კლიპურ-კომიქსალური აზროვნების მანერა და მისი გამოვლენის ფორმები ტექსტში

წინამდებარე ნაშრომი არის რიგით მესამე კომიქსებისადმი მიღწეული ციკლიდან, რომელსაც ორივე ავტორი ერთობლივად ვიკვლევდით ბოლო ოთხი წლის განმავლობაში და მიღწეულ შედეგებსაც, შესაბამისად, წარვადგენდით თსუ-ის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ყოველწლიურ კონფერენციებზე.

თუ საწყის ეტაპზე კვლევის მთავარი მიზანი იყო ნათარგმნი კომიქსების საკუთრივ ლინგვისტური და სოციოლინგვისტური პლანის მახასიათებელთა ანალიზი, კერძოდ, მათი რეცეფცია საქართველოში, როგორც მულტიკულტურულ და მულტილინგვალურ ქვეყანაში, რესპონდენტთა ურთიერთგანსხვავებული ეროვნული მენტალობის გათვალისწინებით კულტურათათმორისი დაილოგის ფონზე, მეორე ეტაპზე სიმძიმის ცენტრი გადატანილი გვექნოდა კომიქსის, როგორც ინტერდისციპლინარული ფენომენის ტექსტლინგვისტურ ანალიზზე, კერძოდ, მისი ჟანრული ევოლუციისა და ტრანსფორმაციის აღწერაზე; ამ კონტექსტში განვიხილავდით ე.წ. გრაფიკული ნოველის, იმავე რომან-კომიქსის, ისეთ მახასიათებლებს, როგორებიცაა: უპირველესად, ორიენტაციის აღება მოზრდილი ასაკის მკითხველზე, აქედან გამომდინარე კი – ფორმატის გაფართოება, მრავალსიუჟეტურობა, ფოკუსირება ეპიკურ-ლინეარულ ნარატივზე, ექსპრესიონისტული მხატვრობის ჩართვა, ფაბულისტი-მწერლისა და გრაფიკოს-ილუსტრატორის დაახლოება, ხშირად, ასევე მათი შერწყმა ერთ პერსონაში.

წინამდებარე გამოკვლევა ორიენტაციას იღებს იმ კოგნიტიურ პროცესებზე, რომლებიც გენეტიკურად არის ჩადებული ინდივიდის ფსიქიკაში, ფაქტობრივად, მთელი მისი ონტოლოგიური განვითარების მანძილზე და ასაზრდოებს როგორც თავად კომიქსს/ ჟანრს, ისევე მის ტრანსფორმირებულ ფორმებს, რეალიზებულს ტექსტის სრულიად სხვადასხვა სახეობაში. ფაქტია, რომ აზროვნების ე.წ. კლიპურ-კომიქსალური მანერის დამკვიდრება ნიშანდობლივი გახდა თანამედროვე სამყაროსთვის, მან ტოტალურად მოიცვა საზოგადოება, განურჩევლად სოციალური გრადაციისა; ის შეიქრა თვით იმ სფეროებშიც კი, რომელთათვისაც ჯერ კიდევ ახლო წარსულში ატიპურად მიიჩნეოდა სემიოტიკურ-გრაფიკულ ნიშანთა გამოყენება; პარალელურად ამისა მოხდა იმავე გრაფიკულ ნიშანთა ფუნქციური გადააზრება, კერძოდ, მათი დატვირთულობის დაყვანა სიუჟეტურ ქარგამდე, რომელიც მეორეული გადამუშავების შემდეგ საფუძვლად ედება არა მხოლოდ საკუთრივ პროზაულ ნაწარმოებს ვრცელი ნარატივის აგების მიზნით, არამედ ასევე - კინოსცენარს, თეატრალურ პიესას, როგორც პროტაგონისტთა ინდივიდუალობის გამოვლენის არეალს.

ზემოაღწერილ ფენომენებს განვიხილავთ წინამდებარე გამოკვლევაში სასწავლო ლიტერატურის, მოხსენების პრეზენტაციის ფორმატის, ვებგვერდის სტრუქტურირება-კონსტრუირებისა და, რაც მთავარია, პეტერ ჰანდკეს ნაწარმოებებზე, ისევე როგორც მათ სცენარსა და ეკრანულ ვერსიებზე დაყრდნობით.

**Marina Andrazashvili, Nata Basilaia**

### **Clip-comics Thinking Method and Forms of Indication in Text**

The present work is the third from the cycle dedicated to comics, which both authors have jointly studied for the past four years and will present the results at the TSU Faculty of Humanities Annual Conferences, at the initial stage the main purpose of the study was to analyse the linguistic and sociolinguistic aspects of the linguistic and sociolinguistic community, and their receptiveness in Georgia, as in the multicultural and multilingual country in the context of the interdependent national mentality.

While at the initial stage the main aim of the study was a purely linguistic and sociolinguistic analysis on the specification levels of translated comics, in particular their receptiveness in Georgia as in the multicultural and multilingual country, considering the variety of national mentality of respondents in the view of the intercultural dialog, at the second stage the centre of gravity was transmitted to the text-linguistic analysis of comics as an interdisciplinary phenomenon, in particular to description of its genre evolution and transformation; In this context we discussed the same specifications of the so called graphic novel (novel-comics) as it follows: with the adult-reader orientation and based on it - the expansion of the format, multiple story lines, focusing on epic-literary narrative, including the expressionist painting, bonding of the fabulist-writer and graphic-illustrator, often their merge into one person.

This study enhances the second line, but at the same time, it is oriented to the cognitive process that is genetically embedded in the psyche of the individual in the course of his/her development and feeds both the comics / genre and its transformed forms realized in various text types. The fact is that the establishment of clip-comics manner of thinking became remarkable for the modern world, it has totally embraced society, regardless the social gradation; It even invaded itself in the areas where the use of semiotic-graphic marks was still not typical in the recent past; At the same time the functional reinterpretation of the same graphic signs took place, in particular bringing of their assignment to the plotline, which after the second processing becomes a basis not only for the prosaic work aiming to create an extensive narrative but also for the cinematography, the theatre play – as the area of identifying the individuality of the protagonists.

In the given research we consider the above mentioned phenomenon based on the examples of educational materials, presentation format, the structure and design of the website and which is most importantly, based on Peter Hanke's works, as well as based on both scenarios and screen versions.

**თამარ ანთაძე**

### **ვარლამ ჩერქეზიშვილი ჯოზეფ ჩემბერლენზე და სერ არტურ ბალფურზე**

წინამდებარე ნაშრომში შევეხებით ვარლამ ჩერქეზიშვილის წვლილს დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. ამ კუთხით მისი შემოქმედება შესწავლილი არ ყოფილა. ამჯერად ჩვენ ვცადეთ გამოგვეჩვენა მისი დამოკიდებულება ორი გამოჩენილი ინგლისელი პოლიტიკოსის ჯოზეფ ჩემბერლენის და სერ არტურ ბალფურისადმი. გვეჩვენებინა მისი შეხედულებების შუქ-ჩრდილები და აგვეხსნა მისი გამომწვევი მიზეზები.

**Tamar Antadze**

## **Varlam Cherkezishvili on Joseph Chamberlain and Sir Arthur Balfour**

The paper focuses on Varlam Cherkezishvili's contribution to the promotion of the new history of Western Europe. Varlam Cherkezishvili's works have not been studied in this regard. We tried to find out Cherkezishvili's attitude to two outstanding English politicians – Joseph Chamberlain and Sir Arthur Balfour. The given paper analyzes certain aspects related to Varlam Cherkezishvili's views and attempts to find out the reasons for his attitudes.

### **ციური ახვლედიანი, ქეთევან გაბუნია**

#### **კონცეპტ „სივრცის“ ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკა / ფრანგული და ქართული სივრცითი თანდებულების მასალაზე**

კოგნიტიური ლინგვისტიკის წარმოშობამ რადიკალურად შეცვალა ენობრივ ერთეულთა სემანტიკის შესწავლის რაკურსი. სტრუქტურულ ლინგვისტიკაში სემანტიკური კვლევის ცენტრშია შიდაენობრივი სემანტიკური ურთიერთობები, კოგნიტიურ ლინგვისტიკაში კი განიხილება ურთიერთობები ენობრივ სემანტიკასა და იმ სამყაროს შორის, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ასევე, ენობრივ სემანტიკასა და სამყაროზე არაენობრივ წარმოდგენათა შორისაც. კოგნიტიურ კვლევათა მიზანი, უპირველეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ დადგინდეს, თუ როგორ გარდაიქმნებიან არაენობრივი წარმოდგენები და კატეგორიები, და უფრო ფართო გაგებით, შემეცნებისა და აზროვნების ზოგადსაკაცობრიო კანონზომიერებანი ენობრივ ერთეულთა სემანტიკაში. ამ თვალსაზრისს მრავალი მკვლევარი უძღვნის თავის ნაშრომს, ანუ ეგრეთ წოდებულ სამყაროს მიამიტურ ენობრივ სურათს, რომელიც უპირისპირდება სამყაროს მეცნიერულ სურათს. სამყაროს მიამიტური სურათის უმნიშვნელოვანეს ფრაგმენტს წარმოადგენს ადამიანის მიერ სივრცის გრძნობითი აღქმა. გულუბრყვილო, სტანდარტულ-ყოფითი გაგებით, სივრცე არის „რაც, რომელიც სავსეა ნივთებით“. უფრო მართებულად, სივრცე, მისი ჩვეულებრივი ვარიანტით, გაიგება, როგორც იმ ობიექტთა კონფიგურაცია, რომლებიც ერთმანეთს შორის იმყოფებიან განსაზღვრულ „სივრცით“ ურთიერთობებში. ამ განსაზღვრებიდან გამომდინარეობს, რომ კონცეპტ „სივრცეს“ ახასიათებს მიმართებითი (ფარდობითი) ნიშანი. კონცეპტ „სივრცის“ გამოხატვის ენობრივ საშუალებათა სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თანდებულებს, რადგან სივრცითობის რელაციური არსი შეესაბამება სწორედ ამ კატეგორიის სიტყვათა არსს. ამ ნაშრომის მიზანია, აღნიშნოს ზოგიერთი ყველაზე მეტად ტიპური განსხვავება ფრანგული და ქართული სივრცითი თანდებულების ხმარებისას და აიხსნას ეს განსხვავებანი კონცეპტ „სივრცის“ ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკით, ასევე, ფრანგული და ქართული ენების მატარებელთა მენტალიტეტითა და ქცევის თავისებურებებით. სივრცის კონცეპტის ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკის გამოხატვა, უმეტეს შემთხვევაში, იდენტურია ფრანგულ და ქართულ ენებში, თუმცა ასევე გვხვდება განსხვავებანიც.

**Tsiuri Akhvlediani, Ketevan Gabunia**

### **National-Cultural Specifics of Concept “Space”/On the material of the prepositions denoting space**

Emergence of cognitive linguistics has radically altered the study of language semantics. In Structural Linguistics, the centre of the semantic research is the internal semantic relations, as for the Cognitive Linguistics, it deals with the relationship between linguistic semantics and the world in which we live, besides, a special attention is drawn to the linguistic semantics and the world of the unrealistic imagination. The purpose of cognitive research is, first of all, to determine how the forms and categories of inner perceptions are transformed, and in a broader sense, the generalities of common knowledge and consciousness in language semantics. A lot of scholars dedicate their works to this view-point; to the mythical linguistic picture of the so-called universe that opposes the scientific picture of the universe.

The most striking fragment of the mythical picture of the universe is the sensitive depiction of the space by a person. According to the naive, standard-sense understanding, the space is “something that is full of things”. More precisely, the space, with its usual option, is understood as the configuration of objects that are in definite «spatial» relationships with each other. On the basis of this definition, the concept “space” is characterized by a relative sign.

In the system of the linguistic means of expression of the concept of “space”, the prepositions denoting “space” occupy a special place as the relativity of the spatial notion corresponds to the essence of the words of this category.

The aim of this work is to illustrate some of the most typical differences in the use of French and Georgian prepositions denoting “space” and to explain these differences according to the national-cultural specifications of the concept “space” and the peculiarities of mentality and behaviour of the bearers of the French and Georgian languages. The expression of the national-cultural specificities of the concept of “space”, in most cases, is identical in French and Georgian, although some noticeable differences may also be observed.

## **ცირა ბარამიძე**

### **მორფოსინტაქსური კონსტრუქციების ურთიერთმიმართებისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში**

მოხსენებაში გაანალიზებულია იბერიულ-კავკასიური ენების მორფოსინტაქსური ჩარჩო-მოდელის წამყვანი ოდენობის – ლაბილურობის – დიაქრონიული ანალიზი ამ ენათა ემპირიული მასალის მიხედვით, ენათა სინქრონიული ჭრილების გათვალისწინებითა და ენობრივ ჯგუფებს შორის ქვესისტემათა შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდით. იბერიულ-კავკასიური ენების საკვანძო მორფოსინტაქსური ოდენობებია ასევე გრამატიკული კლასი და ერგატიულობა. ლაბილური კონსტრუქციის ზმნა-შემასმენელი ქმნის აქტანტებისა და ტრანზიტიულობა-ინტრაზიტიულობის ვარიანტების შესაძლებლობას. ლაბილურობაშია ჩართული აქტივისა და პასივის სემანტიკა გვარის ჩამოყალიბებამდე და გვარის გარეშეც კარგად გამოხატავს აქტივ-

სა და პასივს. ლაბილური კონტრუქციების პრიორიტეტია რეციპიენტის მარკირება ზმნაში ნაცვლად სუბიექტისა და ერგატიული კონსტრუქცია იმ ენებშიც კი, სადაც ბრუნვა ერგატივი არა გვაქვს, რადგან ბრუნება არ ჩამოყალიბებულა (მაგ., აფხაზურში).

მოხსენებაში გაანალიზებულია, თუ რატომ არ ჩამოყალიბდა იბერიულ-კავკასიურ ენებში ბრუნების სისტემა. ერგატიულობა და ლაბილურობა გადაჯაჭვულია ყველაზე ძველ მორფოსინტაქსურ ოდენობასთან – გრამატიკულ კლასთან. იმ ენებში, სადაც გრამატიკული კლასი კარგად არის შემონახული და უღვლილება კლასოვანია, ლაბილურობა-სტაბილურობის კატეგორია სრულად ფუნქციონირებს, შეიცავს ტრანზიტიულობა-ინტრანზიტიულობის სემანტიკას და ფორმოზივადაც ზედმინევენით გამოხატავს აქტივსა და პასივს. აქტივის გამოხატვა პირდაპირ დაკავშირებულია ზმნაში რეციპიენტის გრამატიკული კლასით მარკირებასთან. ობიექტური კლასოვანი უღვლილება არის ამოსავალი მორფოსინტაქსური ჩარჩო-მოდელი ერგატიული კონსტრუქციის მქონე ენებისათვის ლაბილურობისა და ტრანზიტიულობის გამოხატვის მორფოსემანტიკური შესაძლებლობებით. იმ ენებში, სადაც კლასი მოიშალა, თანდათანობით შეიზღუდა ლაბილურობის კატეგორია, ამის შემდგომ სემანტიკა აქტივისა და პასივის გრამატიკული ოპოზიციის გამოსახატავად ლაბილურობის წიაღიდანვე წარმოშობს გარდამავლობა-გარდაუვალობასთან ერთად გვარის კატეგორიას; ოღონდ მოქმედებითი გვარის მარკირება სინტაქსურია (კონსტრუქციით განისაზღვრება), ვნებითი კი ფორმდება მოგვიანებით (მაგ., ქართულში). იმ ენებში კი, სადაც კლასი კარგად არის შემონახული, გვარის კატეგორია ჩანასახშიც კი არ არის, რადგანაც ლაბილურობის კატეგორია თავის თავში მოიცავს სემანტიკურადაც და ფორმოზივადაც რეციპიენტის პრიორიტეტულ მარკირებას გრამატიკული კლასის ნიშნით ტრანზიტიული სემანტიკის ზმნებთან, ასევე ერგატიულ კონსტრუქციას დროისა და კილოს ნებისმიერ ფორმასთან (ამიტომაც ჩრდილოკავკასიურ ენებში სერიები და მწკრივები არ ჩამოყალიბდა), ხოლო ქართველურ ენებში, სადაც კლასი აღარ არის, დაიჩრდილა ლაბილურობაც.

ქართულ-ქართველური უღვლილების მორფოსინტაქსური კონსტრუქციები ჩამოყალიბდა როგორც იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოსინტაქსური ჩარჩო-მოდელის – სისტემის ერთ-ერთი დიასისტემა ძირეული სისტემიდან ისტორიული გადანევითა და სისტემის რეინტერპრეტაციით, აქტანტების ვალენტობის გამოხატვის შეცვლით (კლასი – კლას-პირი – პირი), მოიშალა ლაბილურობა გრამატიკულ კლასთან ერთად და ამის „კომპენსაციად“ ჩამოყალიბდა გვარი.

**Tsira Baramidze**

### **Morphosyntactic Constructions of labiality in the Iberian-Caucasian languages**

The paper analyzes the diachronic analysis of the basic morphosyntactic frame-model of the Iberian-Caucasian languages – labiality according to the empirical material of these languages, taking into account the synchronous aspects of the languages and using the internal reconstruction method of subgroups among the linguistic groups. The key morphosyntactic markers of the Iberian-Caucasian languages are grammatical class and ergativity, as well.



The verbal-predicative of the labial construction creates the possibility of variation of transitivity-intransitivity of actants. Before formation of a voice labiality involves the semantics of active and passive and without it expresses passive and active well. Priority of the labial constructions is the marking of the recipient (Direct Object) in a verb instead of a subject and the ergative construction even in the languages which do not have an ergative case, because a case was not formed (e.g. in Apkhazian). The paper analyzes why the case system has not been developed in these languages. Ergativity and labiality are intertwined with the oldest morpho-syntactic feature - grammatical class. In languages where the grammatical class is well preserved and the conjugation system has a class, the labiality-stability category is fully functional, it contains semantics of transitivity-intransitivity and formally expresses active and passive precisely.

Expressing of active is directly related to the marking of a recipient with a grammatical class in a verb. Class conjugation of an object is an initial morphosyntactic frame-model for the languages having the ergative construction with morphosyntactic possibilities of expressing the labiality and transitivity. In the languages in which the class category had been violated, the labial one was gradually restricted. Afterwards the semantics originated a voice category together with transitivity-intransitivity in the labiality in order to express the grammatical opposition of an active and passive.

## ხათუნა ბასილაშვილი

### მხატვრული ტექსტის აღქმის რეცეფციული მოდელები

„რეცეფციული (აღქმის) თეორიის“ მიმდევრების თვალსაზრისით, კითხვა არის ინტერაქტივი ტექსტსა და მკითხველის წარმოსახვას შორის.

ლიტერატურა პერფორმანსის ხელოვნებაა, რომელშიც მკითხველი თავის საკუთარ, სავარაუდოდ, უნიკალურ ტექტს ქმნის.

„რეცეფციული თეორიის“ მიმდევრები: ინდივიდუალისტები – ტექსტს ნამდვილ და უნიკალურ მნიშვნელობას ანიჭებს მკითხველი და მისი ცხოვრებისეული გამოცდილება; უნიფორმისტები – ლიტერატურული ნაწარმოებით განცდილი შთაბეჭდილება ყველასთვის საერთოა.

- მნიშვნელოვანია ავტორის მიერ შექმნილი რეალური ტექსტი და მკითხველის რეაქცია მის მიმართ.

- კითხვა სასიამოვნოა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი აქტიური და კრეატიულია ანუ როდესაც მკითხველის წარმოსახვას ააქტიურებს.

- მკითხველი საკუთარი წარმოსახვის საშუალებით ტექსტში დარჩენილ ცარიელ ადგილებს ავსებს, რის გამოც ერთსა და იმავე ტექსტს ინდივიდუალური მკითხველი განსხვავებულად იგებს.

- მხატვრული ტექსტი ერთგვარი სარკეა, რომელიც მკითხველის გამოცდილებას და მის განწყობას ირეკლავს.

- გეშტალტი კონფიგურაციული მნიშვნელობაა.

- კითხვა ესკაპიზმის ან ილუზიურობაში ჩაძირვის საშუალებას იძლევა.

იმპლიციტური ავტორი არის კონსტრუქტი, რომელსაც მკითხველი კითხვის პროცესში ქმნის. იდეალური მკითხველი - ერთგვარი იდეალური რეციპიენტი.

## khatuna Basilashvili

### Receptive Models of Literary Text Perception

**Receptive theory** - the act of reading is an interaction between a text and the reader's imagination.

**Literature** is a performance art in which the reader creates his/her own and perhaps unique text.

Two groups of Receptive theorists:

a) **Individualists** or those who believe the real and unique meaning is given to the text by the reader and his/her life experience and

b) **Uniformists** who think the experience gained by reading a text is prompted solely by the text and therefore it is uniform.

Literature is a performance art in which a reader creates his/her unique text.

- Important is the real text created by the author and the reader's reaction to it.

- One enjoys reading only when it is an active and creative process that stimulates the reader's imagination.

- By means of his/her imagination the reader fills in the gaps in the text which is why one and the same text can be realized in different ways as each individual reader fills the gaps in different ways.

- A literary text is a kind of a mirror reflecting the reader's experience and attitude;

- Gestalt is not an exact meaning of the text it is its configurative meaning;

- Text is a way of escaping from reality or immersing into an elusive world.

Implicit author is a construct created by the reader in the act of reading.

Ideal reader is an abstract reader, a kind of an ideal recipient.

## ოთარ ბაქანიძე

### კულტურათაშორისი ურთიერთობების ახალი ფორმები და მეთოდები (1960-იანი წლები)

მეოცე საუკუნის სამოციანი წლები ქართველი და უკრაინელი ხალხის ისტორიაში ხასიათდება კულტურათაშორისი ურთიერთობების ახალი ფორმებითა და მეთოდებით.

1964 წლის ზაფხულში გაიმართა უკრაინული ლიტერატურის პირველი დეკადა. ოლეს გონჩარის მეთაურობით საქართველოში ჩამოვიდა უკრაინელი მწერლების დიდი ჯგუფი.

საქართველოს პრესაში ქვეყნდებოდა ინფორმაციები უკრაინისა და უკრაინელი მწერლების შესახებ. აქტიურად მუშაობდა პროპაგანდის ყველა მექანიზმი – რადიო, ტელემაუწყებლობა, ყურნალები.

დეკადის დროს უკრაინელთა დელეგაციამ გამართა შეხვედრები მწერლებსა და ხელოვნების მუშაკებთან, საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლებთან. გაიმართა უკრაინული ფილმების ჩვენება. ჩატარდა ლექციები ლიტერატურაში, თეატრში, ხელოვნების სხვადასხვა დარგში უკრაინის მიღწევების შესახებ.

პრესა აღნიშნავდა, რომ უკრაინული ლიტერატურის დეკადა იყო არა მხოლოდ ლიტერატურის ზეიმი, არამედ ორი მოძმე ერის მეგობრობის დემონსტრაცია.

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებამ“ გამოსცა უკრაინელი მწერლების 18 წიგნი ქართულ ენაზე.

უკრაინული ლიტერატურის დეკადას ჰქონდა დიდი საზოგადოებრივ-კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობა ორივე ხალხის ცხოვრებაში.

## Otar bakanidze

### New forms and Methods of Intercultural Cimmunications (1960s)

In the 60s of the twentieth century, new forms and methods of intercultural communication emerge in the life of the historically friendly Georgian and Ukrainian peoples.

In the summer of 1964, the first Decade of Ukrainian literature was held in Georgia. A large group of Ukrainian writers headed by Oles Gonchar came to Georgia.

The press in Georgia, in connection with the arrival of guests, published the greeting and information about Ukraine and the writers of Ukraine activating the whole mechanism of propaganda - radio, television, magazines.

During the Decade, the Ukrainian delegation held meetings with writers and artists, with the general public, arranged an exhibition of the achievements of Ukrainian culture, demonstrated Ukrainian films, held lectures on the successes of Ukraine in literature, art, theater, etc.

The press noted that the decade of Ukrainian literature is not only a holiday of literature, but a vivid demonstration of the brotherhood and friendship of our peoples.

The House has published eighteen books of works by Ukrainian writers in the Georgian language.

The decade of Ukrainian literature was of great social, cultural and political importance for both nations. It strengthened the friendship of the two peoples even further and demonstrated not only the achievements of the peoples, but also outlined new methods and ways of further creative cooperation.

## მიხეილ ბახტაძე

### გენერალი ვარდენ წულუკიძე

წულუკიძე ვარდენ გრიგოლის ძე (8.XI.1865-21.V.1923). დაამთავრა ჯერ თბილისის კადეტთა კორპუსი, შემდეგ ალექსანდრეს სახელობის მე-3 სასწავლებელი. სამხედრო სამსახური დაიწყო პოდპორუჩიკად (1885) იმიერკასპიის მსროლელთა მე-8 ბატალიონში. პორუჩიკი (1889). შტაბს-კაპიტანი (1898). კაპიტანი (1900), მეთაურობდა როტას (ასეულს), შემდეგ - ბატალიონს. პოდპოლკოვნიკი (1905). პოლკოვნიკი (1910), პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. 1914 წლის ნოემბრამდე 208-ე ქვეითთა პოლკშია. 1915 წელს 205-ე პოლკის მეთაურია. დაიჭრა და გადაყვანილ იქნა კავკასიის ოლქის შტაბში. გენერალ-მაიორი (1916). დაჯილდოებული იყო ორდენებით: 1907 - წმ. ანას მე-3 ხარისხის; 1911 - წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის ხმლებით; 1915 - წმ.ვლადიმირის მე-3 ხარისხის ხმლებით; 1915 - წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის ხმლებით და ბაბთით; 1916 - წმ. ანას მე-2 ხარისხის იარაღით.

1918-1921 წლებში მსახურობდა საქართველოს შეირაღებულ ძალებში. 1918 წლის დეკემბერში სომხეთთან ომის დროს იყო სამხედრო სამინისტროს პიროვნული შემადგენლობის განყოფილების უფროსი. 1919 წლიდან მე-3 ბრიგადის (შტაბი ახალციხეში,

იცავდა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებას) მეთაურია. 1921 წელს საბჭოთა რუსეთთან ომის დაწყების შემდეგ დაინიშნა ზურგის არმიის მეთაურად და მობილიზაციის გზით ახალი შენაერთების ჩამოყალიბებით დაკავდა. ქუთაისიდან მთავრობასთან ერთად გადავიდა ბათუმში, სადაც 18-20 მარტს მაზნიაშვილთან ერთად განდევნა ქემალისტები ქალაქ ბათუმიდან და ბათუმის ოლქიდან. ემიგრაციაში არ წასულა. 1921 წლის შემდეგ სამსახური განაგრძო ნითელ ჯარში. იყო ანტისაბჭოთა აჯანყების მოსამზდებელი სამხედრო ცენტრის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი. პირველად დააპატიმრეს 1922 წლის 8 აპრილს. ამ დროს საბჭოთა ხელისუფლებამ ოცამდე ქართველი სამხედრო პირი დააპატიმრა. მათი დაპატიმრება გენუის საერთაშორისო კონფერენციის წინ მოხდა და პრევენციული ხასიათი ჰქონდა. მთავრობა თავს იზღვევდა შესაძლო ანტისაბჭოთა გამოსვლებისგან. დაპატიმრებულები მხოლოდ მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც 1-მა და 26 მაისმა ჩაიარა, კერძოდ კი, 30 ივნისს. ხელმეორედ დააპატიმრეს უკვე „სამხედრო ცენტრის“ საქმეზე 1923 წლის 3 მარტს. სამხედრო ცენტრის სხვა წევრებთან ერთად დახვრიტეს 1923 წლის 21 მაისს დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე.

## **Mikheil Bakhtadze**

### **General Varden Tsulukidze**

Varden Tsulukidze (8.XI.1865-21.V.1923). Graduated from Tbilisi military school, after that attended Alexander School №3. He started his military career as a Second lieutenant (1885) in the 8th Imier-Caspian rifle battalion. First lieutenant (1889). Staff-captain (1898). As a Captain (1900) he commanded a company and than a battalion. Lieutenant colonel (1905). As a Colonel (1910) he fought in The World War. He served in the 208th Infantry regiment till November 1914. The 205th regiment Commander in 1915. He was wounded and transfered to Caucasian Region Headquarters. Major general (1916). Varden Tsulukidze got medals: The Order of St. Anna, 3rd class in 1907; The Order of Saint Stanislaus with swords, 2nd class in 1911; The Order of Saint Vladimir with swords, 3rd class in 1915; The Order of Saint Vladimir with swords and bow, 4th class in 1915; The Order of St. Anna with swords, 2nd class.

He был в Georgian Armed forces in 1918-1921. Varden Tsulukidze was The Chief of The War Office Staff in December of 1918 during Armenian War. In 1919 he served as the 3rd brigade Commander (headquarters in Akhaltsikhe, they defended south-western part of the country). In 1921 after the begining of the war with the Soviet Union he was appointed Commander of Home Front and began mobilizing army. Alongside with government he moved from Kutaisi to Batumi where in March 18-20 with the help of Mazniashvili he chased Kelamists out of Batumi and Batumi district. He didn't immigrate. After 1921 he continued his military career in The Red Army. He was one of the very active members of anti-Soviet revolt military training centre. Varden Tsulukidze was arrested for the first time in April 8 in 1922. At this time The Soviet government arrested 20 Georgian military man. Their arrest right before The Genoa Conference was a preventive measure. The Soviet Government wanted to avoid anti-Soviet agitation. The prisoners were released on June 30 after the Conference, which was held on May 1 and May 26. They were arrested for the second time on March 3 in 1923 on the "The Military Centre" case. Alongside with other members of The Military Centre, they were shot on May 21 in 1923 on the territory of present-day Vake park.

## ნანა გაფრინდაშვილი

### კოლონიალიზმის ფაქტორი ოჯახისა და მწერლის ბედის განსაზღვრაში (ტიტე და გივი მარგველაშვილების მაგალითზე)

ფილოლოგიურ კვლევებში წარმატებით გამოიყენება ბიოგრაფიული მეთოდი, რომელიც მწერლის ბიოგრაფიას მისი შემოქმედების ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად მიიჩნევს, იკვლევს მწერლის გარემოცვას, ოჯახს და ა.შ.

ბიოგრაფისტები მიიჩნევენ, რომ მწერლის შემოქმედებითი ცხოვრება არის მოძრაობა ავტორის პირადი ცხოვრებიდან მისი მხატვრული შემოქმედებისაკენ.

თვალსაჩინო გერმანულენოვანი ქართველი მწერლისა და ფილოსოფოსის, გივი მარგველაშვილის (დაიბადა 1927 წელს), პიროვნებაზე დიდი გავლენა იქონია ეპოქის თავისებურებებმა და მისმა ოჯახმა.

საკუთარი ბიოგრაფიის ფაქტებიდან და მოვლენებიდან გამომდინარე, მან კულტურული ლიტერატურული სივრცე (გერმანული და ქართული) რამდენჯერმე შეიცვალა და ყოველ ჯერზე იძულებული იყო, თავის შემოქმედებით პრიზმაში გარდაექმნა და გარდაეტეხა აკულტურაციის საკმაოდ მტკივნეული პროცესები, რის შედეგადაც შეიქმნა სრულიად განსხვავებული, ორიგინალური და სპეციფიკური ნიშნების მქონე ლიტერატურა.

გივი მარგველაშვილი ბერლინში დაიბადა, ქართველი ემიგრანტის, ცნობილი მოღვაწის ტიტე მარგველაშვილის ოჯახში, რომელმაც პოლიტიკური მიზეზებით 1921 წელს დატოვა საქართველო. 1946 წელს საბჭოთა სპეცსამსახურების წარმომადგენლებმა მამა-შვილი მარგველაშვილები ბერლინში დააპატიმრეს და ზაქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში გადაიყვანეს. მამა მალევე დახვრიტეს, ხოლო 18 წლის გივი ორი წელი ჰყავდათ ზაქსენჰაუზენში, შემდეგ საქართველოში ჩამოიყვანეს. ასე აღმოჩნდა იგი ემიგრაციაში თავისი წინაპრების სამშობლოში. საჭოთა სინამდვილე მისთვის უცხო და საშიში გარემო იყო მრავალი თვალსაზრისით. გ. მარგველაშვილი სასწაულებრივად გადაურჩა საბჭოთა რეპრესიებს.

მიუხედავად იმისა, რომ თავისი თხზულებების დასტამბვის იმედი არ ჰქონდა, წერა ხსნა იყო ემიგრანტისათვის, ლიტერატურა და შემოქმედება კი ის სივრცე, სადაც მას შეეძლო თავისუფლად სუნთქვა.

გივი მარგველაშვილის სამწერლობო ენა იყო და დარჩა გერმანული, ხოლო მისი იდენტობა ე.წ. „დეფისის იდენტობად“ არის მიჩნეული - ის არც ბოლომდე ქართულია და არც გერმანული. გივი მარგველაშვილის, როგორც მწერლისა და პიროვნების, ბიოგრაფია დრამატული და ტრაგიკულია.

ე.წ. პერესტროიკის პერიოდში მას უფლება მისცეს, 40 წლის შემდეგ პირველად ჩასულიყო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ბოლოს გივი მარგველაშვილმა დაიბრუნა გერმანიის მოქალაქეობა და ბერლინში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც 20 წელი იცხოვრა (1992-2012 წწ.). ერთი შეხედვით, თითქოს ისტორიული სამართლიანობა აღდგა და მკვიდრი ბერლინელი თავის მშობლიურ გარემოში დაბრუნდა, მაგრამ ეს გარემო იმდენად შეცვლილი დახვდა, რომ გარკვეულწილად უცხო აღმოჩნდა მისთვის.

საქართველოში გ. მარგველაშვილი ჩუმად წერდა. ამის შესახებ უშიშროების ორგანოებმა გვიან გაიგეს. უკვე „პერესტროიკა“ იყო და სუკ-ის ბრჭყალები ისეთი ბასრი და

საშიშიც აღარ იყო. გ. მარგველაშვილის, როგორც მწერლის, ტრაგიზმს განაპირობებს ის გარემოება, რომ მისი ნაწერები საბჭოთა ცენზურის გამო მწერლის უჯრაში იყო გამოკეტილი და გვიან ჩაერთო მსოფლიო სალიტერატურო პროცესებში.

გ. მარგველაშვილის რომანებში განსხვავებული ეთნოკულტურული „ხმები“ ისმის. ისინი ქართულ და გერმანულ სოციო-კულტურულ სამყაროებს უკავშირდება. მართალია, გივი მარგველაშვილი ტრაგიკული ბედის წყალობით გერმანულენოვან მწერლად იქცა, მაგრამ ქართულმა ფესვებმა ქართული თემატიკის ორიგინალური დამუშავებით იჩინა მის შემოქმედებაში თავი. გივი მარგველაშვილი აღიარებს და სიღრმისეულად აცნობიერებს თავის კულტურულ ჰიბრიდულობას.

## Nana Gaprindashvili

### Factor of Colonialism in Determining the Fate of a Family and a Writer (On the Example of Tite and Givi Margvelashvili)

Biographical method is successfully used in philological studies. It examines writer's biography as one of the defining facts of his creativity, exploring the writer's environment, family, etc.

Biographers believe that the creative life of the writer is the movement from the personal life of the author to his artistic creativity.

Prominent Georgian writer and philosopher Givi Margvelashvili (born in 1927) was greatly influenced by peculiarities of the epoch and his family.

Stemming from the facts and events of his biography, he changed the cultural-literary space (German and Georgian) several times and was forced to change a very painful process of acculturation through his creative prism, which resulted in a completely different, original literature with very specific traits.

Givi Margvelashvili was born in Berlin, in the family of Tite Margvelashvili, Georgian emigrant and a renowned figure, who left Georgia in 1921 for political reasons. In 1946, representatives of Soviet Union special security services arrested both father and son in Berlin and moved to Sachsenhausen concentration camp. Father was soon shot and 18-year-old Givi had to spend two years in Sachsenhausen, then brought to Georgia. He basically found himself emigrating to his ancestors' homeland. Soviet reality a strange and dangerous environment for him in many ways. G. Margvelashvili miraculously survived Soviet repressions.

Despite the fact that he did not have the hope of publishing his works, writing was the salvation of the emigrant. Literature and creativity are the space where he could breathe freely.

Givi Margvelashvili's writing language was and remained German, while his identity is considered to be so called "Hyphenated Identity". He is neither Georgian nor German. Biography of Givi Margvelashvili as a writer and personality is dramatic and tragic.

During so called Perestroika he was allowed to enter the Federal Republic of Germany for the first time after 40 years. Finally, Givi Margvelashvili regained German citizenship and moved to Berlin where he lived for 20 years (1992-2012). At the first glance, the historic justice was restored and the native Berliner returned to his native environment, but the environment had changed over time so much that he was somewhat alien to it.

Margvelashvili wrote secretly in Georgia. Security agencies learned about it only later. Perestroika was already ongoing and the KGB's claws were no longer in a sharp and dangerous state. Tragedy of G. Margvelashvili, as a writer, is due to the fact that his writings were locked up in the writer's drawer because of Soviet censorship and only later became involved in world literary processes.

Various ethno-cultural voices are heard in G. Margvelashvili's novels ". They are connected to Georgian and German socio-cultural worlds. Although Givi Margvelashvili became a German writer thanks to the tragic twist, Georgian roots appeared in the face of original work of Georgian themes in his writings. Givi Margvelashvili recognizes and deeply understands his cultural hybridity.

## თამარ გელაშვილი

### ანა ლივია პლურაბელი, როგორც კულტური სამსახოვანი ღვთაება, ჯეიმზ ჯოისის რომანში „ღამისთევა ფინეგანისათვის“

ჯეიმზ ჯოისის რომანი „ღამისთევა ფინეგანისათვის“ სამართლიანადაა მიჩნეული უაღრესად მნიშვნელოვან და რთულ ქმნილებად XX საუკუნის დასავლეთევროპული ლიტერატურის ისტორიაში.

ერთი შეხედვით, ჯეიმზ ჯოისის რომანის სქემას ჩეპალიზოდში მცხოვრები ლუდხანის მეპტრონის, ჰამფრი ჩიპმდენ ეარვიკერისა და მისი ოჯახის ერთი ღამე წარმოადგენს, თუმცა იმ მრავალი პარალელისა თუ ალუზიის გამოყენებით, რომელსაც ჯოისი ნაწარმოების აგებისას იყენებს, მკითხველისათვის აშკარა ხდება, რომ ეარვიკერი და მისი ოჯახი არქეტეპული ოჯახის სახეა და ჯოისის მიზანს ერთი ოჯახის ამბის მოყოლა კი არ წარმოადგენს, არამედ კაცობრიობის ისტორიის შექმნა, რისთვისაც იგი ლიტერატურულ, ბიბლიურ თუ მითოლოგიურ ალუზიებს იყენებს.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულად საინტერესოა რომანის ერთ-ერთი ცენტრალური პერსონაჟი ანა ლივია პლურაბელი, რომელიც, ერთსა და იმავე დროს, ჰამფრი ჩიპმდენ ეარვიკერის მეუღლეცაა, მარადქალურის განსახიერებაც და დედის არქეტეპული სახეც.

ამ სახის შექმნისას ჯოისი ირლანდიურ მითოლოგიას მიმართავს, რომელსაც რომანში განსაკუთრებული ადგილი უკავია. საკმარისია ითქვას, რომ წიგნის ხუთი ძირითადი და ორი მეორეხარისხოვანი პერსონაჟი მჭიდროდ არის დაკავშირებული ირლანდიურ წარმართ ღვთაებებთან.

ანა ლივია პლურაბელი თავის თავში, ირლანდიური სამსახოვანი ღვთაების - დანუს - მსგავსად, სამის ერთარსობას გამოხატავს. იგი სამ ქალშია განფენილი: მისი ქალწულებრივი ჰიპოსტასი – ქალიშვილი ისია, დედობრივი – ანა ლივია პლურაბელი და ასაკოვანი კი – მოსამსახურე ქეთი. ამ სიმბოლიკას თავად პერსონაჟიც უსვამს ხაზს ნაწარმოების ბოლოს.

ამრიგად, ალუზიების გამოყენებით ჯოისი ქმნის მრავალმრიან ინტერტექსტუალურ ნაწარმოებს, სადაც ყოველი პერსონაჟი ლიტერატურულ და მითოლოგიურ ტექსტში არსებულ გმირთა კრებით სახეს წარმოადგენს, ხოლო ესა თუ ის მოვლენა ერთჯერი ხდომილება კი არ არის, არამედ ციკლურად განმეორებადი და ამრიგად - მარადიული. ეს კი საშუალებას აძლევს ჯოისს, ერთი კონკრეტული ირლანდიური ოჯახის ისტორიამ კაცობრიობის ისტორია მოიცვას.

## Tamar Gelashvili

### **Anna Livia Plurabelle, as the Celtic Triple Goddess, in James Joyce's "Finnegans Wake"**

James Joyce's *Finnegans Wake* is considered to be one of the most important and complicated works of the XX century in the History of European Literature.

At a glance the story is about one night in the life of Humphrey Chimpden Earwicker and his family, living and owning Mullingar Inn in Chapelizod, but through Joyce's extensive use of literary, biblical, mythological and various other allusions, it becomes apparent for the reader, that Earwicker and his family are an archetypal image of the Family and Joyce aims at creating "History of Mankind".

In this regard, one of the central figures of the novel – Anna Livia Plurabelle – seems particularly interesting. She is at one and the same time Earwicker's wife, the image of femininity and an archetypal mother.

One important aspect of Anna Livia Plurabelle is that her character (like other four major and two minor characters of the book) is deeply rooted in Irish Mythology and is connected with Irish Pagan Goddess.

Anna Livia Plurabelle in her image – like the Celtic triple Goddess Danu – holds trinity which is realized in three women of the novel: as a temptress she is her daughter – Izzy, as a mother she is Anna Livia, and as a crone – Kate, the worker at Mullingar Inn. Anna Livia herself talks about this symbolism at the end of the book.

Thus, by the use of allusions Joyce creates a multi-layered, intertextual piece of work, where each character embodies a set of heroes from different literal and mythological texts, and where the event is not of a single occurrence, but cyclically repeatable and eternal. Hence, it allows Joyce to cover the history of mankind, while writing about one specific Irish family.

## მანანა გელაშვილი

### **„ითაკას“ მხატვრული თავისებურებები და მისი ადეკვატური თარგმანის პრობლემა**

ჯოისის „ულისეს“ მე-17 ეპიზოდი – „ითაკა“, წიგნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპიზოდია, რომელშიც მამა და შვილი (სტივენ დედალოსი და ლეოპოლდ ბლუმი), ბოლოს და ბოლოს, ერთმანეთს ხვდებიან. მიუხედავად იმისა, რომ მას „პენელოპეს“ ეპიზოდი მოსდევს, „ითაკათი“, ფაქტობრივად, მთავრდება თანამედროვე ოდისევსის - ლეოპოლდ ბლუმის - ოდისეა, რაზეც ჯოისის მიერ ცალკე ხაზზე გადატანილი წერტილიც მიუთითებს.

ჯოისი აღნიშნავდა, რომ ეს ეპიზოდი „მათემატიკური კატეხიზმოს“ ფორმით დაიწერა. თუ „ულისეს“ სხვადასხვა ეპიზოდში ჯოისი სხვადასხვა ლიტერატურული და ენობრივი კლიშეების პაროდირებას ახდენს (მაგ. „ეოლოსის“ ეპიზოდში - პრესის, ხოლო „მზის ხარების“ ეპიზოდში კი - სალიტერატურო ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპების), ამ თავში ჯოისი კიდევ უფრო შორს მიდის და უკვე რომელიმე ლიტერატურულ სტილს კი არა, არამედ, ზოგადად, ლიტერატურული ნაწარმოების ფორმისგან გათავისუფლებას ცდილობს და



მხატვრული პროზის ნაცვლად იმპერსონალური ფაქტების ჩამოთვლას გვათავაზობს, რომელიც 309 კითხვისა და პასუხისაგან შედგება და რომელიც მთელი ნაწარმოების სიუჟეტის უმნიშვნელოვანეს მომენტებს ხელახლა იხსენებს და, როგორც ჯოისი წერდა, ყველა კითხვასა და ბუნდოვანებას „ცივად და თამამად“ სცემს პასუხს.

ეპიზოდის ენა ზედმეტად ტექნიკურ და სამეცნიერო ელფერს იღებს ტრივიალური საგნების აღსანიერად (ბლუმის სამზარეულოს თაროები, იმ დღეს დახარჯული ფული და ა.შ.). სწორედ ეს შეუთავსებლობა თემატიკასა და სტილს შორის წარმოქმნის პაროდულ ეფექტს. ასეთსავე აზრობრივ და ენობრივ კონტრასტს წარმოქმნის ეპიზოდის სტილთან შედარებით ის ალუზიები სხვადასხვა ტექსტებზე (შექსპირი, ჰომეროსი, დანტე, ბიბლია და სხვ.), რომლითაც ეპიზოდი გაჯერებული.

ბუნებრივია, რომ ეპიზოდის სტილური მარავალფეროვნება დიდ სირთულეებს წარმოქმნის მისი სხვა ენაზე თარგმნისას. მთარგმნელს ჯოისის შემოქმედების ნიუანსობრივი ცოდნა და საკუთარი ენის ვირტუოზული ფლობა სჭირდება, რათა ის სტილური მრავალფეროვნება, სიტყვათქმნადობა, ბგერწერა, ალუზურობა, რომლითაც ეპიზოდს ახასიათებს, თარგმანში მაქსიმალურად შენარჩუნდეს. სტატიაში გაანალიზებულია კონკრეტული მაგალითები ნიკო ყიასაშვილის თარგმანიდან, რომელიც აჩვენებს, როგორ ხდება სხვადასხვა სირთულეების დაძლევა მთარგმნელის მიერ, რაც ქართულ ენაზე ადეკვატურ თარგმანს წარმოქმნის.

**Manana Gelashvili**

### **Characteristic Features of “Ithaca”, and the Problem of its Adequate Translation into Georgian**

“Ithaca”, the 17th episode of Ulysses is one of the most important parts of the book, in which Father and Son (Leopold Bloom and Stephen Dedalus) finally meet. Although it is followed by one more episode, with Ithaca Joyce actually completes the modern Odyssey of Leopold Bloom, which he meant to make well-apparent by placing a fairly large dot in a separate line.

Joyce noted that he wrote the episode in “the form of mathematical catechism”. If in the previous episodes Joyce parodied various literary and linguistic clichés (e.g. in “Aeolus” – clichés of press, in the “Oxen of the Sun” – the history of the development of the English language and literary style) in “Ithaca” he goes even further and aims to parody not this or that literary style, but dispense the literary style in general and to substitute it with an enumeration of impersonal facts in the form of 309 questions and answers. The episode recalls back all important moments of the book and as Joyce put it gave answer to any ambiguity in “the boldest and coldest manner”.

The language of the episode seems exaggeratedly technical and scientific when describing trivial things (e.g. shelves in Bloom’s kitchen, Bloom’s expenditure of the day, etc.). It is this discrepancy between the theme and style which creates an effect of parody. Allusion to different texts (Shakespeare, Homer, Dante, Bible and etc.) also provide a contrast with the denotative style of the episode.

These characteristic features of the episode makes it difficult to translate it into another language, The translator needs to have a deep and thorough knowledge of Joyce’s works and at the same time a virtuosic mastery of the target language so as to render the stylistic diversity, word-formation, allusions

and other innovative techniques used in the episode. The article gives analysis of Nico Kiasashvili's translation in order to show how the translator manages to overcome the above mentioned difficulties and creates an adequate text of the episode in Georgian.

## ნანა გელაშვილი

### იაპონიის პოლიტიკური გაერთიანება (1573-1603)

იაპონიის პოლიტიკური გაერთიანების პროცესი მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო, როდესაც ხელისუფლების სათავეში გავლენიანი ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენელი ოდა ნობუნაგა (1573-1582) მოვიდა. ეს იყო გამორჩეულად ნიჭიერი მთავარსარდალი, გულადი მეომარი და გულმხურვალე პატრიოტი. ერთმანეთის მიყოლებით წარმოებული წარმატებული საომარი ოპერაციების წყალობით, მან მოწინააღმდეგე ფეოდალური დაჯგუფებები დაამარცხა, მთელი რიგი ტერიტორიები შემოიერთა და, საბოლოოდ, ქვეყნის გაერთიანება შეძლო. ამიტომაც ის ისტორიაში იაპონიის პირველი გამაერთიანებლის სახელით შევიდა.

ქვეყნის ცენტრალიზაციის მიზნით, თავისი ზეობის პერიოდში ნობუნაგამ ფართო სექტორის მომცველი მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა. საამისოდ ის არც ინოვაციების შემოღებას ერიდებოდა და არც ექსპერიმენტებს, რამაც, საბოლოო ჯამში, ქვეყნისათვის სასიკითხოდ შედეგები გამოიღო. ამ ქრილში ყურადღებას იმსახურებს მისი რელიგიური პოლიტიკა. კერძოდ, სახელმწიფოს სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ნობუნაგა მფარველობას უწევდა იმხანად იაპონიაში პირველად გამოჩენილ ევროპელებს - პორტუგალიელ ვაჭრებს (რომლებსაც იქ ცეცხლსასროლი იარაღი შეჰქონდათ) და კათოლიკე მისიონერებს.

რადიკალურად განსხვავებული ურთიერთობა ჰქონდა მას ბუდისტურ სამღვდელთა-თან. ამის მიზეზი ის იყო, რომ ნობუნაგას პოლიტიკური კურსი ხელისუფლების ცენტრალიზაციაზე იყო ორიენტირებული, მსხვილი ბუდისტური მონასტრები კი გამუდმებით ექიმპებოდნენ მას და სეპარატიზმისკენ ისწრაფვოდნენ. აქედან გამომდინარე, ნობუნაგა ყველა ლონეს მიმართავდა (შეიარაღებული სისხლისმღვრელი შეტაკებების ჩათვლით) მათი ზღვარგადასული უფლებების შესაკვეცად. თავისი რეფორმატორული მოღვაწეობის გამო, 1582 წელს ნობუნაგა მოწინააღმდეგეთა შეთქმულების მსხვერპლი გახდა. როდესაც მან, მოულოდნელად ალყაში მოქცეულმა, შექმნილი გამოუვალი მდგომარეობა გააცნობიერა, როგორც ღირსეულმა მეომარმა რაინდმა, ჰარაკირის გზით თავი მოიკლა.

ნობუნაგას წილად ხვდა იაპონიის გაერთიანების ყველაზე რთული - სანცისი ეტაპი, რასაც მან წარმატებით გაართვა თავი. სწორედ მან შექმნა ის მყარი ფუნდამენტი, რომელზე დაყრდნობითაც იაპონიის მომდევნო ტოკუგავას დინასტიამ (1603-1867) ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ ნობუნაგას მიერ დაწყებული ქვეყნის გაერთიანების პროცესი წარმატებით დაავსებინა.

**Nana Gelashvili**

### **Japan's Political Unification (1573-1603)**

The process of the Japanese political unification began in the second half of the 16th century when Oda Nobunaga (1573-1582), an influential feudal family leader, came to power. He was an exceptionally talented commander, a warrior and a fervent patriot. Thanks to the successive war operations, he defeated the rivalry of feudal groups, rejoined numbers of territories and eventually succeeded in unification of the country. That's why in history his name is known as Japan's first unifier. With the aim of centralization of the country, Nobunaga carried out significant reforms in the period of his rule. He wasn't afraid of the implementing the innovations and experiments, which ultimately had positive effect on the country.

In this context, his religious policy deserves attention. In particular, due to the state-economic interests, Nobunaga has been the patron of the first Europeans in Japan - the merchants of Portugal (who carried firearms) and Catholic missionaries. He had radically different relationship with the Buddhist clergy. The reason for this was that the political course of Nobunaga was oriented on centralization of the government, and large Buddhist monasteries were constantly competing and aspiring to separatism. Therefore, Nobunaga made great efforts (including armed clashes) to limit their marginalized rights. As a result of reformist activities, in 1582, Nobunaga became the victim of the conspiracy of the adversaries. Having found himself ambushed suddenly, he regarded condition inexorable and as a worthy warrior resorted to Hara-kiri.

Nobunaga was appoirtioned to the most difficult - the initial stage of Japan's unification in which he succeeded. He created this solid foundation, upon which Japan's next government the Tokugawa Dynasty (1603-1867), successfully undertook the process of unification of the country started by Nobunaga.

## **ზაალ გოგენია**

### **„ესპანეთის საკითხი“ და საბჭოთა კავშირის პოზიცია 1945-1946 წ.წ.**

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ „ესპანური საკითხი“ დიდ სახელმწიფოებს შორის დაპირისპირების საგანი გახდა. საბჭოთა კავშირის პოზიცია მცირე შანსს ტოვებდა კონსენსუსის მისაღწევად. პირველი რეზოლუცია, რომელიც ფრანკისტულ ესპანეთს გაეროს კარს უკეთავდა (თუმცა რეზოლუციაში სიტყვა ესპანეთი ნახსენები არ ყოფილა), სან-ფრანცისკოს დამფუძნებელმა კონფერენციამ მიიღო. სტალინის დაჟინებული მოთხოვნით, საკითხი პოტსდამის კონფერენციაზე იქნა განხილული, სადაც უ. ჩერჩილის და ჰ. ტრუმენის წინააღმდეგობას ნაანყდა. სტალინის გეგმა უარყოფილ იქნა ესპანეთში ახალი სამოქალაქო ომის გაჩაღების შიშით.

სსრკ-ის პოზიცია ესპანეთთან დაკავშირებით გაანალიზებულია ამერიკელი დიპლომატის ჯ. კენანის 1946 წლის 2 თებერვლის წერილში, სადაც ავტორი საინტერესო აქცენტებს აკეთებს. ეს დოკუმენტი საყურადღებოა, რადგან კენანის ცნობილი „გრძელი დეპეშა“, სადაც საუბარია საბჭოთა გეოპოლიტიკურ მისწრაფებებზე და შეკავების პოლიტიკის

კონცეფციაზე, გამოგზავნილ იქნა 22 თებერვალს. სსრკ-ის გეგმებთან დაკავშირებით საყურადღებოა სხვა ამერიკელი დიპლომატის ბონსალის წერილიც და ა.შ.

საკითხის განხილვა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე 1946 წლის თებერვალში დაიწყო. ამას დროში დაემთხვა ანტიფრანკისტული პარტიზანული მოძრაობის ლიდერების სიკვდილით დასჯა, რამაც საფრანგეთის ტონი გაამკაცრა, ხოლო საბჭოთა პრესას მისცა მიზეზი, ახალი ტალღა აეგორებინა ფრანკოს რეჟიმის და იმ სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ ევროპაში „ფაშისტური კერის“ შენარჩუნებას. ესპანური საკითხის გაეროს უშიშროების საბჭოში განხილვა ინგლისისთვის მიუღებელი იყო, ვინაიდან სსრკ-ს შეეძლო ვეტოს უფლების გამოყენება. მოსკოვში უკვე შემუშავებული იყო განსაზღვრული გეგმა, რომლის სრული რეალიზებისთვის საჭირო იყო ხელსაყრელი პირობების მთელი კომპლექსის არსებობა. თუმცა წარუმატებელი ზენოლის შემთხვევაშიც ესპანეთი იქნებოდა მთავარი კოზირი დასავლეთთან პოლიტიკურ დაპირისპირებაში.

ესპანური საკითხი გაეროს უშიშროების საბჭოში განიხილებოდა აპრილ-ივლისში, პოლონეთის და მექსიკის წევრობა (2 წლით) უშიშროების საბჭოში სსრკ-ის პოზიციებს აძლიერებდა, ეს კი დიდ ბრიტანეთს და აშშ-ს წამგებიან მდგომარეობაში აყენებდა - მათ მოუწევდათ ფრანკოს რეჟიმის დაცვა, ხოლო სსრკ თავისუფლების და დემოკრატიისთვის მთავარი დამცველის როლში გამოვიდოდა.

მწვავე დებატების ფონზე, საბჭოთა წარმომადგენელი ა. გრომიკო ყველა პუნქტში ეწინააღმდეგებოდა ბრიტანულ და ამერიკულ პოზიციას. ის ეწინააღმდეგებოდა საკითხის უშიშროების საბჭოდან კვლავ გენერალურ ასამბლეაზე გადატანას. ოქტომბერში საკითხი გენერალურ ასამბლეაში დაბრუნდა. ბოლოს, 12 დეკემბერს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია №39 ესპანეთის საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ფრანკისტულ ესპანეთს იზოლაციაში აქცევდა, სანამ იქ არ შეიცვლებოდა არსებული რეჟიმი.

## Zaal Gogenia

### The Spanish Question and the Soviet Position in 1945-1946

After the Second World War, the “Spanish question” became the subject of controversy between the major powers. The position of the Soviet Union was leaving small chance for a consensus. The first resolution, which closed the doors of United Nations for the Francoist Spain, was adopted at the conference of San Francisco (1945). Joseph Stalin insisted to put the Spanish question on the agenda of Potsdam conference and it was discussed during the third plenary session. Stalin's plan was rejected by Winston Churchill and Harry Truman for fear of a new civil war in Spain.

Soviet position on the Spanish question was analyzed by US diplomat George Kennan in his letter of February 2, 1946, where the author stresses many interesting points. This document is important because Kennan's famous “long telegram,” which deals with the Soviet geopolitical aspirations and unveils the concepts of Containment policy was sent on February 22. Other American diplomat's Bonsal letters are also relevant to the Soviet plans.

The issue was discussed at the UN General Assembly in February 1946. This time coincided with the death penalty for the leaders of the anti-Francoist movement, which tensed the French tone, and the Soviet press started a new wave against the Franco regime and against those countries trying to keep the “fascist hearth” in Europe. Discussion of the Spanish issue in the UN Security Council was unacceptable for

England, since the USSR could use veto right. In Moscow a specific plan had already been developed with the entire complex of favourable conditions needed for its realization. But even if the pressure proved to be unsuccessful, the Spanish question remained one of Stalin's trump cards in the political confrontation with the West.

The Spanish issue was discussed at the UN Security Council in April-July. The Polish and Mexican membership strengthened the position of the USSR in the Security Council, and placed United States and Great Britain at disadvantage. They had to defend Franco regime, while the USSR would become the main "guard" of democracy and freedom.

Against the background of acute debates, the Soviet representative Gromiko opposed the British and American position at every point. He objected to the transferring of the discussion from the Security Council to the General Assembly. In October, the issue was returned to the General Assembly. Finally, on December 12, the General Assembly adopted a Resolution №39 on Spanish Issues which ostracized the Francoist Spain until the change of the existing regime.

## ია გრიგალაშვილი

### ქრისტიანთა თემი „წმინდა კოლაელ ყრმათა წამებაში“

ცნობილია, რომ ქრისტიანობის გავრცელების პირველ ხანებში განსაკუთრებით იგრძნობოდა ქრისტიანთა და არაქრისტიანთა განცალკევება როგორც გარეგნული ქცევით, ასევე სულიერი განწყობითაც. ეს ტენდენციები ნათლად არის გამოკვეთილი „წმინდა კოლაელ ყრმათა წამებაში“. როგორც ჰაგიოგრაფიული საკითხავის ავტორი აღნიშნავს, კოლას ხეობაში, მტკვრის სათავესთან, მცხოვრებთა უმრავლესობა წარმართი იყო, ხოლო უმცირესობა - ქრისტიანი.

ქრისტიანთა მოწესრიგებულ საეკლესიო ცხოვრებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ბავშვები მწუხრის ლოცვის დაწყებისთანავე იკრიბებოდნენ ეკლესიაში. ისინი თავიანთი მოწესრიგებული ქცევით მისაბაძები ყოფილან თანატოლი წარმართი ბავშვებისათვის. მათ სურდათ ქრისტიანებთან ერთად ყოფნა ლოცვის დროსაც ეკლესიაში. წარმართ ბავშვებს მათი რჩევით გაუჩნდათ სურვილი, მონათლულიყვნენ, რომ ამის შემდეგ მათთან ერთად შესულიყვნენ ეკლესიაში.

ტექსტიდან იკვეთება, რომ ქრისტიანი ბავშვები იცავენ ეკლესიის სინმინდეს, მათ, როგორც ჩანს, მოძღვრისგან და მშობლებისაგან აქვთ ჩაგონებული და გათავისებული პატივისცემით აღსავსე დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ, როგორც ღვთის სახლისადმი. მიუხედავად იმისა, რომ დღისით, დიდი ხნის განმავლობაში წარმართ ბავშვებთან ერთად თამაშობდნენ, საღამოობით მათ ნებას არ აძლევდნენ მოუნათლავები და, მაშასადამე, მოუმზადებლები, არაქრისტიანები დასწრებოდნენ ღვთისმსახურებას. აღსანიშნავია, რომ ქრისტიანთა დევნის პერიოდში განსაკუთრებით ფრთხილობდნენ მოსანათლი პირების მიმართ. ეს კი გამოწვეული იყო ეჭვით, შეძლებდნენ თუ არა ისინი ქრისტიანობის დაცვას მოწამეობრივად.

ეს ყოველივე მოწმობს, რომ II-III საუკუნეებში ქრისტიანობის არსი, მასთან დაკავშირებული წესები, სრულად ჰქონდა გათავისებული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიაზე მცხოვრებ ქრისტიანულ თემს, მათ შორის, კოლას ხეობაში მცხოვრებ ქრისტიან ბავშვებსაც.

## Ia Grigalashvili

### Christian Community in the "Martyrdom of the Nine Children of Kola "

It is well-known that in the early time of Christianity differences between the Christians and pagans were very clear. They were different according to their manners and spiritual mood. These tendencies are clearly revealed in the "Martyrdom of the Nine Children from Kola". As the author denotes in the gorge of Kola, near the head of the river Mtkvari the majority of local population were pagans and the Christians were in the minority.

The church life of the Christians was very well-organized as Christian children gathered in the church as soon as the Evening Prayer started in the church. The Christian children were models for their pagan peers. The pagan children wanted to stay with them while praying in the church. The pagan children desired to be christened after Christian children advised to do so, and after that they were allowed to enter the church and attend the prayer with their Christian peers.

It is clear from the text that the Christian children defend church purity and as it seems they learn it and recognize the meaning of the faith, and possess respectful attitude to the church as to the God's house from their priest and parents.

Despite the fact that the most of their time they spent with their pagan friends, played with them, in the evening, the Christian children did not let them attend the church service because they were not baptized and prepared. It is noteworthy that at the time of Christian persecution Christians were careful in their relation towards the unchristened people. The reason was suspicion whether they could stand and receive the martyrdom for the Christian faith.

All above-mentioned proves that in the 2nd-3rd centuries on the south west territory of Georgia, Christian community including the children from the gorge of Kola well realized the meaning of the Christianity and also the rules related to it.

## ნანა გულიაშვილი

### მითი ფილოსოფიურ კონცეფციებში

ერთი არაორდინარული ეთიკურად სულის შემძვრელი „ოიდიპოს მეფის“ ამბავი განსხვავებულად ინტერპრეტირდება სხვადასხვა სოციო-კულტურულ გარემოში, რაც თავის მხრივ ემყარება იმ ეპისტემის საზღვრებს, რომელთა მიმართებაშიც განიხილება მოცემული ამბავი. სოფოკლეს „ოიდიპოს მეფის“ მითს ლაიტმოტივად გასდევს ზნეობრივი მარცხი დედაშვილობის, როგორც შეუვალი სინმინდის დარღვევისა. სოფოკლეს ამ ტრაგედიის იდეა განპირობებულია იმ მსოფლმხედველობით, რომელიც ემყარება ბედისწერის გარდუვალობას, ანუ იმ გარემოებას, რომელიც, ძველი ბერძნების აზრით, ყოფიერების უმთავრესი მახასიათებელია და რომლის მიხედვითაც ადამიანი აბსოლუტურად დეტერმინირებულია და მის არანაირ ნებელობით აქტივობას არ შეუძლია ამ დეტერმინაციის დარღვევა.

როცა მითოსური ცნობიერება ჩაანაცვლა ფილოსოფიურმა აზროვნებამ, შეცვალა ტრაგიკული გმირის ბედისწერით განსაზღვრის კონცეფცია კაუზალობის თვალსაზრისმა. არის-

ტოტელემ ფილოსოფიური კატეგორიების აუცილებლობა და შემთხვევითობის კატეგორიების მიხედვით გააანალიზა ტრაგიკული გმირის ცხოვრება.

ფროიდის აზრით, თუ „ოიდიპოს მეფე“ ანტიკურ ბერძენზე არანაკლებ აღელვებს თანამედროვე ადამიანს, მაშინ ტრაგედიის მნიშვნელობა ბედისწერასა და ადამიანურ ნებისყოფას შორის წინააღმდეგობის ასახვაში კი არა, არამედ თვითონ თემის თავისებურებაშია, რომლის წინადაგზეც გამოიხატება ეს წინააღმდეგობა.

გავრცელებული გამოთქმა „ოიდიპოსის კომპლექსი“ ზ. ფროიდის მიერ არის წარმოდგენილი და ის მისი ფსიქოლოგიური თეორიის ერთ-ერთი ქვაკუთხედი.

ერის ფრომი ოიდიპოს მეფის ცხოვრებას ანალიზებს ძალაუფლების პოზიციიდან. ის განიხილავს კონფლიქტს მატრიარქატსა და პატრიარქატს, საზოგადოებასა და პიროვნებას, ავტორიტარიზმსა და ჰუმანიზმს შორის.

ოიდიპოს მეფის ამბავი სოფოკლედან მოყოლებული აქტუალური იყო ყველა დროში. მისი ცხოვრება ფილოსოფიურად გააანალიზა არისტოტელემ, ასევე საინტერესოა ფროიდის ფსიქოლოგიურ არაცნობიერზე დაყრდნობით ოიდიპოს მეფის სახის დანახვა, მამაშვილური დაპირისპირება და ფრომის მიერ გააანალიზებული ძალაუფლებისადმი ლტოლვა, სოციალური თუ საზოგადოებრივი წყობა და მათი ურთიერთობა, რაც ამბის შინაარსშია გადმოცემული. ინტერესი კვლავაც დიდი იქნება ოიდიპოს მეფის ცხოვრების შესახებ იმ ეპოქაში, სადაც ვირტუალური სამყარო ასე მნიშვნელოვანი გახდა.

**Nana Guliashvili**

### **Myth in Philosophical Concepts**

The story of the Oedipus the king, one of the extraordinary ethical souls, is interpreted differently in various socio-cultural environments that are based on the boundaries of the epistle in which the story is considered. Sophocles, the myth of the King of Oedipo, is a lithotomy in the moral failure of the maternity as a violation of the incomplete holiness. Sophocles' idea of this tragedy is determined by the village view that is based on the inevitable destiny of the fate. That is the circumstance that the ancient Greeks think is the main characteristic of the existence, and according to which the man is absolutely determined and its function can not violate this determination.

When the mystic consciousness was replaced by philosophical thinking, the conception of the tragic hero was changed by the concept of the masculinity. Aristotle's need for philosophical categories and analyzing the life of the tragic hero according to random categories.

Freud believes that if the "King of Oedipus" does not care about the modern people of the antiquity Greek, then the importance of the tragedy is not in rebuking the resistance between destiny and human will, but in the nature of the subject itself, this resistance is expressed.

The pronounced expression "Oedipus complex" is represented by Z. Freud and is one of the pillars of his psychological theory.

Erich Phromi analyzes the life of Oedipus from the position of power. He discusses the conflict between the matriarchate and the patriarchate between the authoritarianism and humanism between society and the individual.

Oedipus the King's story of Sophocles from the Current was all the time in his life philosophically analyzed by Aristotle, also interesting Freudian psychological unconscious on Oedipus the King's face, father and son controversy and Fromm's analysis of the power drive, and social and public order and their relationship, which is presented in the story. Interest continues to be the life of the King of Oedipus in the era where the virtual world became so important.

## მაია გურგენიძე

### მოკლე შეტყობინებების ენა და თანამედროვე ინგლისური ენის განვითარების თავისებურებანი

დღესდღეისობით მოკლე შეტყობინებების ენა ძალიან განვითარდა და მრავალენოვანი მსოფლიოს ნაწილი გახდა. ტექსტური შეტყობინების მიზანია, დაამყაროს კომუნიკაცია მარტივი სტრუქტურების გამოყენებით. მკითხველმა უნდა შეძლოს ტერმინოლოგიის მოკლე და ვრცელი ფორმების ინტერპრეტაცია იმ კონტექსტისა და სიტუაციის მიხედვით, რომელშიც სიტყვა გამოიყენება. ხშირია სიტყვის ჩანაცვლება ასოთი, ზოგ შემთხვევაში ციფრები ჩანაცვლებიან სიტყვებს. ტექსტური ენის გასაგებად ძალიან მნიშვნელოვანია კონტექსტი. მისი გათვალისწინების გარეშე ტექსტის გაგება საკმაოდ რთულია (თუმცა ინგლისურს, როგორც ყველა სხვა ენას, აქვს უამრავი სიტყვა, რომელთაც სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს). კორმოსის მიხედვით, „ტექსტი ყოველთვის არ მიჰყვება და არ ემორჩილება ჩვეულებრივ გრამატიკას, მეტიც, ხშირად გამოყენებული სიტყვები არ არის აღნიშნული სტანდარტული ინგლისური ენის განმარტებით ლექსიკონებში ან არ არის ცნობილი აკადემიური ინგლისური ენისათვის“. მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ მოკლე ტექსტური შეტყობინებების ენა საფრთხეს უქმნის ინგლისური ენის განვითარებას, მაშინ როდესაც მეცნიერთა ერთი ჯგუფი მიიჩნევს, რომ ტექსტური შეტყობინებების ენას ბევრი დადებითი მხარე აქვს და დიდ როლს ასრულებს ენის განვითარებაში. ჩვენს მოხსენებაში განხილული იქნება ამ საკითხის დადებითი და უარყოფითი მხარეები და გამოვიტანთ შესაბამის დასკვნებს.

## Maia Gurgeniძe

### About some peculiarities of the SMS language in Modern English

Nowadays the SMS language has developed a lot and has become a part of the multilingual world. The main aim of the SMS language is to help people communicate. The reader should be able to understand the meaning of the word according to the context and the situation it is used. There are many cases when the word is replaced by a letter and in some cases the word is replaced by a figure. It is extremely important to know the context in order to find out the meaning of the SMS language. Without context it is almost impossible to guess the meaning in most of the cases. (though there are lots of words



in English with different meanings). According to Kormos, the SMS text almost never follows and obeys the rules of the standard grammar; moreover, there are words in the SMS language which can't be found in the Standard English dictionaries. Some scholars consider that the SMS language influences negatively to the development of the modern language but others think that the sms language has many advantages and it plays a vital role in the development of the English language. The advantages and disadvantages will be discussed in our paper and we will try to make the appropriate conclusions.

## მარიამ გურგენიძე

### ქრისტიანიზაციის პროცესის თავისებურებები სკანდინავიაში

ნაშრომში განხილულია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი შუა საუკუნეების ევროპის ისტორიაში – ქრისტიანობის გავრცელება სკანდინავიის ტერიტორიაზე, ვიკინგების ეპოქაში (VIII-XI სს.).

საკითხის კვლევა დაკავშირებულია ძველი სკანდინავიური წარმართული რელიგიის, სკანდინავიის ტერიტორიაზე დანიის, შვედეთისა და ნორვეგიის სამეფოების ჩამოყალიბების პროცესების განხილვასთან. შესაბამისად, ნაშრომში განხილულია ვიკინგთა თავდასხმები, მათი შორეული ექსპედიციები, სკანდინავიაში ქრისტიან მისიონერთა მოღვაწეობა და სკანდინავიური სამეფოების საგარეო პოლიტიკა.

საკითხის შესწავლა ეფუძნება შუა საუკუნეების საისტორიო წყაროებს, მისიონერთა და მოგზაურთა ჩანაწერებს, სკანდინავიურ საგებსა და სკალდური პოეზიის ნიმუშებს, ზეპირ-სიტყვიერ გადმოცემებს, მითებს, არქეოლოგიურ მონაცემებს, მატერიალური კულტურის ნიმუშებს, რუნოვან ქვებს, წარმართული და ქრისტიანული ტაძრების დაარსებას, მისიონერთა მოღვაწეობას და აღნიშნული საკითხების განხილვას მემატრიანეთა ნაშრომებში.

მოცემული საკითხები ქართულ სამეცნიერო სივრცეში არ არის შესწავლილი და მისი აღნიშნული კუთხით კვლევა ერთგვარ სიახლეს წარმოადგენს. ჩრდილოელებმა, როგორც მათ ბრიტანელები და ფრანკები უწოდებდნენ, საშინელი რისხვა დაატეხეს თავს აღნიშნულ სამეფოებს; გაძარცვეს და გადაწვეს ქრისტიანული მონასტრები, საუკუნეების განმავლობაში ავიწროებდნენ ბრიტანეთის სამეფოებს - მერსიას, ნორთუმბრიას, ვესექსს. მათ მთავარ მიზანს მოსაგლიანი ტერიტორიების ათვისება, სიმდიდრის მოპოვება, საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვა და ცივილიზებულ სამყაროში ინტეგრაცია წარმოადგენდა. უდავოდ საინტერესოა, ვიკინგეთა საზოგადოებაში, რომელიც წარმოადგენდა თითქმის მთელი ქრისტიანული სამყაროს რისხვას, მყარი წარმართული რწმენის მიუხედავად, როგორ განვითარდა სკანდინავიურ საზოგადოებაში ქრისტიანიზაციის პროცესი. რა უბიძგებდა და რა პროცესები განაპირობებდა ახალი სარწმუნოების მიღების საკითხს, ახალი რწმენისა, რომელმაც მნიშვნელოვნად დააჩქარა სკანდინავიური საზოგადოების ცივილიზებულ ქრისტიანულ სამყაროსთან ინტეგრაცია, საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობისა და ქალაქმშენებლობის პროცესი; რა პირობებში უწევდათ მოღვაწეობა კათოლიკე მისიონერებს და რა მიზნები ამოზრავებდათ ამ პროცესის ინიციატივის სათავეში მყოფ რომის კათოლიკურ ეკლესიასა და ევროპული სამეფოების მონარქებს.

როგორ შეძლო წარმართულმა საზოგადოებამ, რომლის თავდასხმებმაც ცივილიზებულ სამეფოებში ფეოდალიზაციის პროცესი მნიშვნელოვნად შეაფერხა, ახალი მონოთეისტური რელიგიის მიღება.

## Mariam Gurgenzidze

### Peculiarities of Christianization Process in Scandinavia

The work deals with one of the most important issues in medieval European history, spreading Christianity in Scandinavian territory, in the epoch of Vikings (VIII-XI centuries).

The study of the matter is related to the process of formation of the old Scandinavian pagan religion, the kingdoms of Denmark, Sweden and Norway on the Scandinavian territory. Accordingly, the work deals with Viking attacks, their distant expeditions, Christian missionaries in Scandinavia, and the foreign policy of Scandinavian kingdoms.

The study is based on the medieval sources, missionaries and travelers recordings, Scandinavian and sagas skald poetry, oral traditions, myths, archaeological data, material culture artifacts, rune stones, pagan and Christian churches in the establishment, and the missionary work of the discussion of the chroniclers works.

These issues are not studied in the Georgian scientific sphere and research in this regard is a novelty.

The north, as they were called British and French, had a terrible outburst of these kingdoms. The Christian monasteries were looted and burned for centuries by the British kingdoms: Mercia, Norumbria, and Vesex. Their main goal was to acquire rich areas, to gain wealth, to engage in international trade and to integrate into the civilized world.

It is undoubtedly interesting that in the society of Vikings, which constituted almost the whole of Christendom, despite the strong pagan belief, the process of Christianization in the Scandinavian society has evolved. What were the push and what processes the new faiths have.

New faith that has significantly accelerated the integration of the Scandinavian society with the civilized world, the participation in international trade and the process of urbanization. In what conditions did the Roman Catholic mission and the goals of the Roman Catholic Church and the European monarchs headed by the initiative of this process?

How could a pagan society whose assaults in the civilized nations greatly impede the feudalization process, accepting a new monotheistic religion?

## როზეტა გუჯეჯიანი

### სოლიდარობის ტრადიციული ფორმები საქართველოში (სვანეთის რეგიონი)

კვლევა დამყარებულია საკუთარ საველე-ეთნოგრაფიულ მასალაზე. კვლევა ხორციელდებოდა 1995-2018 წლებში სვანეთში (მესტიისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტები), 2007-2008 წლებში – დალის ხეობაში (გულრიფშის მუნიციპალიტეტი) და სვანეთიდან გადმოსახლებულ ეკომიგრანტთა შორის ქართლსა და თრიალეთში (2006-2015).

სვანეთში, საქართველოს ერთ-ერთ მაღალმთიან მხარეში, სოციალური სტაბილურობის შენარჩუნება საზოგადოების წევრთა სრული სოლიდარობით მიიღწეოდა. საზოგადოებად მოიაზრებოდა ის კონკრეტული უჯრედები, რომლებიც ქმნიდნენ იერარქიულ კიბეს: მასში უმცირესი უჯრედი იყო ოჯახი, შემდეგ – საგვარეულო, სოფელი, თემი, ხეობა, სვანეთი, საქართველო, ზოგადად – კაცობრიობა.

საქართველოში და, კერძოდ, სვანეთში არსებობდა სოლიდარობის როგორც მექანიკური (Emile Durkheim), ასევე ინკლუზიური და უნივერსალური ფორმები (Hannah Arendt). სოლი-

დარობა გამოიხატებოდა ტრადიციულ ნორმებში (ჩვეულებითი სამართალი, ეტიკეტი, ქცევის წესები) შემდეგ სეგმენტებად: თემის ყოველი წევრი სრულუფლებიანი და სრულფასოვანია (ქალიც, კაციც, ბავშვიც, მოზარდიც, ინვალიდი, ფსიქიკური პრობლემების მქონე). თემი აკონტროლებდა ყოველი წევრისადმი მთელი თემის სოლიდარობის არსებობას როგორც მორალური, ასევე მატერიალური მხარდაჭერით. თემი (სოფელი, საგვარეულო) იცავდა სოციალური სოლიდარობის ფორმებს ჭირსა და ლხინში: სოფელში ვინმეს გარდაცვალების დროს წყდებოდა სალხინო შეკრებები, ნათესავები იმოსებოდნენ სამგლოვიარო სამოსით, მამაკაცები უშვებდნენ სამგლოვიარო წვერს. მიცვალებულის დაკრძალვამდე და შემდეგაც მთელი წლის განმავლობაში (საეკლესიო სულთა მოსახსენებელ დღეებში) თემი ეხმარებოდა გარდაცვლილის ოჯახს მატერიალურად. ტრადიციული სოციუმში უზრუნველყოფდა ქვრივისა და ობლის უფლებების დაცვას, რაც სოფლის პრესტიჟის საქმედ ითვლებოდა. ტრადიციულ სოციუმში ნორმად ითვლებოდა შეზღუდული შესაძლებლობის პირებისადმი სოლიდარობა, მათი მხარდაჭერა როგორც მატერიალურად, ასევე დაცვის მექანიზმების მეშვეობით. სვანეთის სოფლებში განსხვავებული ნიშნების მქონე ბავშვებს კი არ რიყავდნენ ან ასხვავებდნენ დანარჩენი მოზარდებისაგან, არამედ ცდილობდნენ მათ ჩართვას ყოველდღიურ ყოფაში სხვა თანატოლებთან ერთად და, შესაძლებლობის მიხედვით, ასწავლიდნენ ხელობას. ამავე დროს, ცნობილია არაერთი ფაქტი შეზღუდული შესაძლებლობების მოზარდების ე. წ. „შვილად აყვანისა“ არისტოკრატთა მხრიდან. ამ მხრივ განსაკუთრებით ბევრი ფაქტია შემონახული დადებულიანთა (სვანეთის ერთი ნაწილის მთავრები) ისტორიიდან, მაგალითად, ცნობილია, რომ მათ საკუთარ რეზიდენციაში წაიყვანეს და გაზარდეს ობოლი ძმები დემეტრიანები, რომელთაც სხვადასხვა სახის პრობლემები ჰქონდათ. ტრადიციულ ყოფაში უზრუნველყოფილი იყო შშმ პირების ქონების დაცვის საკითხიც. მათ დაცვას მთელი სასოფლო თემი და ადგილობრივი საეკლესიო პირები უზრუნველყოფდნენ. შშმ პირების ქონებრივი და მორალური დაცვა კონტროლდებოდა სვანეთის ჩვეულებითი სამართლის ნორმებითაც. არსებობდა შრომითი სოლიდარობის ფორმები („ნადი“) – სოფელი ეხმარებოდა თანასოფელს სახლის მშენებლობაში, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში და სხვ.

ჩვენს დროში სოციალური სოლიდარობის ზოგიერთი ფორმა კვლავაც არსებობს ტრანსფორმირებული ან თითქმის უცვლელი სახით. ცოცხალია თანასოფელთა შორის სულიერი თუ მატერიალური თანადგომის წესები. ტრადიციული ფორმების განვითარების დინამიკა საინტერესო სურათს იძლევა.

## Rozeta Gujejiani

### Traditional forms of solidarity in Georgia (Svaneti region)

The research is based on the ethnographic field research carried out in Svaneti (Mestia and Lentekhi municipalities) in 1995-2018; in Dali gorge (Gulripshi municipality) in 2007-2008 and among the eco-migrants from Svaneti in Kartli and Trialeti in 2006-2015.

Svaneti is one of the mountainous parts of Georgia, where the achievement of social stability highly depended on the solidarity between the society members. The society was structured by the certain units, which were forming the hierarchic chain: starting from the smaller one – family and later on – kin group, village, community, gorge, Svaneti, Georgia and generally the mankind.

In Georgia, in Svaneti there were functioning the mechanical (Durkheim), inclusive and universal (Arendt) forms of solidarity. Solidarity was expressed in traditional norms (traditional law, etiquette, mode of behavior) in following segments: Each member of the community (men, women, children, disabled, ill) were equal and had the similar rights; The community controlled the demonstration of solidarity to each member by moral or material assistance; The community (village, kin group) followed the certain forms of solidarity during the feasts or mourning: in case of death in the community all events were stopped, relatives were dressed in mourning clothes, men were not shaving. The family of the deceased was helped materially during the whole year; Society defended the rights of widows and orphans; this was considered a prestige task for the society; The solidarity towards the disabled persons was considered to be norm in the traditional societies. They were supported materially and the mechanism of defense was elaborated as well. In the Villages in Svaneti the children with specific features were not distinguished from the others, they were involved in the everyday activities together with the others according to their abilities, they were taught the crafts. The ethnographic reality proves the facts of adoption of disabled children by the aristocrats. Such cases are connected to the history of Dadeshkeliani feudal house (rulers of the part of Svaneti). For example they have adopted and brought to house Demetrian orphan brothers who had several problems. The traditional being was regulating also the issue of disabled persons' property protection. Responsible for this was the whole community and the local ecclesiastic authorities. The protection of property and moral support was also regulated by the traditional law. There were practiced also the labour solidarity ("Nadi"). The village supported the villagers during the construction works or economic activities etc.

Some forms of solidarity are practiced nowadays as well; some have been transformed the others have maintained their forms. The dynamics of these developments are discussed in the paper.

## ნინო ბაგრატიონ-დავითაშვილი

### ქართული ზმნის სალექსიკონო ერთეულის განსაზღვრისათვის ორენოვან ლექსიკონებში

ქართული ზმნის სალექსიკონო ერთეულის განსაზღვრა ერთ-ერთი პრობლემური საკითხია ქართული ლექსიკოგრაფიისათვის. ქართული ზმნის პოლიპერსონალიზმი და გრამ-ატიკულ კატეგორიათა სიმრავლე, რომლებიც აისახება ზმნის ფორმაში, ართულებს საკითხის მარტივად გადაწყვეტას.

ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორია, განსაკუთრებით მხედველობაში გვაქვს სულხან-საბა ორბელიანის ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი „სიტყვის კონა“ (XVII ს-ის დასაწყისი), საშუალებას გვაძლევს, საკითხი განვიხილოთ ისტორიულ ჭრილში.

ქართული ზმნის სალექსიკონო ერთეული პირველად განსაზღვრა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის გამოცემასთან დაკავშირებით შექმნილმა სარედაქციო კომისიამ აკად. არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით (ლექსიკონის პირველი ტომი გამოვიდა 1950 წელს). ქართული ზმნის ლექსიკურ ერთეულად მიჩნეულ იქნა ანწყოს მესამე პირის ფორმა, რომელიც შემდგომში გამოიყენეს სხვა ლექსიკონებში. ასევე მოცემულია საყრენი ფორმებიც.

დღეს ძალიან აქტუალური გახდა ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, როგორც მეორე ენის სწავლების საკითხები. უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ორენოვან ლექსიკონებს. ვინ არიან ამ ლექსიკონის მომხმარებლები და რა სჭირდებათ მათ? მათ სჭირდებათ სიტყვის არა

მარტო ლექსიკური მნიშვნელობა, არამედ ზმნის ფორმასთან დაკავშირებული პირების წარმოჩენა ნაცვალსახელების შესაბამისი ფორმებით, რაც არის მარტივი წინადადების კონსტრუქცია. ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნული უნდა გავითვალისწინოთ ორენოვანი ლექსიკონების შედგენისას.

## Nino Bagration-Davitashvili

### On the Definition of a Dictionary Unit of a Georgian Verb in Bilingual Dictionaries

The definition of a dictionary unit of Georgian verb is one of the problematic issues for Georgian lexicographers. The polypersonalism of the Georgian verb, the multitude of the grammatical categories reflected in the verb form- all the complicate the matter.

The history of Georgian lexicography, namely, the explanatory dictionary of the Georgian language "Sitkvis Kona" compiled by Sulikhan-Saba Orbeliani (the beginning of the XVII century) enables to analyze the issue in the historical plan.

The dictionary unit of a Georgian verb was first defined in connection with the publication of the explanatory dictionary of the Georgian language. The head of the editorial committee was Arnold Chikobava (the first volume of the dictionary was issued in 1950). The third person present tense form of the verb was considered as the dictionary unit. Later this form was used in other dictionaries.

Currently, teaching of Georgian both as the state and second language is pressing task. Therefore, bilingual dictionaries gain the special importance. Who are the users of these dictionaries and what are their needs? What the need to know is not only the lexical meaning of the word, but its correct forms with its pronouns which are related to these words. It is in whole the construction of the simple sentence. The above-mentioned should be taken into account when compiling bilingual dictionaries

## თედო დუნდუა

### ახალი ეპიგრაფიკული და ნარატიული წყაროები ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიისათვის

წერილობითი წყაროები ძვ. წ. VI - ახ. წ. IV სს. კოლხეთის/ლაზიკის და ქართლის შესახებ შედარებით მცირერიცხოვანი და ძირითადად ფრაგმენტულია. სწორედ ამიტომ ამ კატეგორიის ახალი მასალა ზოგჯერ ფუნდამენტური სამეცნიერო დასკვნის საფუძველიც კი გამხდარა. ვნახოთ, რა ცნობებს გვანვდის ჩვენ მიერ მოძიებული თუ ახლებურად ინტერპრეტირებული ეპიგრაფიკული ძეგლები და ერთი ნარატიული პასაჟი.

1. ჰალიკარნასის თეატრის ძვ. წ. III-II სს. დათარიღებულ ბერძნულ წარწერაში იხსენიება III თაობის მოსხი. ნუმისმატიკური მასალის მოშველიებით აშკარაა, რომ მოსხი, ძე მოსხისა, ქალაქ სმირნის მაგისტრატის სადღაც ძვ. წ. II ს., მესხურ/იბერული წარმოშობის ყოფილა.

2. ბერძნულ ენაზე შესრულებული კაპიტოლიუმის სტელა, ალბათ, სადედიკაციო სტელაა, რომელსაც კოლხეთის ბასილევსი მითრიდატე ფილოპატორ ფილადელფოსი, ძე მითრიდატესი (ეპვატორის), უძღვნის თავის მეგობარ და მოკავშირე რომაელ ხალხს.

3. პლატეასთან აღმოჩენილ ახ. წ. II ს-ით დათარიღებულ ბრინჯაოს პლიტაზე 40 ქრისტიანი მამაკაცის სახელი წერია. მათ შორისაა გაიოს იბერიც.

4. გაგრის რაიონში აღმოჩენილ ვერცხლის თასზე ბასილევსი პაკური იხსენიება. ლაზთა მეფე პაკური იხსენიება აგრეთვე იულიუს კაპიტოლინთან, ახ. წ. II ს-ის ამბებთან დაკავშირებით.

5. IV ს. ბერძნულ აპოკრიფულ თხზულებაში საუბარია ქერსონესში გადასახლებულ რომის III თუ IV ეპისკოპოსზე (პაპზე), რომელიც წარმატებით ქადაგებდა ყირიმში. მისი პროზელიტიზმის არეალში პიტიუნტიც მოექცა.

## Tedo Dundua

### New Inscriptions and Narrative about Georgia in Antiquity

Scarcity of sources about Ancient Georgia leads to new discoveries and interpretations. Four inscriptions and one passage presented here are either newly discovered, or newly interpreted.

1. Third generation Moschos is mentioned in the 3rd-2nd cc. B.C. Greek inscription of Halikarnassos theatre. Using numismatics, Moschos, son of Moschos, magistrate of Smyrna in the 2nd c. B.C., could be of Moschian/Iberian origin.

2. One inscription from Capitolium seems to be a dedication sent by king of Colchis Mithridates Philopator Philadelphos, son of Mithridates (Eupator), to the Roman people, his friend and ally.

3. Bronze plate of the 2nd-3rd cc. from Platea offers the names of 40 male Christians, Gaius the Iberian is among them.

4. Silver cup from Gagra district has Greek inscription as follows: I, Pacuros, the king, gave to (my) sheep. And Iulius Capitolinus narrates about Lazi king Pacorus under Antoninus Pius.

5. Apocryphal Greek acts of martyrdom, dated by the 4th c., tell about the third or the fourth bishop of Rome (Pope) Clement (92-101), banished to Chersonesus (Crimea). Still, he managed to go on with his Christian propaganda with his pupils acting as far as Pitius in Colchis.

## ნინო ეჯიბაძე

### ერთი თანამედროვე ტენდენციის შესახებ არაბულში

1. სალიტერატურო არაბული ენა, დიალექტების სოციოლინგვისტური როლის მკვეთრი აქტუალიზებიდან გამომდინარე, განიცდის გარკვეულ გავლენას ამ უკანასკნელთა მხრიდან, რაც აისახება მორფოლოგიის, მორფოსინტაქსის, ორთოგრაფიის და ა.შ. სფეროში. მაგალითად, ზოგ შემთხვევაში -āṭ მრავლობითისთვის უპირატესობის მინიჭება ფლექსიურ მრავლობითთან შედარებით უნდა განვიხილოთ, როგორც დიალექტური ფორმის მიერ სალიტერატურო ფორმაზე თავსმოხვეული ცვლილება, რომელიც დიალექტებისთვის დამახასიათებელი უნიფიკაციის ტენდენციის გამოხატულებაა. სასაუბრო არაბულის წიაღში მიმდინარე პროცესების უშუალო ანარეკლია სალიტერატურო ენაში იდაფას კონსტრუქციასთან დაკავშირებული თანამედროვე მოვლენებიც, რომელთა ანალიზზეცაა კონცენტრირებული მოცემული მოხსენება.

2. იდაფას კონსტრუქცია თანამედროვე არაბულში ცალკე დაკვირვების საფუძველს ქმნის. ეს კონსტრუქცია სალიტერატურო ენაში კუთვნილების გამოხატვის ყველაზე აქტიურ საშუალებად შეიძლება განვიხილოთ. დიალექტები მას უპირისპირებენ ალტერნატიულ საშუალებებს, კლასიკური ნორმები დარღვეულია. შედეგად – სასაუბრო არაბულში იდაფას კონსტრუქციის რედუქციის მოწმენი ვხდებით. ეს პროცესი ენაში ჯერაც ვითარდება. დიალექტური მოვლენები აისახება იდაფას კონსტრუქციის ხმარებაზე სალიტერატურო ენაშიც. აქ ყურადღებას იქცევს, ერთი მხრივ, ისეთი ცვლილებები, რომლებიც გრაფიკაშიც იჩენს თავს, და, მეორე მხრივ – ცვლილებები, რომელთა აღწერა მხოლოდ ორთოეპიაშია შესაძლებელი. საბოლოოდ, სასაუბრო ენიდან ინსპირირებული შეცდომები მკვიდრდება სალიტერატურო ენაში და პრაქტიკულად უკვე ნორმას ქმნის.

## Nino Ejibadze

### On One Modern Tendency in Arabic

1. The literary Arabic language, proceeding from actualization of the sociolinguistic role of the dialects, undergoes a certain influence of the latter, which is reflected in the field of morphology, morphosyntax, orthography, etc. For example, in some cases giving preference to the -āt plural as compared with flexional plural may be considered as a change imposed on the literary form by the dialectal form, which is a manifestation of the tendency towards unification, characteristic of the dialects. A direct reflection of the ongoing processes within Spoken Arabic is also the contemporary phenomena related with the Iḍāfa construction in the literary language, the analysis of which is the focus of the current presentation.

2. The Iḍāfa construction in Modern Arabic offers a basis for separate observation. This constructon may be regarded as the most active means of expressing possession in the literary language. The dialects oppose with it alternative means, the classical norms are violated. As a result, in Spoken Arabic the Iḍāfa construction is reduced. This process still continues in the language. The dialectal phenomena are reflected in the use of the Iḍāfa construction in the literary language as well. Here mention should be made, on the one hand, of the changes which are manifested in the graphic aspect as well, and, on the other one, the changes which can be described only in orthoepy. In conclusion, mistakes inspired by the spoken language find their way into the literary language and in fact already turn into a norm.

## სარდიონ ზედელაშვილი

### კავკასიის ალბანეთში ქრისტიანობის გავრცელების საკითხისათვის

ქრისტიანობა კავკასიის ალბანეთში IV საუკუნეში გავრცელდა. ამავე საუკუნეში მიიღეს ქრისტიანობა საქართველომ და სომხეთმა. კავკასიის ალბანეთში ქრისტიანობის მიღების თარიღად მიჩნეულია 313-314 წლები. დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობა მიიღეს 326, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში - 337 წელს.

კავკასიაში ქრისტიანობის თარიღს ყურადღებას არ მივაქცევდით, რომ არა ერთი გარემოება. ქრისტიანობის მიღების თარიღი ალბანეთში უფრო ადრინდელია, ვიდრე საქართველოში. საქართველოზე ადრე ალბანეთი ქრისტიანობას ვერ მიიღებდა. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი შესაძლებელია იყო დასავლეთის ქრისტიანული ცენტრებიდან ალბანეთის გეოგრაფიული სიშორე, მაშინ, როდესაც საქართველო უფრო ახლოს იყო ქრისტიანულ და რომაულ სამყაროსთან. მეტიც, პოლიტიკური გავლენა რომმა ჯერ საქართველოში დაამყარა ხოლო შემდეგ - კავკასიის აღმოსავლეთ რეგიონებში.

მეორე მიზეზი, რომ ალბანეთში საქართველოზე ადრე ვერ მოხერხდებოდა ქრისტიანობის გავრცელება, იყო უშუალო საზღვარი სპარსეთთან. ზოროასტრული სპარსეთი არ დაუმეგობრებდა მასზე დაქვემდებარებულ მეზობელ ალბანეთში იდეოლოგიურად მონინაალმდეგე რელიგიის დამკვიდრებას. სასანიდები სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ ბერძენ-რომაელებს და არ მისცემდნენ ალბანეთში თავიანთი პოლიტიკისა და სარწმუნოების დამკვიდრების შესაძლებლობას. კიდევ ერთ მიზეზს, რატომაც არ შეიძლებოდა საქართველოს გვერდის ავლით ალბანეთში ქრისტიანობის გავრცელება, წარმოადგენენ რომაელები, რომლებიც მსოფლიო დაპყრობის ექსპანსიონისტულ პოლიტიკას ახორციელებდნენ. ისინი ცდილობდნენ საყრდენის მოძებნას საქართველოს სახით, რომელსაც სახელმწიფოებრივი შეგნება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება უფრო მაღალ დონეზე უნდა ჰქონოდა, ვიდრე კავკასიის სხვა რეგიონებს. მიზეზი უნდა ვეძიოთ ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში - ქრისტეშობამდე, როდესაც დასავლეთის ქართულმა საზოგადოებამ (კოლხეთი) თავისი ბუნებრივი და გეოგრაფიული მდგომარეობით განავითარა მინათმოქმედება, რაც საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია. სწორედ ამგვარ საზოგადოებასთან დაამყარა ურთიერთობა მეორე განვითარებულმა საზოგადოებამ - ბერძნულმა პოლისებმა, რომლებმაც მოგვიანებით რომის, როგორც იმპერიისა, და იქ სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა. კავკასიის ამგვარ საზოგადოებასთან სურდათ რომაელებს დასაყრდენის პოვნა და ქრისტიანობის გავრცელების პერიოდში ისინიც დაინტერესებულნი იყვნენ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში ახალი რელიგიის გავრცელებით. შეუძლებელი იყო ცალკეული ჯგუფების მიერ, დამოუკიდებლად, ალბანეთში ქრისტიანობის გავრცელება. მიუხედავად ცალკეული პირების მიერ ქრისტიანობის ქადაგებისა, ალბანეთში პოლიტიკურად სპარსელთა ზეწოლის ქვეშ მყოფ აღმოსავლეთ კავკასიაში რთული უნდა ყოფილიყო ახალი რელიგიის შემოტანა მაშინ, როდესაც ალბანური ცალკეული საზოგადოებანი წარმართულ პოზიციებზე იდგნენ.

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ რომაული საზოგადოებისათვის აუცილებელი იყო, ძლიერი დასაყრდენი ჰყოლოდა მეზობელი ქრისტიანული სახელმწიფოს სახით. შესაძლებელია ქრისტიანობის პროპაგანდასა და გავრცელებაში, ბერძნულ-რომაულ საზოგადოებასთან ერთად, ქართული სახელმწიფოც აქტიურად ყოფილიყო ჩართული.

## Sardion Zedelashvili

### Towards the Issue of the Spread of Christianity in Caucasian Albania

Christianity in the Caucasus of Albania spread in the IV century. In the same century Christianity was adopted by Georgia and Armenia. The date of Christianity in the Caucasus in Albania is considered to be 313-314 years. Christianity in Western Georgia was 326 and East Georgia in 337 years.



We did not pay attention to the date of Christianity in the Caucasus, not one circumstance. The date of adoption of Christianity in Albania is earlier than in Georgia. Albania would not be able to accept Christianity before Georgia. One of the main reasons for this was the western geographic center of Albania's geographical distances, while Georgia was closer to the Christian and Roman world. Moreover, political influence was first established in Georgia and then in the eastern regions of the Caucasus.

The second reason is that in Albania, would not have adopted Christianity before Georgia as it bordered directly with Persia. Zoroastrian Persia would not have allowed the spread of opposing ideology in neighbouring Albania. The Scythians strongly opposed Greek-Romans and would not allow them to establish their policies and religions in Albania. One more reason why it would not be possible to avoid Georgia by spreading Christianity in Albania was the Romans who carried out expansionist policies of world conquest. They sought to find a pillar in the form of state consciousness and socio-economic development rather than other regions of the Caucasus. The reason must be sought before the antiquity of Christ, when the Georgian society of the West (Kolkheti) has developed agriculture in its natural and geographical position, which is a crucial feature of the development of the society. The relationship between the two developed societies - Greek policies, which have played a major role in shaping Rome as an empire and a state. Such a community of Caucasians wanted to find the stronghold of the Romans and they were interested in spreading the new religion in Western and Eastern Georgia during the spread of Christianity. It was impossible for individual groups to independently spread Christianity in Albania. In spite of the Christian preaching of Christianity by individuals, in the East Caucasus under political pressure in Albania, it would have been difficult to introduce a new religion while Albanian communities were in pagan positions.

After the spread of Christianity in Georgia, Roman society needed to be strong in the form of a neighboring Christian state. The Georgian state has been actively involved with the Greek-Roman society in promoting and spreading Christianity.

## **აპოლონ თაბუაშვილი**

### **სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში**

წინამდებარე მოხსენებაში მიმოხილულია ღვინის, მარცვლეული კულტურის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში. ფასების შესახებ ცნობები წყაროებში გვხვდება X საუკუნიდან. შესაბამისად, მოხსენებაში განხილულია ზოგიერთი პროდუქციის ფასები X საუკუნიდან დაწყებული XVIII საუკუნის ჩათვლით. ამავე დროს, შედარებულია საქართველოში და მეზობელ ქვეყნებში არსებული ძირითადი პროდუქციის ფასები.

## **Apolon Tabuashvili**

### **Prices on the Commodities in Feudal Georgia**

This paper deals with prices on wine, grain and other commodities in feudal Georgia. We have accounts on prices from 10th century historical sources. Hence, paper deals with prices on certain commodities beginning from 10th century to 18th century. Also, comparison is made between the prices on commodity in Georgia and its neighboring countries.

## ლერი თავაძე

### ორუჯუქის ციხე ისტორიულ ტაოში

ორუჯუქის ციხე მდებარეობს ისტორიულ ტაოში (არზრუმის პროვინცია, ოლთისის რაიონი, თურქეთის რესპუბლიკა). ქართულ სამეცნიერო სივრცეში აღნიშნული ძეგლის შესწავლას ბოლო დროს მიექცა ყურადღება, როდესაც ამ მხარეში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის, „ტაო-კლარჯეთის ქართული ციხესიმაგრეების“, ჯგუფი გაემგზავრა. სამეცნიერო ჯგუფმა, ციხესიმაგრის გარდა, მასთან ახლოს მდებარე IX-X საუკუნეებით დათარიღებული ეკლესიაც დააფიქსირა. ეკლესიის შესახებ ნარკვევი მომზადდა ამავე ჯგუფის ერთ-ერთი წევრის, ნინო სილაგაძის, მიერ. ჩვენი მიზანი გახდა საკუთრივ ციხესიმაგრის შესწავლა. ორუჯუქის ციხის ვრცელი აღწერილობის გარდა, შესწავლილი გვაქვს ციხის ისტორიულ-გეოგრაფიული გარემო, მოძიებულია სხვა მნიშვნელოვანი მასალები. ორუჯუქი, თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე, ტაოს დიდი ციხესიმაგრეა და შუა საუკუნეებში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა ქალაქ ოლთისის თავდაცვაში. ციხის აგების თარიღის შესახებ, ჩვენს ხელთ არსებულ წყაროებში, არაფერია ნათქვამი, თუმცა მისი აგება ეკლესიის მშენებლობის თანადროული უნდა იყოს. ციხე ბევრჯერ უნდა იყოს გადაკეთებული და განახლებული.

## Leri Tavadze

### Orujuk Fortress in Historical Tao

Orujuk fortress is located in historical Tao (Oltu İlçe of Erzurum province Republic of Turkey). The monument attracted the attention of the Georgian academic circles only after the expedition by the scientific research team of "The Georgian Fortresses of Tao-Klarjeti" project funded by Shota Rustaveli National Scientific Foundation. This team made a field survey and discovered church near the fortress, which was dated by 9th and 10th centuries. One of the group members, Nino Silagadze, made her publication available about church while our goal was the study of the fortress itself. Alongside with the description of the fortress we also have historical-geographic overview of the fortress and have collected some materials for the history of fortress. Orujuk fortress could be rendered as a large fortress of Tao region and it must have played the important role in the defense of Tao in the Medieval Georgian period. We do not possess the historical evidences that will include information about the date of construction of this fortress. But assuming from the architectural details of church that was founded next to Orujuk fortress we can declare that both, fortress and church, were constructed nearly at the same time. The fortress was reconstructed many times.

## მაია თუხარელი

### ძველი რუსული საბავშვო ლიტერატურა

ფასეულობების აღქმისა და შემეცნების პროცესი იწყება ჯერ კიდევ ადრეულ ბავშვობაში. საბავშვო ლიტერატურა ყოველთვის მიიჩნეოდა ფასეულობათა სისტემის ფორმირების მნიშვნელოვან საშუალებად. ჩვენამდე მოღწეული პირველი ინფორმაცია, რომ ბავშვებმა დაიწყეს კითხვა, განეკუთვნება X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის დასაწყისს. თუმცა, სპეციალური საბავშვო წიგნები დიდი ხნის განმავლობაში არ არსებობდა. ხანგრძლივი შერჩევის შედეგად საბავშვო საკითხავში შემოდის ნაწარმოებები, რომლებიც ნაწილობრივ აკმაყოფილებდა საბავშვო აუდიტორიის მოთხოვნებს, შეესაბამებოდა რა ასაკობრივ თავისებურებებსა და ინტერესებს. ასეთები იყო „მოძღვრებანი“, „ყოფა“, სამატიანო თქმულებები და ლეგენდები. პირველი საბავშვო ნაწარმოებები რუსეთში გამოჩნდა XV საუკუნის მეორე ნახევარში. პირველი საბავშვო ხელ-ნაწერი წიგნი 1491 წელს შეადგინა რუსმა დიპლომატმა და მთარგმნელმა დიმიტრი გერასიმოვმა. XVI საუკუნის მეორე ნახევარში გამოცემული იყო 12 საბავშვო წიგნი. მიუხედავად იმისა, რომ წიგნები განკუთვნილი იყო სასწავლო მიზნებისათვის, ისინი სცილდებოდა სახელმძღვანელოს ჩარჩოებს და გამოიყენებოდა საკითხავი წიგნის სახით.

XVII საუკუნიდან ჩნდება სხვადასხვა ტიპის სკოლები. ასწავლის განმავლობაში გამოიცა 50 საბავშვო წიგნი, რომელთა უმეტესობა სასწავლო ხასიათის იყო. პირველ საბავშვო რუს პოეტად უნდა ჩაითვალოს სავვატი. „ანბანური სწავლების“ პირველი განყოფილების მცირე შესავალში სავვატი წიგნს მზის შუქს ადარებს. მის მიერ გამოთქმულმა იდეებმა მიაღწია მწვერვალს XVII საუკუნის ბოლოს მოღვაწე დიდი რუსი პოეტის კარიონ ისტომინის შემოქმედებაში, რომელიც მთლიანად ეძღვნებოდა ბავშვებს. ერთ-ერთი საბავშვო პოეტი იყო სიმეონ პოლოცკი. სიმეონმა დაწერა, გამოსცა და მოამზადა დასაბეჭდად 14 წიგნი, რომელთაგან ნახევარი მიეკუთვნება სასწავლო ან საბავშვო წიგნებს.

XV-XVII საუკუნეებში შექმნილი რუსული საბავშვო ლიტერატურული ნაწარმოებები გვაძლევს საშუალებას, რომ ვაღიაროთ არსებობა ძველი რუსული საბავშვო ლიტერატურისა, რომელიც გახდა საფუძველი შემდგომ ეპოქებში რუსული საბავშვო ლიტერატურის განვითარებისათვის. ძველი რუსული ლიტერატურა ბავშვებისათვის არ იყო ერთგვაროვანი თავისი ხასიათით, განვითარების ტემპებით, განათლებასთან და მთლიანად რუსულ კულტურასთან კავშირებით. XV საუკუნის მეორე ნახევრიდან გამოჩნდა საკუთრივ საბავშვო ლიტერატურა. ამ პერიოდის (XVI საუკუნის მეორე ნახევარი) დასასრული ხასიათდება ნაბეჭდი წიგნების გამოჩენით.

## Maya Tukhareli

### The Old Russian Children's Literature

The process of awareness and acceptance of values starts from the earliest childhood. The most important means of forming the value system of the younger generation has always been children's literature. The first information that has reached us about children's reading dates back to the end of the 10th - the beginning of the 11th century. However, special books for children did not exist for a long time. As a result of prolonged selection, the reading circle of children began to include the works which satisfied them to some extent, met age characteristics and interests. Such were the Hortatives, Hagiographies,

chronicle tales and legends. The first works for children appeared in Russia in the second half of the XV-th century. The first manuscript book for children was created in 1491 by Russian diplomat and translator Dmitry Gerasimov. With the advent of printing, books were also published for children. In the second half of the 16th century, 12 children's books were published. Although they were all intended for educational purposes, they went far beyond the textbook, since they often served as books for reading. Since the XVII century there are schools of different types. During the century, about 50 children's books were published, most of which were still of an educational nature. The first Russian poet for children should be considered Savvatia. In a small foreword to the first section of the "Alphabet doctrine" Savvaty compares the book with sunlight. The ideas he expressed reached the peak in the works of the largest Russian poet of the end of the 17th century, Karion Istomin, which is entirely devoted to children. One of the first poets for children was Simeon Polotsky. Simeon wrote, published or prepared for publication 14 books, half of which are educational or children's books.

The works of Russian children's literature, created in the XV-XVII centuries, give grounds to recognize the existence of ancient Russian children's literature, which was the foundation for the development of Russian children's literature of subsequent eras. By its nature, the pace of development, in connection with the education and the whole of Russian culture, Old Russian literature for children was heterogeneous. From the second half of the XVth there appeared actually children's literature. The completion of this period (second half of the 16th century) is characterized by the appearance of printed books.

## მერაბ კალანდაძე

### საქართველოში იაკობინელთა დიქტატურის გაშუქების საკვანძო მომენტები

წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ გამოგვეჩვენოთ საქართველოში იაკობინელთა მოღვაწეობის გაშუქების ძირითადი ეტაპები. რა პერიოდები განვლო საქართველოში ამ პრობლემის შესწავლამ. ის პირობით ორ პერიოდად შეიძლება დაიყოს. მნიშვნელოვანია 1918 წელი – საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენა: 1. XIX საუკუნიდან 1918 წლამდე, როდესაც იაკობინელებისადმი დამოკიდებულება აქცენტების დასამაში მუდგანდებდა; 2. 1918 წლიდან დღემდე, როდესაც იაკობინელთა მოღვაწეობისადმი დამოკიდებულებამ მკვეთრი მეტამორფოზი განიცადა – უარყოფითი დამოკიდებულებებიდან უსაზღვრო ქებისაკენ. დღეს ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს გამოძებნოს რაღაც საშუალო გზა. ეს პერიოდები კიდევ იყოფა ქვეპერიოდებად. ფაქტობრივად, ეს არის საკითხის შიდა პერიოდიზაცია.

## Merab Kalandadze

### The Main Stages of Coverage of Jacobin Dictatorship in Georgia

The paper aims to find out the main stages of coverage of Jacobin activities in Georgia. In this regard, two periods should be distinguished. An important date in this respect is 1918, when the independence of Georgia was restored: 1. From the 19th century until 1918, when the attitude to Jacobins is revealed in

accentuations. 2. From 1918 till present, when the attitude to Jacobin activities has changed drastically – from negative attitude to immense praise. Currently Georgian historiography attempts to find the golden middle way. The above-mentioned two periods can be further divided into subperiods. In fact, this is the internal periodization of the issue.

## დალი კანდელაკი

### ცნობები საქართველოს შესახებ ჟურნალ „ვესტნიკ ევროპის“ ფურცლებზე

მე-19 საუკუნის რუსულ პერიოდულ გამოცემებს შორის გამორჩეული ადგილი უკავია ჟურნალს „ვესტნიკ ევროპი“, რომლის პირველი რედაქტორი გამოჩენილი რუსი ისტორიკოსი ნიკოლაი კარამზინი იყო. რუსეთში პირველად ამ გამოცემაში გაჩნდა სპეციალური რუბრიკა სათაურით – „პოლიტიკა“, რომელმაც მას გასაოცარი წარმატება მოუტანა. ამიტომ ნ. კარამზინის ჟურნალი გახდა გამორჩეული და უნიკალური მოვლენა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის რუსულ ჟურნალისტიკაში.

ჟურნალის საინფორმაციო პოლიტიკის მიზანს კომპეტენტური მკითხველის აღზრდა წარმოადგენდა. ვინაიდან საზოგადოებრივი აზრის ფორმირება ძირითადად პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული მასალების საფუძველზე ხდებოდა, ნ. კარამზინმა გამოცემის ფურცლებზე საინტერესო კორესპონდენციების, კომენტარების, სტატიების, წერილების, მიმოხილვების, მხატვრულ-პუბლიცისტური ნარკვევებისა და ფელეტონების გამოქვეყნება დაიწყო. ჟურნალი თვეში ორჯერ გამოდიოდა. მისი პოპულარობა იმდენად გაიზარდა, რომ თავდაპირველი ტირაჟი, 600 ეგზემპლარი, სულ ცოტა ხანში 1200-მდე გაიზარდა.

მნიშვნელოვანი ადგილი „ვესტნიკ ევროპის“ ფურცლებზე ისტორიულ პრობლემატიკას ეთმობოდა. ჟურნალში ქვეყნდებოდა მასალები როგორც კავკასიის სხვადასხვა კუთხეების, ასევე საქართველოს შესახებაც. რუს მკითხველს ეძლეოდა შესაძლებლობა, გასცნობოდა მისთვის ჯერ ისევ უცნობ მხარეებს მოგზაურთა ჩანაწერებიდან, უცხოური ჟურნალებში გამოქვეყნებული მასალებიდან და სხვ.

საქართველოს შესახებ გამოქვეყნებულია წერილები და, ასევე, ანალიტიკური შრომები. 1805 წელს, ჟურნალის მე-19 ნომერში, დაიბეჭდა მცირე მოცულობის ნარკვევი „საქართველო ალექსანდრე I-ის სკიპტრის ქვეშ“, რომელიც გერმანულიდან თარგმანს წარმოადგენს. უცნობი ავტორის ძირითად მიზანს არა ისტორიული მოვლენების შესახებ ინფორმაციის, არამედ ფაქტების მისეული შეფასებების მონოღება წარმოადგენდა.

სტატიიდან აშკარად იკვეთება ავტორის პრორუსული ორიენტაცია. ის საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში ყოფნას დადებით მოვლენად მიიჩნევს.

**Dali Kandelaki**

### **Notices about Georgia on the pages of magazine “Vestnik Evropy”**

“Vestnik Evropy” was one of the most significant magazines among the other periodic publishings in the XIX century Russia and the very first editor of it was Russian Historian Nikolai Karamzin. First time in Russia, only this magazine had section called “politics”, which was a huge success at the time. This was the reason, “Vestnik Evropy” became unique magazine in the Russian journalism in the first part of XIX century.

The aim of informational policy of the magazine was to raise the amount of competent readers, because at those times shaping of public opinion was based on published materials in local periodic magazines. N. Karamzin started publishing of interesting letters, commentaries, articles, reviews and literary-publicistic studies. The magazine was published twice a month. Due to the raising popularity, gross circulation of the magazine was doubled from 600 to 1200.

One of the most important parts on the pages of “Vestnik Evropy” was historical problematics. There were published materials about different parts of Caucasus, including Georgia. Russian readers were given a chance to get to know the unknown places, based on the travelers’ diaries, already published materials in foreign magazines and others.

There are published letters and analytical works about Georgia. In 1805, in the 19th number of the magazine, was published a small essay “Georgia under the sceptre of Alexander I”, which was translated from German. The aim of the unknown author was to deliver his own assessments of the facts to the reader and not to give general information about the historical facts. From the article reader can easily feel the pro-Russian orientation of the author, who believes, that the fact Georgia was part of Russia was a positive event.

**ვლადიმერ კეკელია**

### **მულტიკულტურული ვარიაციების ანარეკლი 11-14 სს. სომხურ ეპიგრაფიკაში**

XI საუკუნიდან სამხრეთ კავკასიაში საქართველოს სახელმწიფო გაძლიერდა, XII საუკუნიდან კი ჩრდილოეთი სომხეთი და შირაქის ყოფილი სომხური სამეფო დედაქალაქ ანისითურთ საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა. სომხურ პროვინციებში საქართველოს სახელმწიფოს სამოხელეო სისტემა, შესაბამისად, კანონმდებლობა გავრცელდა. ანისის მცხოვრებთა მრავალეთნიკურობის მიუხედავად, ქალაქის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს სომხური მოსახლეობა შეადგენდა. ამ ვითარების ფონზე შესრულებული სომხური ლაპიდარული წარწერები საინტერესო დაკვირვების საშუალებას იძლევა. მათში ასახული ფორმულირებები ადგილზე მულტიეთნიკურობას და ამით გამოწვეულ ახალ რეალობას ასახავს.

მოხსენებაში განხილულია XI–XVI სს. სომხურ ეპიგრაფიკაში არეკლილი, კავკასიაში საქართველოს დომინაციის პერიოდში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შედეგები. წარმოდგენილი იქნება შემდეგი სომხური ეპიგრაფიკული წარწერების თარგმანები და ანალიზი: მარმაშენი, ანისი (წმ. გრიგოლ განმანათლებლისა და მოციქულთა ეკლესიის), სანაჰინი, ჰალარნინი, ჰოვჰანავანჯი.

**Vladimer Kekelia**

### **Reflection of Multicultural Variations in the Armenian Epigraphy of the 11th-14th cc.**

From the 11<sup>th</sup> century, the kingdom of Georgia became especially strong in the South Caucasus. North Armenia and former Armenian kingdom of Shirak, including its capital city of Ani, entered the Georgian state from the 12<sup>th</sup> c. The Georgian official order and respectively the Georgian legislation were spread in the Armenian provinces. In spite of multi ethnicity of the inhabitants of Ani, the significant part of its population was Armenian. The Armenian lapidary inscriptions of this period enable the scholars to make interesting observations. Their formulations reflect new realities caused by the multi ethnicity.

The report deals with the results of political, social and economic processes in the period of the Georgian domination in Caucasus, reflected in the Armenian epigraphy of the 11th-14th cc. Translation and analysis of the epigraphic inscriptions from Marmashen, Ani (The Church of St. Gregory of Illuminator and Evangelists), Sanahin, Haghartsin and Hovhanavank will be also presented in the report.

### **სალომე კენჭოშვილი**

#### **იტალიური მიგრანტული ლიტერატურის განვითარების ეტაპები და თავისებურებანი**

იტალიური მიგრანტული ლიტერატურის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი მისი უმთავრესი თემატური, ჟანრული, სტილური და ენობრივი ნიშან-თვისებების მიხედვით შეიძლება პირობითად ორ პერიოდად დაიყოს. პირველი პერიოდი სათავეს იღებს 1990 წელს, როდესაც იტალიურ ენაზე მაროკოელი, სენეგალელი და ტუნისელი მიგრანტების პირველი ნაწარმოებები გამოქვეყნდა. თავდაპირველად ამ პერიოდის მიგრანტული ლიტერატურის ნიმუშებს მათი ავტორები, იტალიური ენის არასრულყოფილი ცოდნისა და შემოქმედებითი გამოცდილების უქონლობის გამო, იტალიელი მწერლებისა და ჟურნალისტების თანაავტორობით აქვეყნებდნენ. როგორც წესი, ამ პერიოდის მიგრანტთა ნაწარმოებები მხატვრული ელემენტებით გაზავებული დოკუმენტური პროზის ნიმუშებია ერთგვარი მოგონებების, სამგზავრო ჩანაწერების, დღიურებისა და ნარკვევების სახით. მათი დომინანტური მახასიათებლებია ავტობიოგრაფიზმი და ისეთი თემები, როგორებიცაა დატოვებულ სამშობლოში არსებული დიქტატორული რეჟიმი, მკაცრი პოლიტიკური სინამდვილე, ეკონომიკური სიდუხჭირე, სამშობლოდან იტალიამდე გავლილი რთული გზა და იტალიურ საზოგადოებაში ინტეგრირების სირთულე, ნოსტალგია, სიმარტოვისა და გარიყულობის განცდა.

იტალიური მიგრანტული ლიტერატურის მეორე ეტაპი XXI საუკუნის დამდეგს იწყება, როდესაც სამწერლო ასპარეზზე გამოდის ის თაობა, რომელსაც გათავისებული აქვს იტალიური ენა, ვინმეს თანაავტორობა აღარ ესაჭიროება და უფრო მეტად არის ინტეგრირებული იტალიურ საზოგადოებაში. ამ პერიოდის მიგრანტ მწერალთა ნაწარმოებების უმთავრესი ნიშან-თვისებებია

ჟანრული და თემატური მრავალფეროვნება და უფრო მაღალი ესთეტიკური დონე. ახალი თაობის მიგრანტთა პროზაულ და პოეტურ შემოქმედებაში წინაპართა სამშობლოსა და იტალიაზე ემოციურ მედიტაციასა და ინტელექტუალურ მსჯელობებთან ერთად, არაიშვიათად იჩენს თავს ისეთი მოტივი, როგორცაა ავტორის ფსიქოლოგიური გაორება ეთნიკურ სამშობლოსა და იტალიას შორის.

დამახასიათებელია როგორც ლიტერატურული კრიტიკისა და გამომცემლობების, ასევე მკითხველთა მზარდი ინტერესი იტალიური მიგრანტული ლიტერატურისადმი.

ენობრივად, ეთნიკურად, რელიგიურად, კულტურულად სრულიად განსხვავებული ტრადიციებიდან მომდინარე მიგრანტი მწერლების შემოქმედება თავისებურად ამდიდრებს იტალიურ კულტურას და ხელს უწყობს იტალიურ ლიტერატურაში მისთვის უცხო მხატვრული, ენობრივი და თხრობითი მოდელებისა და ახალი თემებისა და მოტივების ჩართვას.

## **Salome Kenchoshvili**

### **The Periods and Features of the Development of Italian Migrant Literature**

According to its main thematic, genre, stylistic and linguistic features the process of formation and development of Italian migrant literature can be divided into two periods. The first period dating back to 1900 when the works of Moroccan, Senegalese and Tunisian first works were published. At this early stage because of the insufficient knowledge of Italian and the lack of a creative experience the migrant authors published their works in co-authorship with Italian writers or journalists. As a rule, the works of migrant writers of that period are examples of a documentary prose, a kind of memories, travel notes, diaries, stories and reports. Their dominant feature is an autobiography connected with the description of the hard political reality and economic situation of an abandon homeland, troubles encountered on the way from a homeland to Italy, difficulties of integration in Italian society, and the sense of nostalgia, loneliness and apartness.

The second period of Italian migrant literature starts in the beginning of the XXI century when a new generation emerges in the creative field for which Italian is a second vernacular and is much more integrated in the Italian society. The dominant features of the works of migrant writers are genre and thematic diversity and much higher aesthetic level. In the works of the new generation of migrant writers along with a meditation and intellectual contemplation on a birthplace of ancestors is observed such motif as a dualism of consciousness between Italy and homeland of ancestors.

It is characteristic that there is a growing interest in literary criticism, publishers and the readership toward the works of migrant writers.

The works of migrant writers nourished by different linguistic, ethnic, religious and cultural traditions enriches Italian culture and promotes the inclusion of new set of themes and motifs in Italian literature.



## შოვნა კვანტალიანი

### მიცვალებულის კულტი და ხალხური სიტყვიერება (მეგრული მასალების მიხედვით)

ქართველ ტომთა ზეპირსიტყვიერებაში ერთ-ერთი საპატიო ადგილი მეგრულ ფოლკლორს უჭირავს. სამეგრელოში გავრცელებული სამგლოვიარო ზეპირსიტყვიერება და წესჩვევები საყურადღებო მნიშვნელობისაა.

მიცვალებულის გლოვის თითოეულ სტადიას მეგრულად თავისი ტერმინი გააჩნია. მოთქმა-დატირება მიცვალებულთან დაკავშირებული წესების აუცილებელი ნაწილია. სამეგრელოში უმთავრესად გავრცელებული ყოფილა მოთქმით ტირილი და ზარი.

მეგრელთა რწმენით, სიკვდილის შემდეგ სული განსაკუთრებულ მზრუნველობას თხოულობდა. ამიტომაც მიცვალებულის კულტის ტრადიცია ძლიერი იყო სამეგრელოს ყოფაში.

პოეტური სიმბოლიკით გამოირჩევა ე. წ. წინათგრძნობისეული ანუ წინასწარმეტყველური ფოლკლორული მასალები. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ერთი მეგრული სანესო ლექსი - „სიზმარი“. ამ ტექსტში ყურადღებას იქცევს სიკვდილის მაუნყებელი მთელი რიგი სიმბოლური სახეები: ყორანი, მოზვერი, ფოთოლცვენა, ალვის ხე, კიდობანი...

სამეგრელოში მთავარი ადგილი მაინც სარიტუალო ქმედებებს ეთმობოდა. სიკვდილის მაუნყებელი მთელი რიგი წინასწარი „მინიშნება“ სწამდათ (მინის თხრა, კბილის ჩამოვარდნა...).

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მიცვალებულთან დაკავშირებული ხის სიმბოლიკა, რომელსაც დაღუპვა-განახლების ძირებთან მივყავართ. საფლავზე ამოსული ხე განასახიერებს ადამიანის სხეულს და სული უკვე მასში ცხოვრობს.

სამეგრელოში არსებული სამგლოვიარო წეს-ჩვეულებები და მასთან დაკავშირებული სიტყვიერი მასალა დიდი მნიშვნელობისაა, რომელიც სრულყოფს ზოგადქართულ ფოლკლორს.

## Shovna Kvantaliani

### The Cult of Dead and the Oral Folklore (According to Mengrelian Materials)

In the oral folklore of Georgian tribes Mengrelian Folklore takes one of the important place. Mourning oral folklore and traditions spread in Samegrelo are very important.

Every stage of the Mengrelian mourning has its term in Mengrelian language. Mourning is the necessary part of the rules connected with the dead. In Samegrelo mainly rumours were spread.

According to the belief of the Mengrelians after the death soul needed special care. So the tradition of the cult of dead was very strong in Samegrelo.

Mengrelian materials are distinguished with prophetic features and poetic symbols. To this point of view Mengrelian poem “Dream” is noteworthy. In this text there are symbolic images of the death: a raven, bullock, leaf-fall, poplar tree, ark...

Ritual acts took an important place in Samegrelo. They believed prophetic signs (digging the ground, falling the tooth...).

Tree symbolic connected with the dead has got a special meaning and it's connected with the roots of death-renovation. The tree on the grave is the symbol of the body and the soul lives in it.

Mengrelian mourning traditions and oral materials connected with it has got a great importance and it completes the Georgian Folklore.

## ზვიად კვიციანი

### უნიკალური საიუველირო არტეფაქტი სვანეთიდან (ბრინჯაოს ამბოსი)

2011-2017 წლებში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, არქეოლოგიის ინსტიტუტის მიერ განხორციელდა სვანეთის სასწავლო-სამეცნიერო არქეოლოგიური ექსპედიციები (ხელმძღვანელი ზ.კვიციანი) არქეოლოგიის მიმართულების სტუდენტთა მონაწილეობით.

განხორციელებული სამუშაოების შედეგად გამოვლენილია უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური ძეგლები: მეტალურგიული კერა ძვ.წ. VIII-VII სს (ჭუბერის თემი, სოფ. ქედა მარლი)-, მარლი), ანტიკური ხანის მინის საწარმოს ნაშთები ძვ.წ. I – ახ.წ. I სს. (მულახის თემი, სოფ. არცხელი), მრავალფენიანი ნამოსახლარი და სამაროვანი ძვ.წ. XV-IV და V-IV საუკუნეები (იფარის თემი, სოფელი ბოგრეში)ბოგრეში), შუაბრინჯაოს ხანის სამაროვანი (იფარის თემი სოფ.ლუჰა). (ლიტ: ზ.კვიციანი-სამეურნეო იარაღები სვანეთიდან (ბრინჯაოს ფართოპირიანი თოხი). შუა საუკუნეების ნამოსახლარი (ბეჩოს თემი სოფ.უშხვანარი), გვიანი შუა საუკუნეების სამაროვანი (ეცერის თემი, სოფ.ეზუთი) თემი, საიუველირო (საოქრომჭედლო) ნივთები (ბეჩოს თემი, სოფ. ქართვნი), სოფ. ქართვნი ხაიშის ანტიკური ხანის საკულტო-რელიგიური კომპლექსი (სოფ.ხაიში), აღმოჩენილია უნიკალური არტეფაქტები ანტიკური ხანის საოქრომჭედლო (საიუველირო) იარაღები, რაც პირველი შემთხვევაა ქართულ არქეოლოგიაში.

გასულ 2017 წელს თსუ-ის სვანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სასწავლოდსაველე პრაქტიკის ფარგლებში გააგრძელა საველე არქეოლოგიური სამუშაოები ნაკრის თემის ტერიტორიაზე, სადაც გასულ 2016 წელს ჩვენ მიერ გამოვლენილი იქნა ანტიკური ხანის ნამოსახლარი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ნასოფლარ ჩუბარში, ეკლესიის ნანგრევებში ნაპოვნი სრულიად უნიკალური არტეფაქტი – ბრინჯაოს საიუველირო (საოქრომჭედლო) ყალიბი (ამბოსი), ზომები: დიამეტრი = 8სმ, სისქე = 1.5 სმ. აღსანიშნავია, რომ ოქროს საწმისის შესახებ არსებული მითი დაკავშირებულია ენგურის სათავეებში უძველესი დროიდან ცნობილ ოქროს მოპოვების ტრადიციასთან. სვანეთში მართლაც არის ნაპოვნი ოქროსგან ჩამოსხმული ვერძები, ხარის ქანდაკება, ერთი მათგანი დღესაც ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. ოქროს გველი (გველთევზი), ოქროს თასი, რომელიც ნაკიფარის წმ. გიორგის (ჯგურაგის) ეკლესიისათვის შეუწირავთ და დღესაც იქ ინახება. ლასილში აღმოჩენილი ოქროს ნივთების საჭედად ხმარებული კვერი (კვათხ) და პატარა ცული (კადა), ლასილსა და აცშია აღმოჩენილი ნაჯახები, ორკაპიანი ისრები, ოქროს ბაყაყები და თევზისნაირი გამოსახულებები. ლითონის ჭედვით და კერძოდ კი ოქრომჭედლობით ცნობილ კუთხეთა შორის სვანეთს იმთავითვე საპატიო ადგილი ჰქონდა დათმობილი. აკად. გ. ჩუბინაშვილის აზრით, „ქართული ოქრომჭედლობის ნივთები, რომლებიც სვანეთშია შემონახული, სვანეთის საოქრომჭედლო სახელოსნოებშივეა დამზადებული“ (გ.ჩუბინაშვილი; 1946).

ოქრომჭედლობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია ზემო სვანეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დღესაც ცოცხლობს. ოქრომჭედლობის ძირითადი ცენტრები ბალსქვემო სვანეთშია წარმოდგენილი: ბალსზემო სვანეთის ოსტატთა უმრავლესობასაც, როგორც გადმოგვცემენ, სახელოვნო განათლება ბალსქვემო სვანეთში აქვთ მიღებული.

საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, სვანეთშიც რკინას მამაკაცები ჭედენ, ოქრომჭედლობას კი, მამაკაცებთან ერთად, ქალებიც მისდევენ.

## ჯონი კვიციანი

### ადამიანის მრავალდონიანი იდენტობის ფორმირება კავკასიაში – რეგიონის ინტეგრაციის ფაქტორი

თანამედროვე მსოფლიო გლობალიზაციის გამოწვევებმა, რომელიც ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროში აღწევს, გამოიწვია ადამიანის აზროვნების ინტეგრალური დომინანტური მატრიცის ფორმირება. დასავლეთის (ევროკავშირი) და აღმოსავლეთის (ჩინეთი და წყნარი ოკეანის რეგიონი) მაგალითზე კარგად ჩანს, რომ ადამიანებში სულ უფრო იზრდება გაგება გადაუდებელი ამოცანების ერთობლივად გადწყვეტის საჭიროების შესახებ. თუ დასავლეთსა და, ნაწილობრივ, აღმოსავლეთში სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური განვითარების დონემ ადამიანი სამოქალაქო და კოსმოპოლიტური იდენტობის ბალანსისა და პოსტმატერიალისტური ღირებულებების ორიენტაციამდე მიიყვანა, პოლიეთნიკურ კავკასიაში სოციალურ-ეკონომიკურმა და საზოგადოების დემოკრატიულმა რეფორმირების სიძნელეებმა მატერიალისტური, ტრადიციული (ეთნიკური) ღირებულებების გაბატონება მოგვცა, რაც აძნელებს სამოქალაქო საზოგადოებისა და, შესაბამისად, მრავალდონიანი იდენტობების განვითარებას.

კავკასიის ქვეყნები (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი და რუსეთის ფედერაცია), თავიანთი მოსახლეობის ურბანიზებული რიცხვით და სოციალურ-პროფესიული მახასიათებლებით, თანამედროვე ტიპის საზოგადოებები არიან. მაგრამ მათი ისტორიულ-კულტურული, პოლიტიკურ-სამართლებრივი განვითარების თავისებურებები, ევროპის ქვეყნებიდან განსხვავებით, ჯერჯერობით უპირატესობას ანიჭებენ ეთნიკურობას.

ამ ბოლო დროს ცხადი გახდა, რომ კავკასიის ხალხები (ქართველები, აზერბაიჯანელები სომხები და რუსეთის მოქალაქეები) სულ უფრო ხშირად დემონსტრირებენ გლობალურ საერთაშორისო სისტემებში ინკორპორირების მაგალითს, რითიც ხელს უწყობენ ადამიანის მრავალდონიანი იდენტობის განვითარებას. ამავე დროს, მცირერიცხოვანი ერები, თავიანთი ეროვნული ღირებულებების, თვითმყოფადობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაკარგვის შიშის გამო, პერიოდულად ცდილობენ ეთნიკურობის და მათი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ავტონომიების რეალური შინაარსით დატვირთვის საკითხების აქტუალიზაციას. ამ უკანასკნელთა ძველი ფორმით ფუნქციონირება წინააღმდეგობაში მოვიდა ახალ, ერთიან დემოკრატიულ სახელმწიფოთა სახელმწიფო-სამართლებრივ მოწყობასთან. სინამდვილეში, ამჟამად, ავტონომიების პოლიტიკური ელიტები, ხშირად, თავიანთი ხელისუფლების შენარჩუნების ან იქ მოსასვლელად, ეთნიკურობას იყენებენ, როგორც სამოხილიზაციო რესურსს, რასაც ხშირად ეთნიკურ ნაციონალიზმამდე, დეზინტეგრაციამდე და კონფლიქტებამდე მიყვავართ.

კავკასიაში არსებული „გაყინული“ კონფლიქტები ხელს უშლის ისეთი ამოცანების გადაჭრას, როგორცაა სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მონაცემების პრობლემა. ეს თავის მხრივ ნეგატიურად აისახება სამოქალაქო და იდენტობის სხვა ფორმების განვითარებაზე და ამ ქვეყნებში ერთიანი სამოქალაქო ერის ფორმირებაზე. უფრო მეტიც, ეთნიკურობის პოლიტიზაციას მივყევართ ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროს არქაიზაციამდე, რაც ამჟამად დაუშვებელია.

ზემოაღნიშნული პრობლემების გადაჭრის მიზნით, მოხსენებაში განხილულია: 1. სახელმწიფოს როლი და ადგილი ადამიანის სამოქალაქო იდენტობის ფორმირებაში; 2. კავკასიის ქვეყნებში ადამიანის მრავალდონიანი იდენტობის (ეთნიკური, სამოქალაქო, რეგიონული, კოსმოპოლიტიკური) მნიშვნელობა რეგიონისა და მსოფლიო საზოგადოების ინტეგრაციის კონტექსტში.

**Joni Kvitsiani**

### **Multilevel Identity Formation of Human in the Caucasus – Regional Integration Factor**

The modern world globalization challenges covering all spheres of human life, resulted in the formation of integral dominant matrix of human thinking. West (EU) and East (China, Pacific Region) illustrate that human beings are increasingly understanding the necessity of urgent takes of joint solving. While the Western and partially Eastern level of socio-cultural, economic development resulted in the balance of civil and cosmopolitan identity, orientation of post material values, in the multiethnic Caucasus the social, economic public democratic reform difficulties resulted in the predominance of materialistic, traditional (ethnic) values, complicating the development of the civil society multi-level identities.

Considering the urbanization and social-occupational levels the Caucasian countries (Georgia, Azerbaijan, Armenia and the Russian Federation) are modern type societies. However, due to their specific historical-cultural development, prefer ethnicity to civil identity.

Caucasian peoples demonstrate examples of incorporation in global international systems, thus contributing to the development of human multilevel identity meanwhile minor nations are trying to load the issues of ethnicity, national-state autonomies with realistic content, to actualize them for fear of losing national values, identity cultural heritage. Functioning of the latter's via old form contrasts with new united democratic state arrangement. Actually political elite's autonomies use ethnicity to retain their power as mobilization resource often leading to ethnic nationalism, disintegration and conflicts.

Caucasian „frozen” conflicts hinder the state-territorial arrangement problem solving. This effect development of civil and other identity forms, united civil-society formation. Moreover, politicization of ethnicity leads to archaism in all spheres of life.

Therefore the author analyzes: 1. role and place of the state in civil identity formation; 2. Importance of multilevel identity (ethnic, civil, regional, and cosmopolitan) in the Caucasus in the integration context of the region and society.

## მაია ლომია

### უ-პრეფიქსიან ლექსემათა სემანტიკური განაწილების საკითხი მეგრულში<sup>1</sup>

უ-პრეფიქსი ქართველურ ენათა სახელურ ფუძეებში ყოველთვის უარყოფას გამოხატავს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ უ-პრეფიქსით ნაწარმოები ლექსიკური ერთეულები ყოველთვის უარყოფითი სემანტიკისაა. ამ თვალსაზრისით საინტერესო ენობრივი სურათი იკვეთება მეგრულში ორი ლექსემის შედარებითი ანალიზის საფუძველზე. ეს ლექსემებია:

(1) უ-ჩა – „შავი“/ეტიმოლოგიურად: „უთეთრო“.

(2) უ-ჩაში – „უფროსი“/ეტიმოლოგიურად: „უთეთრესი“.

მოხსენებაში ვრცლად წარმოვადგენთ ამ ლექსემათა სტრუქტურულ ანალიზს, რაც არის მათი სემანტიკური დიფერენციაციის საფუძველი.

## Maia Lomia

### On Semantic Distribution of the Lexemes with u- Prefix in the Megrelian Language

*The given paper has been prepared within the project “Category of the Negation in the Kartvelian Languages” (#FR17\_388); financed by Rustaveli National Scientific Foundation.*

The prefix უ-/u-/ in the nominal stems of Kartvelian languages always expresses negation. However, this does not mean that every lexical unit formed by means of prefix უ-/u-/ is of negative semantics. In this regard, mention should be made of the Megrelian language, namely, comparison of the following two lexemes:

(1) უ-ჩა /u-ča – „black“/etymologically means “without white”.

(2) უ-ჩაში /u-čaši– „elder“, “older”/etymologically meaning “the whitest”.

The paper offers detailed structural analysis of these lexemes, which, in its turn, forms grounds for their semantic differentiation.

## ხვთისო მამისიმედიშვილი

### საკრალური სიმბოლოები და ქრისტიანული კულტურის ელემენტები ნართების ეპოსის ჩეჩნურ და ინგუშურ ვერსიებში

თქმულებები ნართებზე ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ფოლკლორში, აგრეთვე აფხაზურ ზეპირსიტყვიერებაში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ეპიკურ ძეგლს წარმოადგენს.

<sup>1</sup> მოხსენება მომზადებულია სამეცნიერო პროექტის ფარგლებში: „უარყოფის კატეგორია ქართველურ ენებში“ (#FR17-388). პროექტი ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

სვანეთსა და რაჭაში დადასტურებული ერთი-ორი ნარატივის გარდა, ქართული ფოლკლორი თითქმის არ იცნობს გადმოცემებს ნართ გმირებზე. სამაგიეროდ, ნართების ეპოსის ყველა ნაციონალურ ვერსიაში იგრძნობა ქართული ტრადიციული ყოფის გავლენა. ქრისტიანული სიმბოლოებითა და ქართული კულტურის ცალკეული ელემენტებით განსაკუთრებით მდიდარია ნართების ეპოსის ჩეჩნური და ინგუშური ვერსიები.

როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მითოლოგიურ გადმოცემებში, ისე ნართების ეპოსის ჩეჩნურ და ინგუშურ ვერსიებში დასტურდება წმინდა ფრინველთან დაკავშირებული მსგავსი სიუჟეტები. ნართების ეპოსის მთავარ გმირს სესქათ სოლსას მოგზაურობისას მტრედი თან დაჰყვება, ეხმარება ჭაბუკს განსაცდელის დაძლევაში და ერთ ეპიზოდში მას სიკვდილისგან იხსნის. თავის მხრივ, სესქათ სოლსა ზრუნავს მტრედებზე. ის დაჭრილ მტრედს მხარს შეუხვევს და მათ დასაპურებლად ხორბალი მოჰყავს. სავარაუდოდ, სესქათ სოლსას ნართების ეპოსის ადრინდელ ვერსიებში ისეთივე მაღალი საკრალური სტატუსი უნდა ჰქონოდა, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ანდრეზებში აქვთ ხუცეს-მკადრეებს, რომლებსაც მტრედი, როგორც სულიწმინდის ფრინველი და მფარველი ანგელოზი, „მხარზე მოუდიოდათ“ და ღვთის ნებას გადასცემდნენ. სესქათ სოლსა, ხუცეს-ხევისბერთა მსგავსად, სინმინდესთან იყო დაკავშირებული. ი დახკილგოვის ცნობით, ინგუშეთის მთიანეთში, კერძოდ ზოგალ-დუყის მთაზე, სესქათ სოლსას სახელობის სალოცავი, ე. წ. „ერდა“ ყოფილა აღმართული.

ინგუშურ ეპოსში მარტოდ დარჩენილ სესქათ სოლსასთან მტრედს ნისკარტით მიაქვს ერთი წვეთი წყალი, რომელიც არა მარტო წყურვილს უკლავს მომაკვდავ გმირს, არამედ, როგორც უკვდავების მომნიჭებელი, მაცოცხლებელი და ზიარების გამომხატველი ნივთიერება, ეხმარება ჭაბუკს ამქვეყნიურ ყოფასთან განშორებაში.

მტრედის გამოსახულება გვხვდება როგორც უძველესი პერიოდის ქრისტიანულ კატაკომბებში, ასევე ჩეჩნეთისა და ინგუშეთის სალოცავებში და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საკულტო თასებზე.

ღრმა არქაული სიმბოლიკის შემცველია სესქათ სოლსას წინამძღოლობით სამოცდასამი ორსთხოელის უკანასკნელი შეკრება გამოქვაბულში, მათი თათბირი და თასის ჩამოტარება.

ნართების ეპოსში დასტურდება წარმოდგენები საიქიო ცხოვრებაზე, სადაც მოგზაურობენ ნართი გმირები. იალსამალი და ჟოჟალათი, ზეციური იერუსალიმისა და ჯოჯოხეთის აღმნიშვნელი სახელწოდებები ჩეჩნურ და ინგუშურ ენებში, როგორც ჩანს, ქრისტიანული რელიგიის გავრცელების შემდეგ ქართული ენის გავლენით დამკვიდრდა. ეშაპს, საიქიოს კარის მცველ მითოლოგიურ ურჩხულს, ნართების ეპოსის ჩეჩნური და ინგუშური ვერსიები ქართული ენიდან შესული სახელწოდებით იცნობენ.

ინგუშურ ნართულ თქმულებებში არაერთგზისაა ნახსენები წმინდა მთა „წეი-ლოამ“ (სიტვასიტყვ. მთაწმინდა), ხევისბერი (წეისაგ), სამი წმინდა ხარი, რომლებსაც თავისი პარალელები დაეძებნებათ ქართულ მითოლოგიურ სიუჟეტებსა და ქრისტიანულ სიმბოლოებთან.

ნართების ეპოსის ჩეჩნური და ინგუშური ვერსიები იქ ისლამის გავრცელებამდე ჩამოყალიბდა. ქრისტიანული წარმოდგენები, ლექსიკა და მითოლოგიური სახე-სიმბოლოები, რომლებიც ტრადიციულ ნიადაგზე გადამუშავდა და ადგილობრივ გარემოს მოერგო, ჩეჩნური და ინგუშური თქმულებების ყველაზე არქაულ ფენას განეკუთვნება.

## Khvtiso Mamisimedishvili

### Sacral Symbols and Elements of the Christian Culture in the Chechen and Ingush versions of the Nart epos

The stories about the Narts in the folklore of the North Caucasian peoples and in Apkhaz oral traditions are the most popular epic monument. All national versions of the Nart epos show the influence of the Georgian traditional life on them, and Chechen and Ingush versions of the Nart epos are particularly rich in Christian symbols and individual elements of the Georgian culture.

The mythological legends of the mountains of East Georgia and Chechen and the Ingush versions of the Nart epos have alike topics associated with a sacral bird. Presumably, in the early versions of the Nart epos, Seska Solsa must have had the same high sacral status as the cult servants are given according to the legends of East Georgian Mountains, with a pigeon as the bird of the Holy Spirit and Guarding Angel, sitting down on “their shoulder” to let them know the will of God. Seska Solsa, like the elders or the rulers of settlements, was associated with the sanctity, because it is known that there was a house of worship in the name of Seska Solsa built in the mountains of Ingushetia. As the Ingush epos tells us, a pigeon brings to Seska Solsa, who is left alone, one drop of water with its beak, which not only quenches the thirst of the dying hero, but as the substance giving the immortality and life and as the sign of the Holy Communion, also helps the youth in leaving this world.

An image of a pigeon is seen both, in the ancient Christian catacombs and worshipping houses in Ingushetia and Chechnya, as well as on the cult bowls of East Georgia.

The last meeting of twenty-three Orsthoel men under the leadership of Seska Solsa in the cave, their counsel and serving the bowl are the demonstration of profound archaic Christian symbols.

The Nart epos recognizes the ideas of the next world where Nart heroes travel. Terms Ialsamal and Jojagat, the names of the Heavenly Jerusalem and the Hell, respectively, in the Chechen and Ingush languages seem to have been introduced under the influence of the Georgian language (Ierusalimi and Jojokheti for Georgian, respectively) after the spread of the Christian religion.

The Ingush Nart legends mention sacred mountain Tseiloam (literally, Mtatsminda, or Holy Mountain for Georgian), ruler of the settlement (Tseisag), three sacred oxen, which have parallels in the Georgian mythological stories and Christian symbols.

The Chechen and Ingush versions of the Nart epos were established before the spread of Islam in the area. The Christian ideas, vocabulary and mythological images and symbols, which were revised on the traditional grounds and adapted to the local environment, belong to the most archaic layer of the Chechen and Ingush legends.

## ქეთევან მარგიანი

### კვლავ სვანური ენის კოდორული მეტყველების სტატუსისთვის

კოდორის (resp. დალის) ხეობა საქართველოს ის ისტორიული ტერიტორიაა, რომლის-კენაც მეცნიერთა თვალი ყოველთვის ინტერესით იყო მიპყრობილი და რომელსაც „როგორც ანტიკურ, ისე საშუალო საუკუნეთა ეპოქაში მივსიანეთი (Mivssianoi) ეწოდებოდა“ (მ. ქალდანი).

ამ ხეობაში საუკუნე-ნახევრის წინ ზემო სვანეთიდან საცხოვრებლად გადასული ბალ-სხემოური და ბალსქვემოური დიალექტების წარმომადგენლები, მათი საცხოვრებელი ტერი-

ტორიის ოკუპაციამდე, სოფლების მიხედვით უმთავრესად ერთმანეთში იყვნენ შერეული, რამაც გამოიწვია მათ მეტყველებაში ერთი კილოს მიმსგავსება მეორის მიერ; ინტერფერენციამ ადსტრატის სახე მიიღო.

ეს მოვლენა კოდორის ხეობის (resp. დალის) ზემოსვანი მოსახლეობის მეტყველებაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში შეამჩნია მ. ქალდანმა, რომელიც აღნიშნავდა: „კოდორის ხეობაში მცხოვრები დღევანდელი სვანები იგივე ზემო სვანებია; მათი მეტყველება სვანური ენის ერთ-ერთ ახალ, მეტად რთულ და საინტერესო დიალექტად ჩამოყალიბების პროცესშია“; მიუხედავად საკითხის დასმისა, მისი შესწავლა ქართველოლოგთა მიერ გასულ საუკუნეში თითქმის აღარ გაგრძელებულა. მხოლოდ 21-ე საუკუნის გარიჟრაჟზე განახლდა იგი არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში იზა ჩანტლაძის ინიციატივით, მიუხედავად მნიშვნელოვანი დიდი სირთულეებისა (ცნობილი საომარი მოქმედებების შედეგად გარკვეულ პერიოდში კოდორის ხეობაში ჩასვლა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, თუმცა საკითხით დაინტერესებული მეცნიერთა ჯგუფი ამას გარკვეულწილად მაინც ახერხებდა), შეგროვდა დიდძალი ემპირიული მასალა და გამოიცა 835-გვერდიანი პუბლიკაცია „კოდორული ქრონიკები“ გამოკვლევებითურთ“, სადაც კოდორული მეტყველების სპეციფიკა და თავისებურებებია განხილული. ლოგიკურად დაისვა საკითხი: დიალექტია თუ არა კოდორული მეტყველება? პრობლემის გადასაწყვეტად მუშაობის გაგრძელება გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვეღარ მოხერხდა ცნობილი საომარი ბატალიების მეორე ეტაპის გამო; საკითხის კვლევა კი კიდევ უფრო საშური გახდა, ვინაიდან საანალიზო მეტყველების მატარებელი მოსახლეობის არაკომპაქტური ცხოვრება (იქაური მოსახლეობა დევნილის სტატუსით მიმოიფანტა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: სვანეთში, ქვემო ქართლში, კახეთში, იმერეთში...) ახალ ცვლილებებს უქადდა მათ სამეტყველო კოდს. 2016 წელს შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა დააფინანსა ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსში წარდგენილი პროექტი: „კოდორული მეტყველების ადგილი სვანური ენის სისტემაში“ (ხელმძღვანელი ი. ჩანტლაძე), რამაც შესაძლებელი გახადა ლამის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მომოფანტული კოდორელების მეტყველებაზე ხანგრძლივი დაკვირვება და კვლევის გაგრძელება ახალი და საბოლოო შედეგების წარმოსაჩენად.

ნაშრომში განხილულია კვლევის წინასწარი შედეგების ნაწილი: კოდორულ სვანთა მეტყველებაში ყველაზე გავრცელებული და ნიშანდობლივი რამდენიმე ინტერფერენციული მოვლენა ფონეტიკა-მორფოლოგიის მიმართულებით.

**Ketevan Margiani**

### **Again on the Status of Kodori of the Svan Language**

The Kodori (resp. Dali) Gorge is the historic area of Georgia which has always been in the interest of scientists and which was called "*Mivssianeti (Mivssianot) in the ancient as well as Middle ages*" (M. Kaldani).

The representatives of the Upper Bal and Lower Bal dialects who migrated in the Kodori (resp. Dali) Gorge from Upper Svaneti a century and a half ago, before the occupation of their territory, were mixed with each other according to the villages, that caused the resemblance of one dialect to another in their speech. Interference gained a form of adstrat.



This phenomenon has been observed in the speech of the Kodori Gorge's (resp. Dali's) Upper Svanpopulation in the 70s of the last century by M. Kaldani: "*The present Svans residing in the Kodori Gorge are upper Svans. Their speech is in formation process into one of new, more complex and noteworthy dialects of Svan*". Despite the topicality of the issue, its investigation was not conducted in the last century by the kartvelologists. Only in the early 21<sup>st</sup> century it was renewed by Iza Chantladze's initiative at Arnold Chikobava Institute of Linguistics. Despite the great hardships (at certain times, the trip to the Kodori Gorge was associated with great risk due to the well-known military actions. However, a group of scientists interested in the issue to some extent still managed it) a large empirical material was obtained and 835-page publication "*Kodorian Chronicles*" was published, where the specifics and properties of the Kodorian speech are discussed. The logical question was raised: Is Kodorian speech dialect or not? For a certain period of time the proceeding with the investigation to solve the problem failed due to the second phase of the well-known military battles. Research has become even more significant, since the non-compact life of the population speaking an analytical speech (local population has been dispersed throughout the regions of Georgia as refugees in: Svaneti, Kvemo Kartli, Kakheti, Imereti...) threatened new changes in their speech code. In 2016, the Rustaveli Foundation funded the fundamental research project: "*Place of Kodorian Speech in Svan Language System*" (Principal investigator I. Chantladze), which made it possible to observe the speech of Kodorian population dispersed throughout Georgia and to continue the research to reveal new and final results.

The work deals with the part of the preliminary outcomes of the research: some of the most common and remarkable interference occurrences in the speech of Kodorian Svans in the direction of phonetics and morphology.

## ანა მალაკელიძე

### დიმიტრი ერისთავის მხატვრობა ოთარ იოსელიანის ფილმში „იყო შაშვი მგალობელი“

ქართველი მხატვრების 60-იანელთა თაობის წარმომადგენელი დიმიტრი ერისთავი იმ ხელოვანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც ქართული სახვითი ხელოვნების რადიკალური გარდასახვა შეძლეს და ახალი ხედეა, ახალი ტენდენციები წარმოაჩინეს ჩვენს ხელოვნებაში.

კინოს მხატვრობა დიმიტრი ერისთავის შემოქმედების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. დიმიტრი ერისთავი 1962 წლიდან მუშაობდა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დამდგმელ მხატვრად. მოხსენებაში გაანალიზებულია, თუ როგორ ვლინდება მხატვარი კინოში, როგორია მისი როლი ფილმის შექმნის პროცესში, როგორ საგნობრივ განსხეულებას პოვებს მისი მხატვრობა ჯერ ქალაქში, შემდეგ კი – ფიზიკურ, იკარგება თუ არა მისი ნამუშევარი ფილმის საბოლოო ვერსიის დროს ეკრანზე.

დიმიტრი ერისთავის და ოთარ იოსელიანის თანამშრომლობა მოიცავს როგორც ოთარ იოსელიანის კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ მოღვაწეობის პერიოდს, ასევე ცნობილი რეჟისორის საფრანგეთში შექმნილ ფილმებზე თანამუშევრებს. „იყო შაშვი მგალობელი“ და „გიორგობისთვე“ ოთარ იოსელიანის საპროგრამო ფილმებია. მოხსენების თემაა 1970 წელს გადაღებული ფილმი „იყო შაშვი მგალობელი“, რომლის სცენარის თანაავტორადაც გვევლინება მხატვარი. თავად ფაქტი, რომ მხატვარი სცენარის თანაავტორია, უიშვიათესი მოვლენაა და ჩვენი კვლევისთვის საინტერესო გარემოება. მოხსენებაში გამოყენებულია როგორც სამეცნიერო კვლევები და სტატიები ფილმის შესახებ, ასევე დიმიტრი ერისთავის

მოგონებები, რომელიც თავისთავად საინტერესო ინფორმაციას გვანვდის ორი შემოქმედის ტანდემზე. როგორც თავად მხატვარი აღნიშნავს, ოთარ იოსელიანის ფილმებში სოციალისტური რეალიზმის მიერ დამკვიდრებული ბარიერები მრუდე სარკეებში არეკლილ სივრცეებში ცხოვრებას ჰგავდა. ორი შემოქმედის – ოთარ იოსელიანის და დიმიტრი ერისთავის – თანამშრომლობამ კი როგორც კონცეპტუალური, ასევე, ფორმის განახლება განაპირობა მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების ხელოვნებაში. ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან საფუძველი ჩაეყარა ქართული კინოხელოვნების ესთეტიკურ რევოლუციას, რომელსაც „ქართული კინოფენომენი“ ეწოდა და მან საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ოთარ იოსელიანს და მის თანამოაზრეს, დიმიტრი ერისთავს, და მათ შექმნილ ფილმს „იყო შაშვი მგალობელი“ უდიდესი წვლილი მიუძღვით ამ პროცესში. ჩემი კვლევის თემა ესთეტიკური რევოლუციის იმ ნაწილს შეეხება, რომელიც ორმა ცნობილმა ხელოვანმა შექმნა.

## Ana Maghlakelidze

### **Dimitri Eristavi's Painting in Otar Ioseliani's Movie "Once upon a Time there was a Singing blackbird"**

Dimitri Eristavi belongs to 60s generation of Georgian painters, who established new vision and has shown new trends in Georgian visual art.

Movie painting is an important part in his art activities and creativities. Dimitri Eristavi was production designer and painter in movie studio "Georgian Movie" since 1962.

In this report there is analyzed how painter is expressed in movie, how important is his role in a process of creating movie. Here is compared difference between painting on paper and then in movie as a final product, also here is estimated if in final version of movie there is lost original work done by painter.

Dimitri Eristavi and Otar Ioseliani had long term cooperation. They were partners in Otar Ioseliani's movie studio "Georgian Movie", also they worked together while Otar Ioseliani was staying in France and creating movies. "Once upon a time there was a singing blackbird" and "Giorgobistve"(falling leaves) is Otar Ioseliani's famous products.

The theme of this report is movie "Once upon a time there was a singing blackbird", which was filmed in 1970, where painter is co-author of script. The fact that painter was appointed as co-author of script is unusual and for research interesting case. In this report there is used scientific researches and articles regarding movie, also Dimitri Eristavi's memories about two creators. There cooperation changed existed concept and created new vision in movie art in 70s. The second half of 50s was founded aesthetic revolution in cinematography, which was called as "Georgian Movie Phenomenon" and was acknowledged by international society. Movie „Once upon a time there was a singing blackbird" created by Otar Ioseliani and his companion was an important part of great changes in cinematography. My research is about a part of aesthetic revolution, which was created by two famous artists.

## მარია მშვილდაძე

### ქურციკისგამოსახულებიანი საბეჭდავები ფიქრისგორის სამაროვნიდან

ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს ფიქრისგორის სამაროვნის №№119,127 სამარხებში 2016 წელს არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად აღმოჩენილი ორი მთლიანი ქვის (სარდიონი, ბრინჯაო) საბეჭდავი ქურციკის გამოსახულებით (სამარხი №127, ინვ. №139, სურ.: 1,2; სამარხი №119, ინვ. №202, სურ.: 3,4,5). სასანური გემების სპეციფიკური ხასიათის გამო, მათი მხოლოდ სტილისტურ ანალიზზე დაყრდნობით თარიღის დადგენა საკმარისი არ არის. ამ მხრივ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვანვდის სამარხეული კომპლექსები. ჩვენც ზემოაღნიშნული საბეჭდავების დასათარიღებლად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ სამარხეულ კომპლექსებში აღმოჩენილი მასალის ანალიზსა და თარიღს.

ფიქრისგორის №№119,127 სამარხებში აღმოჩენილი ქურციკისგამოსახულებიანი გლიპტიკური ძეგლები დამზადებულია სასანური გლიპტიკისათვის დამახასიათებელი მთლიანი ქვის საბეჭდავების ორი ტიპისგან:

1. ე.წ. ელიფსური (ქვის) საბეჭდავები. ასეთი საბეჭდავების უმრავლესობას აქვს ნახვრეტი ზონრის გასაყრელად. ფიქრისგორის სამარხში აღმოჩენილი ამ ფორმის საბეჭდავი დამზადებულია სარდიონისაგან;

2. ლითონის საბეჭდავები, რომლებიც ძირითადად ვერცხლისა და ბრინჯაოსაგან არის დამზადებული... ზოგი გვერდებშებრტყელებული სფეროს ფორმისაა, ზოგი – კონოიდური, რომელსაც ყოველთვის აქვს ნახვრეტი ზონრის გასაყრელად. ფიქრისგორის სამარხში აღმოჩენილი ამ ფორმის საბეჭდავი დამზადებულია ბრინჯაოსაგან.

გამოსახულების სტილის, საბეჭდავის ფორმისა და სამარხეული ინვენტარის მიხედვით, №127 ორმოსამარხში აღმოჩენილი სარდიონის საბეჭდავი (ინვ.№239, სურ.: 1,2) – V-VI საუკუნეებით, ხოლო №119 ქვასამარხში დაფიქსირებული საბეჭდავი ბეჭედი (ინვ.№202, სურ.: 3,4,5) ახ.წ. IV საუკუნით უნდა დათარიღდეს.

## Marika Mshvildadze

### Seals with the image of a gazelle from Piqrisgora Tombs

Our interest lies in the tombs ##119,127 of Piqrisgora and elliptical and (sardonic) and metal seals (bronze) shaped as a gazelle, uncovered during the archaeological digs of 2016 at Piqrisgora burial grounds (tomb #127, inv. #139, pic. 1,2, tomb #119, inv #202 pic.3,4,5). Due to the specificity of Sasanian gems, setting date only through stylistic analysis is not sufficient. In this respect burial ground complexes offer us important information, thus for setting dates of the abovementioned seals we pay due attention to the analysis and the dates of the materials uncovered from the burial ground complexes.

Glyptic monuments, with the images of gazelles discovered in the Piqrisgora tombs ##119,127, are made of the whole stone seals of two types: 1. The so called elliptic (stone) seals. Majority of similar seals have perforations for the string. Seals of the similar type uncovered in Piqrisgora tombs are made of

sadonic; 2. Metal seals, made mostly of silver and bronze.... Some have a shape of the sphere with the flattened sides. Some are cone shaped, which always have perforations for the attachment of the string. Seal of the similar shape is made of bronze.

In accordance with the image style, seal shape and the inventory of the burial ground, #127, the sardonic seal found in a burial pit (inv. #139, pic.1,2) should be dated by V-VI centuries, while #119 bronze seal fixed in the stone burial pit by (inv. #202, pic.:3,4,5).

## ივანე მჭედელაძე

### პოსტკოლონიური უკრაინა საბჭოთა რეალობასა და დესოვიეტიზაციას შორის: ევრომაიდნის, როგორც სოციოკულტურული ფენომენის, რეფლექსია მხატვრულ ლიტერატურაში

უკანასკნელი ათწლეულების უკრაინის ისტორიაში ერთ-ერთი მასშტაბური მოვლენა გახდა 2013-2014 წლის საპროტესტო გამოსვლები, რომელიც ისტორიაში „ევრომაიდნის“ („ღირსების რევოლუცია“) სახელით შევიდა. პოლიტიკურ და ისტორიულ ცვლილებებთან ერთად, ევრომაიდნის პროცესები დიდი სოციალური და კულტურული ცვლილებების გამოწვევაც აღმოჩნდა. ამ დროს ცალსახად გამოიკვეთა პოსტსაბჭოთა თაობის უკრაინის ახალგაზრდობის მისწრაფება ევროპული არჩევანისკენ. მკვლევრები მიუთითებენ, რომ პროცესებმა გაააქტიურა საბჭოთა მენტალობისგან გათავისუფლებული ე.წ. „შვილების თაობის“ ცნობიერება, მათი როლი კულტურულ ცვლილებებში. როგორც ამ პროცესებისადმი მიძღვნილმა მასალებმა წარმოაჩინა, „ევრომაიდანზე სულს ლაფავდა საბჭოთა უკრაინა“, ამ მოსაზრების დადასტურებად შეიძლება მივიჩნიოთ 2013 წლის 8 დეკემბერი, პროლეტარიატის ბელადის, ლენინის ძეგლის დამხობა დედაქალაქის ცენტრში. პროცესებმა აჩვენა, რომ დიდი ცვლილებების ავანგარდში აღმოჩნდა უკრაინის ახალგაზრდობა, სტუდენტები. ევრომაიდნის პროცესებს თან დიდი ტრაგედიაც ახლდა, შეტაკებებისას დაიღუპა ათეულობით მშვიდობიანი მომიტინგე. ამ ტრაგიკულმა მოვლენებმა და, ზოგადად, „ევრომაიდანმა“, როგორც განმეორებითა ტრავმამ, ასახვა პოვა მიმდინარე ლიტერატურულ-კულტურულ პროცესებში, ახალი თაობის შემოქმედთა მხატვრულ ტექსტებში. უკვე გამოიკვეთა არაერთი მნიშვნელოვანი კრებული, რომლებიც უკანასკნელი პერიოდის ტრავმულ მოვლენებს ეძღვნება.

მოხსენებაში განხილულია თანამედროვე თაობის უკრაინელი პოეტების ვიქტორია აფანასიევას («Проз 200»), მარია ტკაჩენკოს („სიზმარი შვილები“), ოლგა ცაპროს („რუსეთი და უკრაინა“) ლექსები, რომლებშიც კარგად ჩანს რუსულ-უკრაინული ურთიერთობების ტრაგიკული შედეგები. ნაწარმოებებში ასახულია ამ პროცესებთან, ტრაგიკულ მოვლენებთან დაკავშირებული სიმბოლოები, ტოპონიმები (ე.წ. ზეციური ასეული, ინსტიტუტსკაიას ქუჩა, ტვირთი-200 და სხვ.), რომლებიც სწორედ ევრომაიდნის ტრაგედიას უკავშირდება.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ასევე თბილისში გამოცემულ რ. ჩილაჩავას წიგნს `მაიდანზე, ეკლესიის ახლოს. „ქრონიკა-რეპორტაჟი უკრაინიდან“ – საქართველოში გამოცემულ ამ წიგნში რეპორტაჟის ჟანრში აღწერილია უკრაინაში მიმდინარე პროცესები, ფაქტები და მათი ანალიტიკური შეფასება-გაზრება. „ევროინტეგრაცია ოპოზიციის მოგონილი ტერმინი კი არა, დროის მოთხოვნა და სახალხო ნების გამოხატულებაა“, – წერს

ბილინგვი პროექტი და მთარგმნელი რ. ჩილაჩავა. ამ მასალებზე დაყრდნობით განხილულია გენერაციული პრინციპების თეორიული ასპექტები (ნ. გაფრინდაშვილი, თ. ჰუნდოროვა და სხვ.) კულტუროლოგიურ/პოსტკოლონიურ კვლევებში.

**Ivane Mchedeladze**

### **Postcolonial Ukraine Between Soviet Realism and Desovietization : Reflections on Euromaidan as Socio-cultural Phenomenon in Literature**

One of the biggest events in the history of Ukraine over the past decades are the demonstrations held in 2013-2014 that went down in the history under the name of "Euromaidan" (Revolution of dignity). Along with political and historical changes, the Euromaidan processes became a major source of social and cultural changes. At this time, the post-Soviet Ukraine's youth showed a huge desire to have European election. The researchers point out that the process activated the consciousness of, so-called "generation of children" and their role in cultural changes that was free of the Soviet mentality. As the materials dedicated to these processes demonstrated, "The Soviet Ukraine died on Euromaidan"- example of this view can be seen on December 8, 2013, when Lenin's monument in the centre of the capital was demolished. The processes have shown that in the avant-garde of the Ukrainian changes were the youth, students. The Euromaidan process was accompanied by a great tragedy that killed dozens of peaceful protesters. These tragic events and 'Euromaidan' generally, as a recurring trauma, were reflected in the current literary and cultural processes, in the literary texts of the new generation. A few important books have already been published, dedicated to the recent traumatic events.

This thesis includes the analysis of the poems by the authors of the latest period- Victoria Afanasyeva ("Грыз 200"), Maria Tkachenko ("Dream Children"), Olga Tsapro ("Russia and Ukraine"). Poems, in which the tragic results of Russian-Ukrainian relations are clearly revealed. The works reflect symbols and toponyms (so-called Heavenly Hundred Heroes, Instituteskaya street, Cargo -200, etc.) that are related to the Euromaidan tragedy.

Special attention is paid to the book published in Tbilisi by R. Chilachava- "On Maidan, near the Church. Chronicle - Reports from Ukraine". This book, published in Georgia, in the report style, describes the current processes in Ukraine, the facts and their analytical assessments and understanding. "Eurointegration is not the term coined by the opposition, it is the demand of the time and the expression of the free will of people," writes a bilingual poet and translator R. Chilachava. Theoretical aspects of generational principles (N. Gaprindashvili, T. Hundorova, etc.) are also discussed in postcolonial cultural studies.

**ეკატერინე ნავროზაშვილი**

### **მულტიკულტურალიზმი, როგორც ლიტმცოდნეობითი პროცესი (გერცელ ბააზოვი)**

გერცელ ბააზოვი ცნობილი ქართველი ებრაელის, სასულიერო და საზოგადო მოღვაწის, რაბინ დავით ბააზოვის, შვილი იყო. მან მთელი თავისი ხანმოკლე ცხოვრება (იგი 1938 წელს საბჭოთა რეჟიმმა იმსხვერპლა) ქართველ ებრაელთა ეროვნული ცნობიერების ამაღ-

ლებას მიუძღვნა. მისი ინიციატივით არაერთ მნიშვნელოვან საქმეს ჩაეყარა საფუძველი: დაარსდა ქართველ ებრაელთა დრამატული დასი „კადიმა“, ორკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური გაზეთი „მაკავეელი“, რომლის ნომრებშიც, პუბლიცისტიკასთან ერთად, ბააზოვის ორიგინალური პოეზია, მის მიერ ებრაულიდან შესრულებული თარგმანებიც იბეჭდებოდა.

ცალკე განხილვის საგანია გ. ბააზოვის პროზა. მისი ნაწარმოებების („გელათის ქუჩის დასასრული“, „შემარიას უკანასკნელი სიტყვა“, „ფეთხანი“...) ერთ-ერთი ძირითადი თემა ქართველი და ებრაელი ხალხის ერთ სივრცეში თანაცხოვრების, თანაარსებობის საკითხებია. გ. ბააზოვი გვიჩვენებს კულტურათა მრავალფეროვნებით მდიდარ სამყაროს თავისი თვითგამოხატვის ფორმებითა და განსხვავებულობის გაცნობიერების უნარით.

## Ekaterine Navrozashvili

### Multiculturalism as a Process in Literature Studies (Gertsel Baazov)

Gertsel Baazov was a son of an outstanding Georgian-Jewish public and religious figure rabbi Davit Baazov who devoted his short life (fell pray to the Soviet Regime in 1938) to raising Georgian Jews' national awareness. He was an initiator of a number of significant projects: founding a Georgian-Jewish dramatic troupe Kadima publishing a bimonthly literary-publicistic magazine Makaveeli in which along with publicistic papers, Baazov's original poetry and translations from Jewish were also published. However, his prose deserves a special and separate work. One of the principal topics of his works (The End of Gelatis Street, Shemaria's Last Word, Petkhain etc.), along with others, is an issue of co-habitation and co-existence of Georgian and Jewish people in one space. G. Baazov depicts the world rich in diverse cultures with their own ways of self-expression and an ability to recognize differences.

## მერი ნიკოლეიშვილი

### ძირითადი და არაძირითადი პირის მორფო-სინტაქსური მნიშვნელობისათვის

1999 წელს გამოიცა ჩემი სახელმძღვანელო „Грузинский Язык: Курс Ускоренного Изучения“ რუსულ ენაზე, რომელიც შედგენილია თემების მიხედვით (10 თემა) და, ამავე დროს, განხილულია ქართული ენის გრამატიკის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც აუცილებლად საჭიროა ფრაზების შედგენისა და კომუნიკაციის წარმართვისათვის. შემომავს ტერმინები – ძირითადი და არაძირითადი პირი.

უპირველეს ყოვლისა, წიგნში წარმოდგენილია სუბიექტური პირის ნიშნები და აღნიშნულია: ზმნა, რომელიც იცვლება ამ პირების მიხედვით, სუბიექტური წყობისა (ა. შანიძე), ხოლო ძირითადი პირი არის ის პირი, რომლის მიხედვითაც იუღლება ზმნა და, შესაბამისად, განსაზღვრულია სუბიექტური წყობის ზმნებში, ახლანდელ დროში, ძირითადი პირის ბრუნვის

ფორმა. ასევე განხილულია არაძირითადი პირი და წარმოდგენილია სუბიექტური წყობის ორპირიანი ზმნის კონსტრუქცია ახლანდელ დროში – „მე ვიცნობ მას“.

შემდეგ მოცემულია ობიექტური წყობის ზმნებიც და წარმოდგენილია ამგვარი ზმნების კონსტრუქცია ახლანდელ დროში: „მე მიყვარს ის“.

ჩემი აზრით, არსებობს ორი სისტემა: ცვლადი და არაცვლადი. ცვლადი, რომელსაც კონსტრუქცია ეცვლება სერიების მიხედვით, არაცვლადი - რომელსაც არ ეცვლება კონსტრუქცია სერიების მიხედვით. წიგნში საუბარია აღნიშნულ სისტემებზე და მოცემულია მაგალითები შესაბამისი კონსტრუქციებით.

## Meri Nikolaishvili

### On the meaning of Morpho-syntaxes of the Basic and Non-basic Person

My book „Грузинский Язык: Курс Ускоренного Изучения“ in Russian was published in 1999. There are given 10 topics and are explained the important issues of the grammar of the Georgian language which are necessary for creating phrases and for communication. I had terms- Basic and Non-basic person.

For the first time, there are given Subjective person markers in the book and is mentioned that the verb, which is changed by Subjective person markers, they are the verbs of the subjective order. (A. Shanidze). The person according to whom the verb is conjugated is the basic person. There are given present tense of such verbs and the case of the basic person. There are also given the meaning of the non-basic person. At least there are shown the construction of the bi-personal verbs in present tense - “ მე ვიცნობ მას“.

There are explained the verbs of the objective order with its construction in the present tense - „მე მიყვარს ის“.

In my opinion, we meet 2 systems in Georgian: changeable and unchangeable. Changeable means that the construction is changed according to the series and unchangeable - that the construction is not changed according to the series. There are given above-mentioned systems with its examples and constructions in the book.

## მურმან პაპაშვილი

### ქართულ-რომაული ეკლესიების „გაყრის“ დროისა და უნიის პროცესის ახლებური ინტერპრეტაცია

1054 წლის დიდმა „სქიზმამ“ დააფიქსირა მხოლოდ ქრისტიანული ეკლესიის აღმოსავლურად და დასავლურად დაყოფა, ხოლო ბიზანტიურ და ლათინურ ეკლესიებს შორის საბოლოო განხეთქილების პროცესი 1204 წელს ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობით დასრულდა. ამ კონტექსტში ქართული ეკლესია, მართალია, არ აღიარებდა „ფილიოკვეს“, არ ემორჩილებოდა რომის ეკლესიას, მაგრამ ინარჩუნებდა მასთან ლოიალურ

დამოკიდებულებას და, ბერძნების მსგავსად, არ კიცხავდა კათოლიკური ეკლესიის დოგმებსა და ნეს-ჩვეულებებს. უფრო მეტიც, ჯვაროსნული ლაშქრობების დროს წმინდა მიწაზე ქართული მონასტრები ლათინთა საპატრიარქოს კანონიკურად დაემორჩილა, მაგრამ ამან გავლენა ვერ იქონია მათ თვითმყოფადობაზე. ეს კი იმაზე მეტყველებდა, რომ ორ ეკლესიას შორის არსებულ განსხვავებას არც ერთი მხარე არ იმჩნევდა. ამის მიზეზი იყო შემდეგი: პირველი, ქართველები ჯვაროსნებს დახვდნენ სქიზმამდელი გრძნობებით და რაინდები მათ მიიჩნევდნენ ქრისტიან ძმებად, რომლებიც საერთო მტრის წინააღმდეგ იბრძოდნენ. ჯვაროსანთა მხრიდან ეს დამოკიდებულება და განწყობა სტრატეგიულ მიზნებს ისახავდა – საქართველოსთან კავშირში მონიშნულმდეგეთა დასუსტება საბოლოო გამარჯვებამდე; მეორე, არ არსებობდა ქართველ სასულიერო იერარქთა არც ერთი სინოდალური გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც დაირღვა წმ. ტახტთან ერთობა.

საქართველოს პოლიტიკოსებთან პაპობის უშუალო კავშირს სათავე დაუდო V ჯვაროსნულმა ლაშქრობამ, რომელიც 1234 წლიდან რეგულარულ საეკლესიო ურთიერთობებში გადაიზარდა. კერძოდ, საქართველოში საქმიანობა დაიწყო კათოლიკე მისიონერებმა. მართალია, ისინი არ ცდილობდნენ ქართულ ეკლესიაზე გამარჯვებას, მაგრამ ეს ფაქტი თავისთავად ავლენდა ორი ეკლესიის განცალკევებას. მისიონერები არა მხოლოდ სახარებას, არამედ კათოლიციზმის თვალთახედვით საეკლესიო უნიასაც ქადაგებდნენ. პაპობის მიერ შემოწმებული ეს პოლიტიკური გზა იმას გულისხმობდა, რომ ქართული ეკლესია მხოლოდ უნიის საშუალებით შეძლებდა, მსოფლიო ეკლესიის ნაწილი გამხდარიყო. მთელი XIII ს-ის მანძილზე ამაში გადამწყვეტ როლს ქართველი მონარქები ასრულებდნენ. ისინი ხელმძღვანელობდნენ საკუთარი საეკლესიო პოლიტიკით და დაინტერესებულნი იყვნენ ეკლესიათა ერთიანობით მხოლოდ სქიზმამდელი მოქმედი პრაქტიკის შესაბამისად. ამასთან დაკავშირებით ორ ეკლესიას შორის არ მიმდინარეობდა საღვთისმეტყველო დავები. უნიის გარეშეც ქართული სახელმწიფო და მისი ეკლესია აღიარებდა რომის კათედრისა და პაპის ძალაუფლების განსაკუთრებულობას.

ქართული ეკლესიის რომაულ-კათოლიკურ ეკლესიასთან ზუსტად „გაყრის“ დათარიღება შეუძლებელია. ეს იყო პროცესი, რომელიც პირობითად დაიწყო 1234 წლის შემდეგ და, სავარაუდოდ, დასრულდა 1329 წელს, როცა თბილისში დაარსდა კათოლიკური ეკლესია ლათინური იერარქიით.

## Murman Papashvili

### New Interpretation of the Time of the "Divorce" and Unification Process of the Georgian-Roman Churches

Western churches, while the final split between the Byzantine and Latin churches ended with the conquest of Constantinople by the Crusaders in 1204. In this context, the Georgian Church did not admit the "Filioque", did not obey the Roman Church, but maintained loyalty to it and, unlike the Greeks, did not deny the doctrines and traditions of the Catholic Church. Moreover, the Georgian monasteries in the Holy Land obeyed the Latin Patriarchate during the Crusades, but they did not influence their identity. This made it clear that none of the two sides paid attention to the difference between the two churches. The following was the reason: First, the Georgians welcomed the crusaders as if the two churches had not



been split and the knights were regarded Christians as their brothers fighting against their common enemy. Such an attitude and mood on the part of the Crusaders pursued strategic goals: they wanted in an alliance with Georgia to weaken the opponents right up to a complete victory over them; secondly, there was no synodal decision of Georgian clerical hierarchies, which would result in the violation of the Holy Throne unity.

The fifth campaign of the Crusaders laid the foundation for the direct connections of the Georgian politicians with the papacy, which from 1234 turned into regular ecclesiastical relations. In particular, the Catholic missionaries began to work in Georgia. It is true that they did not try to win over the Georgian Church, but this fact in itself revealed the separation of the two churches. The missionaries preached not only the gospel but also the unity of the church in terms of Catholicism. The political path that was examined by the papacy meant that the Georgian Church was able to become part of the world church only through the unity. Throughout the XIII century, the Georgian monarchs played a decisive role in this. They were guided by their own ecclesiastical policies and were interested in the unity of the churches only in accordance with the pre-Schism applicable practice. In this connection there were no theological disputes between the two churches. Even without the unity the Georgian state and its church recognized the exclusivity of the Roman chair and the papal authority.

It is impossible to accurately date the "divorce" of the Georgian church with the Roman Catholic Church. It was a process that allegedly began after 1234 and was supposedly completed in 1329, when the Latin Catholic Church was established in Tbilisi.

## ნინო პოპიაშვილი

### ალეგორია განმანათლებლობის ეპოქის ლიტერატურაში

ალეგორია ბერძნული სიტყვაა და გადაკრულად, შენიღბულად ნათქვამ სიტყვას, ფრაზას, ან წინადადებას ნიშნავს, რომელშიც მოვლენის შინაარსი კონკრეტული დანიშნულებით არის წარმოდგენილი. კერძოდ, მასში ნათქვამია ერთი და იგივესხმება მეორე. ალეგორია მხატვრული ხერხია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სხვადასხვაგვარ ზნეობრივ თვისებათა განსახიერება კონკრეტულ სახეებში.

ალეგორია განსაკუთრებით თვალსაჩინოა ანდაზის, გამოცანის, იგავ-არაკისა და სხვა ჟანრის ტექსტებში. ალეგორია ხშირად გამოიყენება ბიბლიური ტექსტების ახსნის, განმარტების დროს. ალეგორიის საფუძველია აბსტრაქტული იდეა, ფილოსოფიური აზრი. ამიტომაც ალეგორია განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს მხატვრულ ნაწარმოებებში.

განმანათლებლობის ეპოქა განსაზღვრულია რენესანსისა (XIV-XVI სს.) და ახალი დროის (XVI-XVII სს.) შემდგომ, XVII-XVIII საუკუნეებით. განმანათლებლობის ეპოქის მთავარი მახასიათებელია ახალი ღირებულებების შექმნა, რაც იწვევდა საზოგადოების მანკიერებების მხილებას, თავად-აზნაურების აბსოლუტური მონარქიისა და რელიგიური იერარქიების კრიტიკას. აღნიშნული ეპოქის ლიტერატურისა და ხელოვნების ერთ-ერთი მახასიათებელია ალეგორიული ასახვა.

ალეგორია, როგორც მხატვრული ხერხი, ფართოდ არის გამოყენებული დანტე ალიგიერის „ღვთაებრივ კომედიაში“, ასევე – გოეთეს „ფაუსტში“, სადაც სახეები და ეპიზოდები სიმბოლურ-ალეგორიული ხასიათისაა და ორ აზრს შეიცავს – პირდაპირსა და გადატანის. იგავურ, ალეგორიულ ხერხს ხშირად მიმართავს ცნობილი გერმანელი განმანათლებელი,

გოტჰოლდ ლესინგი, ფრანგი განმანათლებელი შარლ მონტესკიე და სხვები. იგავურ-ალეგორიული ასახვა ხშირად გვხვდება განმანათლებლობის ეპოქის აღმოსავლეთ ევროპის ლიტერატურაში: ფერენც კაჩინსკი, ანტოპხ კანტემირი და სხვ. ალეგორიებით მდიდარია სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, სადაც ყოველი პერსონაჟი იგავებით მეტყველებს.

## Nino Popiashvili

### Allegory in Literature of the Age of Enlightenment

The allegory is the Greek word and means figuratively, hidden expressed word, phrase or sentence in which the content of an event is presented for a definite purpose. In particular, one is said, and another is meant. The allegory is an artistic method by means of which it is possible to express various moral characteristics in certain characters. The allegory is particularly visible in texts of proverbs, riddles, fables and other genres.

The allegory is often used in explaining of bible texts. A basis of an allegory is an abstract idea, philosophical opinion. Therefore the allegory is of particular importance in works of fiction.

The age of Enlightenment is defined by the Renaissance (XIV-XVI centuries) and the period of XVII-XVIII centuries after the Modern Age (XIV-XVI centuries). The main characteristics of the age of Enlightenment are creation of new values that led to disclosure of perversity of society, to criticism of absolute monarchy of the noblemen and religious hierarchies. One of characteristics of literature and art of this period is an allegorical expression.

Allegory as an artistic method is widely used in the Divine Comedy of Dante Alighieri, and also in the Faust of Johann Goethe in which persons and episodes are of symbolic and allegoric nature and have two meanings – literal and figurative. The method of fables and allegories is often used by the famous German enlightener Gotthold Lessing, the French enlightener Charles Montesquieu and others. Fable and allegorical expression is often met in literature of the Eastern Europe of the age of Enlightenment: Ferenc Kaczynski, Antioch Kantemir and others. Sulkhan-Saba Orbeliani's "A Book of Wisdom and Lies" is rich with allegories in which every character speaks by means of fables.

## ნიკოლოზ ჟღენტი

### ახლად გამოვლენილი ეპიგრაფიკული მასალა დმანისის ნაქალაქარიდან და მისი მნიშვნელობა დმანისის დედაციხის საეკლესიო-არქიტექტურული კომპლექსის ქრონოლოგიისათვის

2015-2017 წლებში, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებული პროექტის „ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი, ტ. I (დმანისის რაიონი) (FR/466/1-10/14)“ ფარგლებში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებისა და დოქტორანტებისგან დაკომპლექტებულმა სამეცნიერო

ჯგუფმა იმუშავა დმანისის მუნიციპალიტეტში არსებული ლაპიდარული წარწერების შესასწავლად.

ახლად გამოვლენილ წარწერებს შორის იყო რამდენიმე ეპიგრაფიკული ძეგლი, რომლებზეც დაკვირვება შესაძლებლობას გვაძლევს, თვალი გავადევნოთ დმანისის დედაციხის საეკლესიო-არქიტექტურული კომპლექსის – დმანისის სიონისა და წმ. მარინეს ტაძრის ქრონოლოგიურ საკითხებს. კერძოდ:

1. პირველად მოხერხდა დმანისის სიონის სამხრეთ მინაშენის სამხრეთ ფასადში ჩასმული დაზიანებული 1142 წლის წარწერის პალეოგრაფიული პირის გადმოღება, შემორჩენილი ტექსტის ამოკითხვა და შინაარსის აღდგენა. წარწერა საამშენებლო-მემორიალური ხასიათისაა და ეხება დმანისის სიონის სამხრეთ მინაშენის მშენებლობას (ან რეკონსტრუქციას), რომელიც მიმდინარეობდა 1139-1142 წწ-ში. მშენებლობის ქტიტორი უნდა ყოფილიყო მეფე დემეტრე I, რომელიც, სავარაუდოდ, განჯაზე ან არანის გამგებელ ყარა-სონყორზე გამარჯვების აღსანიშნავად, გამარჯვების წელსვე (1139) იწყებს მშენებლობას.

2. სიონის დას. კარიბჭეში, ეკლესიის დას. კარის ორივე მხარეს, შელესილობაზე გამოვლინდა 40 ნაკანრი და 2 ფრესკული წარწერა. აღნიშნული წარწერების ქრონოლოგიური ჩარჩოები IX-XVIII სს-ია. მათ შორის 6 ყველაზე ადრეული წარწერიდან, 1 ნაკანრი წარწერა, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, IX-X სს-ით დათარიღდა, ხოლო 4 ნაკანრი და 1 ფრესკული წარწერა, ასევე პალეოგრაფიული ნიშნებით, X-XI სს-ით დათარიღდა. ამგვარად, დადგინდა, რომ ეკლესიის დას. შესასვლელის გარე შელესილობა და, სავარაუდოდ, მოხატულობაც (რომელიც დღეს თითქმის მთლიანადაა გადაშლილი), IX ს-ში თუ არა, X-XI ს-ში უკვე არსებობდა.

3. წმ. მარინეს ეკლესიის აღმ. ფასადზე, ცოკოლიდან პირველ წყობაში, მწვანე ფერის პერანგის ქვაზე შესრულებულია ფრესკული წარწერა: „წ(მიდა) მ(არი)ნე...“. პალეო-გრაფიულად, წარწერა XIII ს-ს უნდა ეკუთვნოდეს. ნიშანდობლივია, რომ წმ. მარინეს ტაძარზე, სამხრეთ კარიბჭის თავზე შესრულებულ 1702 წ-ის წარწერაში აღნიშნულია, რომ ბატონიშვილი მარიამის გამდელმა ისახარმა განაახლა წმ. მარინეს დაქცეული ტაძარი. როდის იყო აშენებული და როდის დაინგრა 1702 წ-მდე წმ. მარინეს ტაძარი, უცნობია, თუმცა ზემოაღნიშნულ ბოლო ნაკლულ წარწერაში წმ. მარინეს მოხსენიება გვაფიქრებინებს, რომ წარწერიანი ქვა მეორადი გამოყენებისაა და თავდაპირველად იგი სწორედ წმ. მარინეს ძველი ეკლესიის კორპუსში იყო გამოყენებული, მის დანგრევამდე. ლოგიკურად, დმანისის წმ. მარინეს ძველი ტაძარი XIII ს-ში უკვე არსებობდა.

## Nikoloz Zhgenti

### Newly Revealed Epigraphic Materials from Dmanisi Old City and Their Meaning for the Chronological Issues of Dmanisi Citadel's Church-Architectural Complex

In 2015-2017, within the scientific project “Epigraphic Corpus of Kvemo Kartli, vol. I (Dmanisi district) (FR/466/1-10/14)”, funded by Shota Rustaveli National Scientific Foundation, the group of researchers of Ivane Javakhishvili Tbilisi State University conducted work on the old Georgian inscriptions in Dmanisi district.

Among the newly revealed inscriptions there are some samples, observation of which can give us additional information about the chronological issues of Dmanisi citadel church-architectural complex – The main cathedral of Dmanisi “Sioni” and the church of St. Marina. Particularly:

1. We were able to read the damaged inscription of the south side chapel of the Dmanisi Sioni cathedral. The inscription appeared to be of a constructing-memorial type and was dedicated to building or reconstructing of this part of the cathedral. Supposedly, the constructing works had been held in 1139-1142 years.
2. On the both sides of the church's main hall entrance, 40 graffiti and 2 fresco inscriptions were found on the fragments of the plaster. Among them the 6 oldest inscriptions had been dated with 9th-11th cc. Therefore, it can be considered, that the plaster, and, supposedly, the paintings, already existed in 9th-11th centuries.
3. On the green facing stone in the east facade of St. Marina's church, the fragment of fresco inscription mentioning St. Marina can be still read. According to the paleography of the letters, the inscription can be dated with 13th c. According to another inscription of 1702 year, which is placed above the south door of the same church, the ruined construction was rebuilt by Isakhar - the mentor of Princess Mariam. It is not known when the St. Marina's church was ruined before 1702 year. Thus, the above mentioned inscription gives us an opportunity to consider, that the old St. Marina's church of Dmanisi already existed in 13th c.

## ინგა სანიკიძე

### ანანურისა და წარმართული ღვთაების – „აინინას“ – დაკავშირებისათვის

უძველესი ქართული საისტორიო წყაროები ბუნდოვან ინფორმაციას გვანდის წინარექრისტიანული ქვეყნის რწმენა-წარმოდგენების შესახებ. სამწუხაროა, რომ ქართულმა მეცნიერებამ, ფაქტობრივად, არაფერი იცის ერთ-ერთი ასეთი კერპის - აინინას - შესახებ, რომლის მცხეთაში დამკვიდრება იბერიის მეფე საურმაგს (ძვ. წ. III ს-ის შუახანები) მიეწერება.

ჩვენი აზრით, აინინა ფორმაში „ნინ[ა]’ს“ დამოუკიდებელი ფუძეა, რადგან ამ კუთხით შუმერული კულტურა იქცევს ყურადღებას. შუმერული „დედაღვთაება“ ასე ფორმულირდება: „ნინსურსანგა“. ცნობილია, რომ „ნინ“ („დედა“, „ქალბატონი“) უძველესი ქალი ღვთაებების სახელწოდებათა შემადგენელი იყო. ის, რომ, მაგალითად, გურულ დიალექტში „ნენა“ „დედა’ს“ რომ შეესატყვისება, ეს ენობრივი მოცემულობაა. თუ აინინას ამგვარი დანანევრება მართებულია, მაშინ სხვა კითხვაც ჩნდება: რა არის აინინა’ს წინაპოზიციური სემანტი? ვფიქრობთ, რომ მას პირდაპირი კავშირი აქვს მზის ამოსვლა-ჩასვლის ასტრალურ ფაქტებთან (თუ ღვთაებებთან – არა), რომელთაც ქართულ ენაში აი-ს-ი [ა—\*ა-ის’ი] და და-ის-ი ეწოდება. აგრეთვე ყურადღების მიღმა არ შეიძლება დარჩეს ლეგენდარული კოლხი მეფის, ჰელიოსის ვაჟის, ანთროპონიმი – აი’ეტ-ი.

უკავშირდება თუ არა მცირეაზიური წარმართული კერპი აინინა რაიმე ფორმით ტოპონიმ ანანურს?! ჩვენი აზრით, „ანან-[ურ]“ იგივე აინან[ა]/აინინა’ა, რომელსაც ძვ. წ. III ს-დან მოყოლებული დღემდე ფონეტიკური სახეცვლილება განუცდია. უპირველესად, რთული ფუძის პირველ ნაწილში ად დიფთონგის გამარტივება, ანუ ზოტას კუმშვა მოხდებოდა, შედარებით გვიან კი, აინინ’ა ფუძეში სრული ასიმილაციის გავლენით, ნინა სემანტი ნანა’თი

შეიცვლებოდა: აინინ'ა → აინინ'ა → ანან'ა → ანან-ურ-ი. თუ სახელდების ასაკს გავითვალისწინებთ, ენობრივად ისეთივე არაფერი მომხდარა, მასში საფუძვლიანი ეჭვი რომ შევიტანოთ.

ენობრივი მასალაცა და ისტორიულ წყაროთა მონაცემებიც გვაფიქრებინებს, რომ წარმართული კერპის – აინინას – უძველესი სადგომი ანანურია, ჭართალელ მთიელთა სამკვიდრებელი. სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისით არქეოლოგიური მასალა არ მოგვეპოვება და ამჟამად მხოლოდ ქართული ენა და მასში დაცული ტოპონიმი – ანანური – რჩება ამ ისტორიული ფაქტის ღირსეული მოწმე.

## Inga Sanikidze

### For relation of Ananuri and the Pagan Deity - "Ainina"

The oldest Georgian historical sources supply us with the obscure information about the belief-interpretation of the Pre-Christian country. It's a pity that the Georgian scientists actually do not know anything about one of such idols – Ainina, establishment of which in Mtskheta is attributed to the King of Mtskheta Saurmag (Middle of III c. B.C.).

In our opinion "Ainina" is an independent root in the form of "Nin[a]" so as from this point of view the Sumerian culture attracts our attention. The Sumerian "Mother-Deity is formulated thus: "Ninkhursanga". It is known that "Nin" ("mother", mistress") was the constituent of the names of the oldest deities. The fact that, for instance, in the Gurian (west Georgian) dialect "Nena" corresponds to "mother", this is a lingual attribute. In case if such a portioning of Ainina is rightful than there arises another question as well: What is the prepositional segment of the Ainina? We think that it is in direct relation with the astral facts of the Sun-rise and Sun-set (if not with the deities) which in the Georgian language is called the ai and da the Sun-rise and the Sun-set. As well the fact should not be left without attention the anthroponomy of the son of Helios, the legendary King of Colchis, Ai'eti.

It is interesting whether the Minor Asian pagan Ainina is connected in any form with the toponym Ananuri?! In our opinion "anan-[ur]" is the same ainan[a]/ainin'a which since the III c. B.C. till today has been experienced a phonetic modification. First of all, in the first part of the complex root simplification of the ai diphthong, i.e., there should be happened shrinkage, and relatively later in ainina root the segment of nina segment under the influence of assimilation would be changed by the nana segment: ainin'a → anin'a → anan'a → anan-ur-i. If we envisage the age of given name, linguistically there had not happened anything which could cause any profound doubt.

Both the lingual material and the data of the historical sources make us to think that the oldest dwelling of the Pagan idol – Ainina is Ananuri, the residence of the Chartalian mountain people (dwellers).

Unfortunately, from this point of view we have no archaeological material at hand and at present only the Georgian language and the toponym preserved in it –Ananuri – remains as a worthy witness of this historical fact.

## თენგიზ სიმაშვილი

### საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სამინისტრო და სწრაფვა დასავლური განათლებისკენ

საარქივო მასალების მიხედვით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ საზღვარგარეთ სასწავლებლად გაგზავნილ იქნა რამდენიმე ასეული ახალგაზრდა. საზღვარგარეთ მათი გაგზავნის მიზანი „საქართველოსთვის ევროპულად განათლებულ სპეციალისტთა კადრის მომზადება“ იყო. დოკუმენტების მიხედვით, ხელისუფლებამ ახალგაზრდებს სწავლების და ცხოვრების ხარჯი მთლიანად დაუფინანსა. ქართველი ახალგაზრდები გააგზავნეს საფრანგეთის, გერმანიის, ინგლისის, იტალიისა და ამერიკის უნივერსიტეტებში.

შემორჩენილია მიმონერა ამ ქვეყნებში გაგზავნილ ქართველ სტუდენტებსა და განათლების სამინისტროს შორის. მასალების მიხედვით, ამ სტუდენტების რიცხვში იყვნენ შემდგომ პერიოდში გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები, ხელოვანები და მეცნიერები – ნიკო კეცხოველი, ნიკოლოზ ჯანაშია, ვიქტორ ნოზაძე, დავით კაკაბაძე, შალვა ქიქოძე, ლადო გუდიაშვილი და სხვები.

დასახელებული დოკუმენტების შინაარსი მრავლისმომცველია. ისინი, ერთი მხრივ, გვიჩვენებენ ქართველი ახალგაზრდების სწრაფვას დასავლური განათლების მისაღებად და, მეორე მხრივ, ასახავენ იმ პრობლემებს, რომელთა გადალახვაც უხდებოდათ.

## Tengiz Simashvili

### According to archival materials, several hundred young people were sent abroad by the Ministry of Education of the Democratic Republic of Georgia

The purpose of sending them abroad was to prepare the staff of European-educated specialists for Georgia. According to the documents, the government fully financed the young peoples study in foreign countries. Georgian students were sent to France, Germany, England, Italy and USA.

Archive funds preserved correspondence between Georgian students and the Ministry of Education. According to the materials, among the students were public figures of Georgia, artists and scientists: Niko Ketskhoveli, Nikoloz Janashia, Viktor Nozadze, David Kakabadze, Shalva Kikodze, Lado Gudiashvili and others.

The contents of the named documents are comprehensive. On the one hand, they showing the desire of Georgian youth to get Western education and, on the other hand, reflect the problems that they had to overcome.

## ნესტან სულავა

### ჰაგიოგრაფი და ჰიმნოგრაფი, როგორც ერის სულიერი წინამძღოლი

საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების დროიდან მოყოლებული იქმნება ორიგინალური საღვთისმეტყველო-ლიტერატურული თხზულებები, რომელთა ავტორები, ქართველი მწერლები, კერძოდ, ჰაგიოგრაფები, ჰომილეტიკოსები და ჰიმნოგრაფები, გვევლინებიან რელიგიურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წინამძღოლებად, კულტურული და სამეცნიერო საქმიანობის თვალსაჩინო მოღვაწეებად. მათი სულიერი მემკვიდრეობა კულტურული და პოლიტიკური იდენტობის, ადამიანისა და საზოგადოების სულიერი სამყაროს ასახვას, ზნეობრივი სახის სრულყოფას ისახავს მიზნად. თანამედროვე საზოგადოება წარსულის გამოცდილების გარეშე ვერ ჩასწვდება იმ გამოწვევებს, რომლებმაც კულტურულ ღირებულებებს უნდა მიუჩინოს ადგილი. ამიტომ ქრისტიანული კულტურის ჩამოყალიბებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ქრისტიანობა ჰუმანური რელიგიაა, რომელსაც სულიერი ცხოვრების მომწესრიგებლის მისია ეკისრებოდა, და მის წინამძღოლთა როლიც ყოველთვის მიმართული იყო ერისა და ქვეყნის სულიერი განვითარებისაკენ, ზნეობრივი ამაღლებისაკენ. ჰაგიოგრაფია, ჰიმნოგრაფია, ჰომილეტიკა საღვთისმეტყველო ლიტერატურის ის სფეროა, რომელსაც უშუალო კავშირი ჰქონდა და დღესაც აქვს მრევლთან და, შესაბამისად, მასზე დადებით გავლენასაც ახდენს. სულიერ ღირებულებებზე ორიენტირებული საზოგადოება მწერალს, ერთი მხრივ, ყოველთვის უსმენდა, მის დარიგებას შეისმენდა და, მეორე მხრივ, ერის საქირბოროტო პრობლემათა შესახებ აუცილებელ მოთხოვნებს უყენებდა. ამ მხრივ ყოველთვის განსაკუთრებული იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და მის მესვეურთა როლი, რომელთაც ღმერთი სულიერი წინამძღოლისა და აღმზრდელის მისიას აკისრებდა.

მოხსენების მიზანია ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული თხზულებების ავტორთა, სასულიერო მიმართულების მწერლის როლის განხილვა საზოგადოების სულიერი, პოლიტიკური-იდეოლოგიური, საზოგადოდ, კულტურული აღზრდისა და ადამიანის ზნეობრივი სრულყოფის საქმეში, მწერლის ადგილის განსაზღვრა ძველი საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ადამიანთა ურთიერთობაში. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ბიზანტიურისაგან განსხვავებული ქართული ჰაგიოგრაფია და ჰიმნოგრაფია. იაკობ ხუცესის, „წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ ავტორის, იოვანე საბანისძის, გიორგი მერჩულის, იოვანე-ზოსიმეს, გიორგი მთანმინდელის, გიორგი მცირის, ნიკოლოზ გულაბერისძის, არსენ ბულმაისიმისძისა და სხვათა თხზულებებში ეროვნული პრობლემის წარმოსახვა თითოეულ ავტორს ქართველი ერის სულიერ წინამძღოლად და ზნეობრივ ორიენტირად წარმოგვიდგენს. ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა ავტორები, უმეტესად, თვითმხილველნი და თანადამსწრენი არიან აღწერილი ამბებისა, რის გამოც თავიანთი ეპოქის მაჯისცემას ძალიან კარგად გრძნობენ და ზოგჯერ პირდაპირ, ზოგჯერ შეფარვით, თავიანთ ეროვნულ პოზიციას გამოხატავენ.

ტაძარში მდგარი ქართველი კაცი ისმენდა ქადაგებებს, ქართულ გალობას, ქართველ წმინდანთა ქმედებებსა და თავგანწირვას სულიერი სიძლიერისა და ზნეობრივი სრულყოფის მაგალითებად სახავდა. პერსონაჟიც და მწერალიც ერთი მიზნით მოქმედებდნენ, ეს ერის სულიერი ამაღლება, განმტკიცება, სრულყოფა, ერის იდენტობის ჩვენება იყო. რელიგიურ წინამძღოლს საზოგადოებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებლის მისია, განსხვავებული მსოფლმხედველობის მქონე სოციალურ ჯგუფებთან თავისი სულიერი გამოცდილების

გამოყენებით, ერისა და სახელმწიფოს ზნეობრივ-სულიერი წინამძღოლის როლის შესრულება ეკისრებოდა. საუკუნეების განმავლობაში ამ გზას აგრძელებდნენ საერო ლიტერატურის წამრომადგენლებიც.

ზემოთქმული დებულებების წარმოდგენის შემდეგ ახსნას მოითხოვს ის საკითხი, თუ რატომ შეიცვალა მწერლის მისია თანამედროვე ცხოვრებაში, განსაკუთრებით, XX საუკუნის 90-იან წლებსა და XXI საუკუნეში, რამ გამოიწვია მისი ფუნქციის დაკარგვა//მოშლა//შეცვლა, რადგან საზოგადოების ზნეობრივი სახის განვითარება და შენარჩუნება ყოველ ეპოქაში ყველა ერისა და სახელმწიფოს უპირველესი, უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო და ასეთადაც დარჩება.

**Nestan Sulava**

### **Hagiographer and Hymnographer as a Spiritual Leader of the Nation**

From the first period when Christianity was claimed as state religion new theological literature and its authors came to existence. Georgian writers, especially hagiographers, authors of homiletics and hymnographies used to be religious and socio-political leaders and authors of scholarly works. The main goal of their writings was to serve political and cultural identity of the nation, to show the moral and social world of humans and the society. Modern society can never been able to make deep analyses of challenges they face without having knowledge of cultural heritage. SO the establishment of Christian culture had great meaning and importance. For the reason that the Christianity is the humane religion which has the mission of settler of spiritual life the main goal of the leaders of Christianity was to stream to develop spiritual and intellectual life of the nation. Hagiography, Hymnography and homiletics are the sphere of theological writings which had and has direct connection with the parish and taking main part in the hard process of establishing positive attitude on their nature. The society which was oriented on spiritual value was always listening to the church and their leaders and from the other side they require from the spiritual leaders what was needed for the nation. The main importance role in this way had Georgian Church and their leaders, those who were responsible for the spiritual development of the nation.

In our report we will talk about the main role of hagiographer and hymnographies authors and their works in formation of spiritual life of social, political and ideological establishment of the nation. We will focus on the topic what role had the author in the process of social development and human communication. Georgian hagiography and hymnography is the main aspects which were different then Byzantium church leaders role. Authors like: Iacob Khutsesi, author of the story about Saint Evstati Mtskheteli, Joan Sabanisdze, Giorgi Merchule, Joan Zosime, Giorgi Mtatsmindeli, Giorgi Mtsire, Nikoloz Gulaberisdze, Arsen Bulmaisimisdze and others were trying to think not only about spiritual life of their characters but about several problems nation face, this unique fact shows that abovementioned authors had moral orientation and function of spiritual leaders of the nation. Hagiographic authors mainly were eye-witness of the facts they describe.

All Georgians being in the church were listening hymns, preaches, talks about Georgian holy fathers actions and those holy fathers were spiritual sample of their life. Listeners and writers had the same function: arise spiritual life of the nation, fullfulness of life development. Those was attempt to regulate social life and communication. It was the fact how the leaders of national spiritual life, holy fathers establish state and religion as main aspect of development. They were moral leaders of the state. For the next centuries this was the way for literature to think.



Further the abovementioned theses should explain the aspect why the mission of the writers in modern society has changed. Especially in XX century's 90-s years and XXI century. What was the reason it lost/changed/abolished its function of the past? When we know that in all epochs and time preservice and the development of the social and moral life of the society was the main task of the state and the nation, why had it changed?

## მამია სურმავა

### ღმერთის ონტოლოგიური დასაბუთება-კრიტიკული რეფლექსია

მოხსენების მიზანი ღმერთის არსებობის ონტოლოგიური არგუმენტის განხილვაა. მისი ფორმულირების ტრადიცია შუა საუკუნეებიდან იღებს სათავეს და დღემდე გრძელდება, იპყრობს რა სხვადასხვა ჯურის ფილოსოფოსთა ყურადღებას. ონტოლოგიური არგუმენტი აპრიორული ხასიათის თეისტური მტკიცებაა, რომელიც არა ემპირიულ გამოცდილებას, არამედ ცნებებისა და დეფინიციების ანალიზს ეყრდნობა. მიზეზი იმისა, რომ ონტოლოგიური არგუმენტი დღემდე იპყრობს ყურადღებას, ის გახლავთ, რომ მისი შეფასება მრავალ ძნელ და წინააღმდეგობრივ საკითხს უკავშირდება. ეს განაპირობებს ფილოსოფოსთა მხრიდან არგუმენტისათვის სხვადასხვა ფასის მინიჭებას. ზოგიერთი მას მცდარად და უინტერესოდ მიიჩნევს. მრავალის აზრით, ის სერიოზულია, მაგრამ უკვე გადაღახული, როგორც ამას მიიჩნევდა ი. კანტი, რომლისთვისაც „არსებობა“ რეალური პრედიკატი არ გახლდათ. სხვების თანახმად, არგუმენტი მცდარია, მაგრამ ძნელია ამის ნათლად დემონსტრირება. მოხსენებაში ჩვენ ვაანალიზებთ ცნებას „არსებისა, რომელზე უფრო სრულყოფილი არსების წვდომა შეუძლებელია“, ამასთან ერთად, ცხადვყოფთ ისეთი ცნებების საზრისს, როგორიცაა მნიშვნელობა, გონება, არსებობა, ლოგიკურად აუცილებელი არსი და სხვ. ამ ლოგიკური პროცედურების დახმარებით ჩვენ ვასკვნით, რომ ონტოლოგიური არგუმენტი დღემდე ინარჩუნებს თავის ლოგიკურ ღირებულებას და კონტრარგუმენტი კანტისა, დაფუძნებული იმაზე, რომ „არსებობა“ რეალური პრედიკატი არ არის, არასაკმარისად ძლიერია მიზნის მისაღწევად. სხვა სიტყვებით, კანტის მიერ წამოყენებული კრიტიკული არგუმენტი ვერ ახერხებს ონტოლოგიური არგუმენტის დაძლევას.

## Mamia Surmava

### Critical Reflection on the Ontological Proof of God

This is an article about ontological proof for the existence of God. The tradition of offering similar argument began in Middle Ages and continues to this day fascinating philosophers of almost every stripe. The ontological argument (OA) is an a priori theistic proof based not upon empirical claims about the world but on certain ideas or concepts or definitions. A main reason the ontological argument is fascinating is that there are many difficult and controversial philosophical issues involved in evaluating it. So it is not surprising that philosophers have rated the argument variously. Some think it so obviously

fallacious as to be uninteresting. Many think that it is a serious argument but that it has been refuted, for example, by Immanuel Kant in his claim that "exists" is not a real predicate.' Some think the OA fallacious, but are prepared to admit that it is exceedingly difficult to show how or why it fails. In the article we discuss the term „a being than which nothing greater can be conceived“ and clear sense of different concepts such as meaning, mind, exist, logically necessary being and so on. These logical procedures gives us reasonably helpful to conclude that OA sustain its validity until now and the objection of Kant against it based on the Idea that „exist“ is not real predicate isn't enough strong to gain its aim. In other words Kant's argument does not refute the OA.

**თეა ფეტელავა, ნინო აბრალავა**

## **ევროპული გამოცდილება და პრაქტიკაზე ორიენტირებული განათლება**

მოხსენებაში აქცენტი კეთდება ისეთი ინოვაციური მეთოდისა და სტრატეგიის შემუშავებაზე, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტის მომავალ პრაქტიკულ საქმიანობაზე და რომლის ფარგლებშიც სტუდენტი დარგობრივ და ენობრივ კომპეტენციას პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე იძენს.

**Tea Petelava, Nino Abzalava**

### **European Experience, Practice oriented Education**

The report emphasizes the development of innovative methodologies and strategies focused on the future practical application. The student acquires field and linguistic competence based on and within the framework of this practical experience.

**ნინო ქავთარაძე**

### **ფილოსოფიური ზღაპარი**

ფილოსოფიური ზღაპარი მცირე ზომის მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტია, რომლის ძირითად მხატვრულ ღირებულებას არსებული რეალობის ალეგორიული, გადატანითი მნიშვნელობის მქონე კრიტიკა წარმოადგენს. ხშირად სატირული ხასიათის ან დიდაქტიკური დანიშნულების ფილოსოფიური ზღაპარი გამოგონილ ამბებზეა აგებული.

ფილოსოფიური ზღაპარი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მცირე ზომის ნარატივის ნაირსახეობა, რომელიც კარგად მოერგო სიტყვის ხელოვნების ძირითად ტენდენციებს და თანამედროვე ლიტერატურაში გამეფებულ კვლავწერის სპეციფიკას. ერთი მხრივ, ფილოსოფიური ზღაპარი სათქმელის თავისუფლებაზეა ორიენტირებული (იგულისხმება არსებული რეა-

ლობის კრიტიკული აღქმის შესაძლებლობა, რომელსაც ზღაპრის ნახევრად სახუმარო ხასიათი იძლევა და, მასთან ერთად – სიუჟეტის ორიგინალურობა, მისი უნიკალურობა); მეორე მხრივ, ფილოსოფიური ზღაპარი, როგორც მცირე ზომის მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტი, თანამედროვე ლიტერატურის ჟანრულ მრავალფეროვნებაზე მეტყველებს.

ფილოსოფიური ზღაპრის მცირე ზომის ალეგორიული ხასიათის ტექსტი მეოცე და ოცდამეერთე საუკუნის ფრანგული ლიტერატურის ისეთ ტენდენციებთან თანაარსებობს, როგორცაა დოკუმენტურობისკენ სწრაფვა, მოთხრობილი ამბების ბიოგრაფიული ან ფსევდობიოგრაფიული ხასიათი.

გადმოცემის იგავური ფორმა გულისხმობს თქმულის მრვალმხრივ და უფრო მარტივად აღქმას. სხვადასხვა ტიპის ფილოსოფიური ზღაპარი შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ფილოსოფიური იდეის ან კონცეფციის გადმოცემის საპროგრამო, მხატვრული ფორმა. არსებული რეალობის კრიტიკა ერთ კონკრეტულ ფილოსოფიურ იდეაზე აგებული ფილოსოფიური ზღაპრის პირველადი დანიშნულებაა და, სწორედ ამ მიზნით, იგი ჩამოყალიბდა მეთვრამეტე საუკუნეში (ვოლტერი, ჯონათან სვიფტი, დენი დიდრო). შეიძლება ითქვას, რომ დღეს ფრანგულ ლიტერატურაში მცირე ზომის მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტები ბატონობს, ამიტომ ფილოსოფიური ზღაპრის წარმატებაც ლოგიკურია: სენტ-ეგზიუპერი, ფრედერიკ ლენუარი, მორის დრიუონი, მატეი რიკარი, ალენ მონიე, ერიკ-ემანუელ შმიტი, მიშელ ტურნიე...

## Nino Kavtaradze

### A Philosophical Fairy Tale

A philosophical fairy-tale is a small creative-literary text, the artistic value of which lies in its allegoric, figurative criticism of the existing reality. The philosophical fairy-tale often having the satirical nature or didactic purpose is based on the fictional stories.

The philosophical fairy-tale may be reviewed as a version of the small narrations which has exhibited the primary trends of the art of writing and its peculiarities prevailed in the modern literature. On the one hand, the philosophical fairy-tale is focused on the freedom of expression (that means the possibility of critical perception of the existing reality, which can be achieved by the partially ridiculous nature of the fairy-tale and at the same time – the originality of the plot and its uniqueness); On the other hand, the philosophical fairy-tale, as a small artistic-literary text, reveals the diversity of genres characteristic to the modern literature.

The small-sized allegorical text of the philosophical fairy-tale coexists with the trends of the French Literature of the twentieth and twenty-first centuries such as the aspiration for documentaries and the biographical or pseudo-biographical nature of the narrated stories. The same form of expressing the opinion implies the comprehensive and often more understandable perception of the literary writing.

The various types of philosophical fairy-tales may be considered as the essential, artistic form of expressing the philosophical idea or concept. The primary purpose of the philosophical fairy-tale premised on a single specific idea is the criticism of the existing reality and precisely with aim it was established in the eighteenth century (Volter, Jonathan Swift, Denis Diderot). In a manner of speaking, today a small-sized form of the artistic-literary texts has been dominated in the French Literature. Hence, the success of the philosophical fairy tale seems to be logical: Antoine de Saint-Exupery, Frédéric Lenoir, Maurice Druon, Matthieu Ricard, Alain Monnier, Eric- Emmanuel Schmitt, Michel Tournier ...

## თეა ქარჩავა

### მიქელე მემბრე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ

კვიპროსზე მცხოვრები ვენეციელის, მიქელე მემბრეს მიერ დატოვებული რელაციონი შაჰ თამაზის კარზე (1539-1541 წწ.) მისი მისიის შესახებ, ერთ-ერთი ყველაზე ინფორმატიული და ინდივიდუალური ევროპული წყაროა მე-16 საუკუნის სპარსეთის შესახებ. რელაციონის (ავტორის ამოცანა იყო, დოჟის წერილი გადაეცა სეფიანი შაჰისთვის, რათა მას მხადრაჭერა აღმოეჩინა ვენეციისა და მისი მოკავშირეებისთვის ოტომანების წინააღმდეგ). უმეტესი ნაწილი ეხება სპარსული სამეფო კარისა და სეფიანი დიდებულების ყოველდღიურობის აღწერას, თუმცა ქართული ისტორიოგრაფიისთვის მნიშვნელოვანებას იძენს მემბრეს ნაშრომის, როგორც ჩვენთვის დღემდე უცნობი და უკვლევი წყაროს, ცნობები საქართველოს შესახებ. მემბრე რომელიც საქართველოს როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ნაწილს გაივლის გზად, ტოვებს საგულისხმო ინფორმაციას გარემოს, ხალხის (ყოფა) შესახებ; გვანდის მათი გარეგნობის, ჩაცმულობის, სამხედრო აღჭურვილობის აღწერილობას; ეხება საქართველოს ისტორიის მტკივნეულ საკითხს - მონებით ვაჭრობას (ამ კუთხით ისეთ ინფორმაციას გვანდის, რაზეც მანამდე არც ერთი სხვა ევროპული ან ადგილობრივი წყაროდან ამაზე არაფერი გვსმენია); ქვეყნის შიდა დაპირისპირებებს და ა.შ.

მემბრე იყო ენების ფლობის ტალანტით დაჯილდოებული, ეს იყო უმთავრესი ამოსავალი, რის გამოც შეარჩიეს სპარსეთში სარისკო მისიისთვის. იტალიურის, თურქულის (იმჟამად სეფიანთა კარის ძირითადი საკომუნიკაციო ენა) და ბერძნულის გარდა (მისი ბერძნული იმდენად დახვეწილი იყო, რომ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ თვით ეგეოსის კუნძულების ბერძნებიც კი არ დაეჭვებულან, როცა ყველას ათენელ ვაჭრად ეცნობოდა), იცოდა არაბულიც. ის, რომ მან გარისკა მეტად ტურბულენტურ პერიოდში შიკრიკობა და სეფიანთა კარზე სრულიად მარტო ჩავიდა, ერთი მხრივ, იყო „კოზირი“ მისთვის და, მეორე მხრივ, ავლენს მის ავანტიურისტულ ბუნებასა და სიმამაცეს. <br /> მემბრეს რელაციონი სავსებით ეწერება ვენეციურ ტრადიციაში – უცხო მოვლენებსა და ჩვეულებებზე დაკვირვების შედეგები მიუკერძოებლად გადმოსცეს. მისი ე.წ. „სნაპშოტ ტექნიკით“ გადმოცემული ამბები ავთენტურობის ერთგვარი გარანტიაა. თვალში საცემია ავტორის იუმორის გრძნობა. რაც მის რელაციონს ღირებულს ხდის, არის ის, რომ მემბრე იყო ერთადერთი პიროვნება, რომელმაც მოახერხა სპარსეთში სტუმრობა ისე, რომ მტრული სახელმწიფოს ვრცელი ტერიტორიები გადალახა და ერთხელაც არავინ დაეჭვდა მის პიროვნებასა და მიზნებში.

რელაციონს ქართულ ენაზე პირველად გაეცნობიან სამეცნიერო წრეები. ორიგინალურ ტექსტში რელაციონი არაა თავებად დაყოფილი, თუმცა პირობითად, ტექსტში სამი ძირითადი ნაწილი გამოიყოფა: 1. სპარსეთამდე მისი მოგზაურობის აღწერა 2. მემბრე სპარსეთის კარზე; 3. თავრიზის აღწერა და უკან დაბრუნება. ამ მოცემულობიდან პირდაპირ საქართველოს შესახებ ინფორმაცია პირველ და, ნაწილობრივ, მეორე ნაწილშია, რაც ჩვენ ვთარგმნეთ. სამეცნიერო შესწავლისა და დამუშავების შედეგები აისახება წიგნში – „XVI საუკუნის საქართველოს ევროპულ წყაროებში“.

## Tea Karchava

### Michele Membre and his notifications about Georgia

The Description of His Mission (1539-1541 cc.) to the Court of Shah Tahmasp I Persia left by Venetian Cypriot Michele Membre is one of the most informative and very individual European Account of XVI century Persia. Most part of Relazione, regards Membre's description of Persian royal court and everyday life of Safavid nobles, this is also the only real description of Tabriz at the time when it was Safavid Capital. But for Georgian Historiography the relazione, unknown so far, gains importance because of his notifications about Georgia. These notes are description of landscape (he passed both Western and eastern part of Georgia while going to Safavid court); people's habits; the shape, arms and clothes of habitants; the problematic issues in Georgian History – trade with slaves (includes very unusual information), battles inside the country etc.

Membre had a talent for languages, this was one of the main point what qualified for his Mission to Persia. Besides Italian, Turkish (At that time - the main language of Communication of Court in Persia) and Greek (his Greek was good enough to pass not only Georgia as an Athenian merchant, but Aegean islands and The Greek themselves) he knew Arabic as well. The Fact that he dared to deliver message in very dangerous period and came to the Safavid Court alone was a great advantage and reveals his brave and adventurous nature.

Membre's Relazione fits worthily into the tradition of the dispassionate observation of foreign event and customs, in which Venetian diplomats and merchants were skilled. His so called spanshot technique is something of a guarantee of authenticity. What is evidently important in his relazione - are his humor and those fact that Membre was the only person from Europe who visited Persia crossing the rival country's vast dominion and nobody managed to unreveal neither his personality nor his goals.

The original text of Relazione has no subdivision. But we can identify three main parts in it: 1. describing the journey to Persia; 2. Membre at Persian Court; 3. Description of Tabriz and return Journey to Europe. From these parts Information (direct) about Georgia is in first and partly in second parts, which I translated. After scientific elaboration the results will be included in the book - „XVI century Georgia in the European Sources“.

## რამაზ ქურდაძე

### ერთი არაბული სიტყვის შესახებ ქართულ და რუსულ გვარ-სახელებში

მოხსენებაში განხილულია ქართული გვარები: საბარაშვილი, საბარელი, საბარიძე, საბარაძე. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ეს გვარები ანთროპონიმული წარმომავლობისანი არიან. მათში გამოყოფილია არაბული წარმოშობის სიტყვა საბარი, რომლის ძირითადი მნიშვნელობა ამბავია, თუმცა მოყვანილია ამ სიტყვის სხვა მნიშვნელობებიც ქართული კილოებიდან. დასახელებულია ამავე სიტყვის შემცველი ღელის სახელიც – საბაროულა.

აღნიშნული არაბული სიტყვის მსგავსი გავრცელების დასადასტურებლად ქართულის გარდა მოყვანილია მაგალითები სხვა ენიდანაც, კერძოდ, რუსულიდან: საბაროვი და საბაროვსკი.

**Ramaz Kurdadze**

### **On One Arabic Word in Georgian and Russian Names and Surnames**

The paper focuses on Georgian surnames: **Khabarashvili, Khabareli, Khabaridze, Khabaradze**. The author assumes that these surnames are of anthroponymic origin. They are derived from the Arabic word **khabar**, the chief meaning of which is *news*. The paper also discusses other meanings of the given word found in Georgian dialects. Mention is also made of a small stream containing the same root – **Khabaroula**.

In order to prove similar spreading of the above-mentioned Arabic word, examples are brought from other languages as well. For instance, Russian: **Khabarov** and **Khabarovsk**.

### **აკაკი ყულიჯანიშვილი**

#### **მულტიკულტურული სამყარო და კულტურის პოლიტიკა**

თანამედროვე სწრაფად ცვალებად სამყაროში, ხშირად, ჩვენი ნებისაგან დამოუკიდებლად და, ხშირად, რაგინდ პარადოქსულად არ უნდა ჩანდეს, ჩვენი მონანილეობით, მიმდინარეობს ე.წ. მულტიკულტურული გარემოს კონსტრუირება, ამის გამო სახეზეა ღირებულებათა კონფლიქტები, ღირებულებითი შფოთი, ღირებულებათა რევიოლუცია. ეროვნული კულტურები თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის (კაცობრიობის ისტორია არსებითად კულტურის სხვა ფორმას არ იცნობს) დიდი ტრანსფორმაციების ეპოქაში საჭიროებენ გააზრებულ კულტურის პოლიტიკას, რომლის გარეშეც კულტურული ჰომოგენეზაცია გარდუვალი იქნება. კულტურის პოლიტიკა უნდა ეყრდნობოდეს იმ კულტურის ღირებულებითი სისტემის ღრმა ცოდნას რომლის დაგეგმარება და მართვაც წარმოადგენს კონკრეტული კულტურის პოლიტიკის მიზანს. საქმე ისაა, რომ ზოგადად კულტურაში გამოიყოფა ე.წ. მდგრადი და ცვალებადი ღირებულებათა სისტემები. მდგრადი ღირებულებების სისტემაში გაერთიანებულია ის ღირებულებები, რომელთა მნიშვნელობაც განაპირობებს ამა თუ იმ კულტურის მატარებელი ხალხის ცხოვრების წესს, მათ მსოფლმხედველობას, მსოფლშეგრძნობას, საკრალურისადმი, სამყაროსადმი და ადამიანისადმი დამოკიდებულებას. რასაც აქსიოლოგიის ენაზე თავისთავადი ღირებულებები ეწოდება, ხოლო საშუალება ღირებულებათა სისტემა, თავისი ინსტრუმენტული ბუნებიდან გამომდინარე, ცვალებადია და ამიტომაც ის შეიძლება ვცვალოთ ან გადმოვიღოთ სხვა კულტურიდან მანამდე და იმ დოზით, სანამ ისინი მდგრადი ღირებულებების სრულყოფილი განხორციელების საშუალებებად არ გამოდგება. გლობალიზაციის პროცესი ეროვნული კულტურების წინაშე წამოჭრის ეგზისტენციალურ გამოწვევას. ნაციონალური კულტურების წინაშე წამოჭრის ეგზისტენციალურ გამოწვევას. ნაციონალური კულტურები ან გაცნობიერებულად მიიღებენ გლობალიზაციის ამ გამოწვევას და მის საფუძველზე შეიმუშავენ კულტურის ადეკვატურ პოლიტიკას, ან პროცესებს თვითდინებაზე მიუშვებენ და კულტურის თვითმყოფადობისათვის აშკარად უარყოფითი შედეგი დადგება. ამდენად, თანამედროვე ეტაპზე კულტურის პოლიტიკის თეორიული გაცნობიერება და მისი პრაქტიკაში რე-

ალიზება თანამედროვე ქართველის ეთიკური პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს როგორც წარსულის, ასევე მომავლის წინაშე.

მაშასადამე, კულტურის პოლიტიკის თეორიულ გაცნობიერებაზე დიდადაა დამოკიდებული კულტურის რეალურ-პრაქტიკული მომავალი და ამ კულტურის მატარებელი ხალხის მორალური პასუხისმგებლობის საკითხი. რა არის კულტურის პოლიტიკის მიზანი, მისი ძირითადი ცნებები და პრიორიტეტები და რა როლი შეიძლება შეასრულოს სოციო-კულტურულ დინამიკის პროცესში?

**Akaki Kulidjanashvili**

### **Multicultural World and Cultural Policy**

In a modern, rapidly changing world, often without regardless our will, no matter how paradoxical it seems, construction of the so called multicultural environment takes place, due to which we observe conflicts of values, unrest over the values and the revolution of values. National cultures, for the preservation of originality (history of humanity is not familiar with other forms of culture) needs a well-known cultural policy without which cultural homogenization will be inevitable. Cultural policy should be based on the deep knowledge of the value system of culture and planning and management of a particular culture policy. The thing is that in general every culture is the allocation of the so called Sustainable and variable values systems. The values of the sustainable values are combined with the values of the people's lifestyle, their worldview, world experience, the sarcasm, the world and the human being, which is called the values of the axiology, and the means of value The system is changing due to its instrumental nature, and that is why it can be replaced or removed from other cultures and can not serve as a means of perfect implementation of sustainable values. The process of globalization poses an exemplary challenge to national cultures. National cultures either conscientiously accept this challenge of globalization and develop on the basis of adequate culture policy or take the processes to self-indulgence and will have a clear negative consequence for the identity of the culture. Thus, at the modern stage, the theoretical understanding of the culture policy and the realization of the practice of contemporary Georgians puts the issue of ethical responsibility both past and future.

Therefore, the theoretical understanding of the cultural policy deeply depends on the real-practical future of culture and the moral responsibility of the people who carry this culture. What is the goal of a culture policy, its core concepts and priorities, and what role can the socio-cultural dynamics process take?

**გიორგი ყუფარიძე, ციური ახვლედიანი**

### **ფრანგულ და ინგლისურ ფრაზეოლოგიზმთა დეკოდირების თავისებურებანი**

ენის ფრაზეოლოგიური ფენა გამოირჩევა როგორც თავისი კონსერვატიულობით, ასევე ტენდენციებით მუდმივი განახლებისაკენ. ძველი ფრაზეოლოგიური ერთეულების შევინროებისა და ახალი ფრაზეოლოგიური ერთეულების გაჩენის პროცესი ფრაზეოლოგიური მასალის

შესწავლის ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი მხარეა. ნებისმიერი ენის ფრაზეოლოგიური კორპუსის ევოლუცია ამ ენის მატარებელთა შეუმჩნეველად ხდება, მაგრამ წარმოადგენს ლინგვისტთა მუდმივი ყურადღების ობიექტს. ძველ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა უზუსტიდან ამოვარდნისა და ახალთა გაჩენის პროცესი – ნებისმიერი ენის ფრაზეოლოგიური დონის ერთ-ერთი უნივერსალური კანონია. ამ თეზისში დარწმუნებისათვის საკმარისია შევაპირისპიროთ ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც მიეკუთვნება ენის ევოლუციის ერთსა და იმავე ისტორიულ ეტაპს, მაგრამ დროში განსხვავება 250-300 წელია. ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ XVII–XVIII საუკუნეების ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ერთი ნაწილი, გარკვეულ მიზეზთა გამო, გაუგებარია თანამედროვე ენის მატარებელთათვის, ხოლო მეორე ნაწილი, საკუთარი მატერიალური შემადგენლობის შენარჩუნებითაც კი, ზოგჯერ სხვა შინაარსს გამოხატავს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რიგ შემთხვევებში, ისტორიული ერთეულები ომონიმურია თანამედროვე ფრაზეოლოგიური ერთეულებისა ან შეესაბამება ცვლად სიტყვათშეერთებებს. ასეთ ისტორიულ ერთეულთა დეკოდირება შეუძლებელია ისტორიული კონტექსტების ცოდნის გარეშე. ზოგიერთი ისტორიული ფრაზეოლოგიური ერთეული გასაგებია ენის თანამედროვე მატარებლებისათვის, რადგან მათში შემონახულია ის სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელები, რომელთა მიხედვითაც ისინი შეიქმნა. ასევე დიდ ინტერესს იწვევს ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც შემორჩენილია დღემდე, თუმცა მათი მნიშვნელობა სრულიად შეცვლილია ან დაკარგულია ძველი მნიშვნელობებიდან ერთ-ერთი. როგორც ჩანს, არცთუ ისე შორეული ეპოქის დროინდელ ისტორიულ ფრაზეოლოგიზმთა სწორი გაგებაც გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, რის დეკოდირებაშიც გვეხმარება ფრაზეოლოგიური ლექსიკონები.

ამგვარად, ისტორიულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შესწავლა, სახელდობრ კულტუროლოგიური ასპექტით, წარმოადგენს თანამედროვე ფრაზეოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებას.

**Giorgi Kuparadze, Tsiuri Akhvlediani**

### **Decoding Peculiarities of French and English Historical Phraseologisms**

The phraseological layer of a language is distinguished by its conservative and continuous updating tendencies. The process of narrowing of old phraseological units and the emergence of the new ones is one of the interesting and important aspects of the study of phraseology. The evolution of the corpus of any language phraseology is invisible to the speakers of this language, but turns up to be the object of the linguists' constant attention. The process of disappearance of old phraseological units from the lexical stock and the emergence of the new ones, is one of the universal laws of the phraseological level of any language. To convince ourselves in this thesis, it is enough to contrast such phraseological units that belong to the same historical stage of language evolution, but the time difference is 250-300 years.

We have focused on the fact that one part of the phraseological units of the XVII-XVIII centuries, for some reason, is not clearly understandable for contemporary language bearers, and the other part, even preserving its own material composition, sometimes expresses other content. In other words, in some cases, historical units are omonimyc to modern phraseological ones or correspond to variable word-combinations. Decoding of such historical units is impossible without any profound knowledge of historical contexts. Some



historical phraseological units are understandable for the contemporary language bearers, because in them, there are structural-semantic models according to which they have been formed.

A special attention should be paid to the phraseological units that have been survived to the present day, although their meaning is altered or one of the old meanings has been lost. Apparently, the correct understanding of the historical phraseologisms of the time of the nearest distant epoch seems to be related to certain difficulties, in the decoding process of which the phraseological dictionaries contribute a lot too.

Thus, the study of historical phraseological units, as well as their cultural-aesthetic aspect, is one of the perspective directions of modern phraseology.

## ფატი შეყლაშვილი

### ახალგაზრდული ორგანიზაციები გერმანიაში XX ს-ის 90-იან წლებში

ახალგაზრდობა, როგორც გარკვეული სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფი, თავისი ღირებულებებით, ინტერესებით, ინოვაციურობით, სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებებით, კონკრეტულ ისტორიულ მომენტში განსაზღვრავს ნებისმიერი სახელმწიფოს სოც-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების ხასიათს.

1989-1990წწ. გფრ-ის და გდრ-ის ახალგაზრდები გახდნენ მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის, გერმანიის გაერთიანების პროცესის უშუალო მონაწილეები.

1990წ. გფრ-ის პრეზიდენტთან გამართულ შეხვედრებში დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილის ფედერალური მინისტრებიდან ათასობით ახალგაზრდის მიწვევა იყო არა, უბრალოდ, პროპაგანდისტული მანევრი, არამედ სახელმწიფოებრივი მშენებლობის საკითხებში გერმანელი ახალგაზრდების ადგილის და როლის გაცნობიერების მყარი მტკიცებულება.

დღეისათვის მრავალი ახალგაზრდული ორგანიზაცია, სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ინსტიტუტი მუშაობს ახალგაზრდებთან და უწევს ყოველმხრივ დახმარებას, დაწყებული პოლიტიკური განათლებით, დამთავრებული საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებით. გერმანული ახალგაზრდული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა განსაკუთრებით გაიზარდა გერმანიის გაერთიანების პროცესში, როცა მწვავედ დაისვა ახალგაზრდების გადამზადების, კვალიფიცირების, დასაქმების საკითხები. აღმ. გერმანელ ახალგაზრდებს დასავლელ თანატოლებთან ერთად უნდა გადაეჭრათ ახალი, მანამდე უცნობი პრობლემები.

გერმანიის პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომელი ახალგაზრდული ორგანიზაციების („ახალგაზრდობის პარტიულ-პოლიტიკური კავშირი“, „ახალგაზრდა დემოკრატები“, „გერმანიის ახალგაზრდობის კავშირი“ და სხვ.) თანაბრად, რომელთა საპროგრამო დოკუმენტებშიც ჩამოყალიბდა ახალგაზრდებისთვის ეკონომიკურ-პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ხელშეწყობის პირობები, რათა ინტეგრაცია ყოფილიყო ნაკლებმტკივნეული, 90-იან წლებში გაფართოება დაიწყო გერმანელი და უცხოელი ახალგაზრდების თანამშრომლობის ქსელმა და არასამთავრობო ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა: გერმანიის ქრისტიანულ-ახალგაზრდული კავშირი (Christlicher Jugendverband Deutschlands), გერმანიის ახალგაზრდა კათოლიკეთა კავშირი (Bund der Deutschen Katholischen Jugend), ბავშვებისა და ახალგაზრდების კულტურული განვითარების კავშირი (Bundesvereinigung Kulturelle Kinder- und Jugendbildung), საერთოგერმანული სტუდენტთა სპორტული კავშირი (Allgemeiner Deutscher Hochschulsportverband), გერმანიის ახალგაზრდული წრე (Deutscher Bundesjugendring), გერმანელი ახალგაზრდების სიცოცხ-

ლის ხსნის საზოგადოება (Jugend der Deutschen Lebens-Rettungs-Gesellschaft) და სხვ. ისინი მოიცავდნენ საზოგადოების ყველა სფეროს და, პრაქტიკულად, გავლენას ახდენდნენ სახელმწიფო ორგანოების მუშაობაზე ახალგაზრდული პოლიტიკის საკითხებში.

პროგრესული ორგანიზაციების გარდა, არსებობდნენ არაფორმალური, რადიკალურ-ექსტრემისტული ახალგაზრდული ორგანიზაციებიც, რომლებიც სჩადიოდნენ დანაშაულს იდეოლოგიური, პოლიტიკური, რასობრივი, ეროვნული, რელიგიური მოტივით და წარმოადგენდნენ მაღალი რისკის ზონას. სახელმწიფო ყოველმხრივ ცდილობდა მათი საქმიანობების აღკვეთას.

ახლად გაერთიანებული გერმანიისთვის ყველაზე გარდამტეხ 90-იან წლებში, როცა ქვეყნის ორივე ნაწილის ახალგაზრდობა გადიოდა ინტეგრაციის და ღირებულებების გადაფასების ურთულეს გამოცდას, გერმანიის პროგრესულმა ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა, ტოლერანტობის, პლურალიზმის და სოლიდარობის პრინციპების დაცვით, შეასრულეს უდიდესი როლი დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებაში.

## სოფიო ჩხატარაშვილი

### ნიკოლოზ ბარათაშვილის რეცეფცია მიკოლა ვინგრანოვსკის პოეზიაში

ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის თარგმნის ტრადიცია უკრაინული მწერლობის ისტორიაში მე-19 საუკუნის ბოლოდან იღებს სათავეს. მეოცე საუკუნეში იგი განსაკუთრებით აქტიური და ნაყოფიერია. მეოცე საუკუნეში მოღვაწე უკრაინელი მწერლები თარგმნიან ქართული ლიტერატურის როგორც კლასიკოს მწერლებს, ასევე თანამედროვე ქართულ პოეზიასა და პროზასაც.

ქართული რომანტიზმის ყველაზე ახალგაზრდა წარმომადგენლის, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიით უკრაინელი პოეტები ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში დაინტერესებულან. პავლო გრაბოვსკის უთარგმნია: „ჩემი ლოცვა“, „მიკოლა ბაჟანს“, „შემოღამება მთაწმინდაზე“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „მეფე ირაკლის საფლავი“; ივან კულიკს „ხმა იდუმალი“, „ღამე ყაბახზე“, „ქართლის ბედი“.

მეოცე საუკუნეში საბჭოეთის სივრცეში ლიტერატურული მოვლენები მეტ-ნაკლებად საზიარო იყო.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში უკრაინაში ჩნდება შემოქმედთა ახალი ტალღა, რომელიც „სამოციანელების“ სახელით შევიდა ისტორიაში. ერთ-ერთი მათგანის, მიკოლა ვინგრანოვსკის შემოქმედებაში შეინიშნება ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიისადმი ინტერესი. მის კალამს ეკუთვნის ნიკოლოზ ბარათაშვილის ორი ლექსის – „მერანი“ და „ჩემი ლოცვა“ მ. ვინგრანოვსკისეული ვარიანტი და ერთი მიძღვნილი ხასიათის ლექსი – „ვუძღვნი ნიკოლოზ ბარათაშვილს“.

## Sophio Chkhatrashvili

### Reception of Nikoloz Baratashvili in the Poetry of Mykola Vyngranovski

The tradition of translating Georgian literary heritage dates back to the end of the 19th century in the history of Ukrainian writings. In the twentieth century it is particularly active and fruitful. Ukrainian writers working in the twentieth century translate the classical writers of Georgian literature as well as contemporary Georgian poetry and prose.

The poetry of Nikoloz Baratashvili, the youngest representative of Georgian Romanticism, Ukrainian poets are still interested in the nineteenth century. Pavlo Grabowski translates: "My Prayer" , Mykola Bazyan

"Shame on Mtatsminda", "Thinking on the Mtkvari River", "King Irakli's Tomb"; "Ivan Kulik's voice is mysterious", "Night of Baba", "Kartli's fate".

In the twentieth century, literary events in the Soviet space were more or less shared.

In the second half of the twentieth century, a new wave of creatures emerges in Ukraine in the name of "Sixties". One of them is the interest of Nikoloz Baratashvili's poetry in the works of Mikoloh Vigranovsky. His pen is owned by Nikoloz Baratashvili's verse "Merani" and "My Prayer". Vigranovsky's Variant and One Dedicated Vocabulary 'I dedicate Nikoloz Baratashvili.

## ლელა ციხელაშვილი

### ანისის „ქართული ეკლესიის“ კათალიკოს-პატრიარქ ეტიფანეს წარწერის (1218 წ.) ენობრივი თავისებურებანი

ანისის „ქართული ეკლესიის“ ამჟამად დანგრეულ სამხრეთ ფასადზე ამოკვეთილი იყო სამი ვრცელი, თარიღიანი ქართული ასომთავრული წარწერა, რომელთაგან სამივეს სამართლებრივი საბუთის მნიშვნელობა ჰქონდა. მოხსენებაში განხილული იქნება მათგან ერთ-ერთის, კათალიკოს-პატრიარქ ეტიფანეს წარწერის (1218 წ.) ენობრივი თავისებურებანი, რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მისი შემსრულებლის ენობრივ კომპეტენციაზე.

ეტიფანეს წარწერა სომხეთში დაცული ყველაზე ვრცელი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლია, შედგება ოცი სტრიქონისგან და წარმოადგენს ანისის ქალკედონიტიური თემის სასულიერო და საერო პირთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრას. წარწერის ტექსტს ბოლოში ერთვის ანისის სომეხი ეპისკოპოსის, გრიგოლისა, და ქალაქის ამირას, ვაჰრამის, ერთსტრიქონიანი დამტკიცება სომხურ ენაზე, შესრულებული ერკათაგირით. აღნიშნული ეპიგრაფიკული ძეგლი სამეცნიერო წრეებისათვის ხელმისაწვდომი გახდა ნ. მარის წყალობით, რომელმაც გამოსცა იგი (1910 წ.) და თან დაურთო წარწერის ფოტოსურათიც. სწორედ ამ უკანასკნელმა გაგვიადვილა წარწერის ენობრივ თავისებურებებზე დაკვირვება.

ეტიფანე კათალიკოსის წარწერის ორთოგრაფიულ თავისებურებას წარმოადგენს /ჟ/ ფონემის გამოხატვა ცალფა გრაფემით, ოდენ ო-თი (მაგ., *ოსასყიდლოდ* [1:6]) და ჯ-ს გამოუყენებლობა სიტყვების დაწერილობაში (გარდა რიცხვითი მნიშვნელობისა), მის ნაცვლად ისევ ო გრაფემით გამოხატული უ-ს არსებობა (მაგ., *იყოს* [1:1]). შეინიშნება დამავალი

დიფტონგის მონოფტონგიზაციის შემთხვევები, რაც უკვე ძველ ქართულშივე დასტურდება („...სასჭურო საღმრთოთა მცნებათაჲ“ [15:8]).

ინტერესს იწვევს წარწერის მორფოლოგიური თავისებურებანიც. მაგ., I შედეგობითის წარმოებაში, როგორც დაბოლოების, ისე საყრდენი თემის თვალსაზრისით, წარწერის ენა არქაულობას ავლენს, რაც ტექსტის სასულიერო ხასიათით უნდა აიხსნას (I შედეგობითის მწკრივის ფორმა ტექსტში სულ ხუთჯერაა გამოყენებული, აქედან სამჯერ ძველი ნორმაა გატარებული და ფორმები -იეს დაბოლოებას გამოავლენენ (მიგიღ[ებ]იეს [1:5], გიცემიეს [2:5], მომიცემიეს) [3:7]), ხოლო ორჯერ - -ია დაბოლოებას: დამინერია [16:6], ნაგ[ი]ლია [17:12]). ტექსტში შეინიშნება მორფოლოგიური ხასიათის შეცდომებიც: ბრუნვის ნიშნის არასწორად გამოყენება (მაგ., „...ასისსა ტფილურისა მიეცეს...“ [8:6], შდრ.: ასისა; „ოდეს ანის ეკლესიანი ვაკურთხენ“ [16:7], შდრ.: ანისს), დარღვევები პირის ნიშანთა გამოყენებაში (გარდაჯდებით [5:4]...) და სხვ.

სინტაქსური თვალსაზრისით შეინიშნება რიცხვში შეთანხმების დარღვევა („ან სასონო ჩემო ანელნო ხუცესნო...“ [4:6]), სიახლეა მართული მსაზღვრელის უსაფრცობოდ წარმოდგენა („...ნუცა გარდაჯდებით მოციქულთ მცნებასა“ [5:5]), თუმცა, იმავდროულად, ტექსტის ენა ამ უბანში არქაულობასაც ავლენს და ანთროპონიმით გამოხატული მსაზღვრელისთვის მიცემითში ბრუნვისნიშნის ფორმას გვიჩვენებს (ეტიფანეს კათალიკოზსა [15:13-16:1]), ნაცვლად გამარტივებული „ეტიფანე კათალიკოზსა“ შესიტყვებისა.

წარწერის ენისთვის დამახასიათებელია ასოების გამოტოვება-კლება როგორც ინლაუტში (ჯერ-ა[რ]ს [3:10], [ს]იყ[უ]აროლი [15:1], გიყ[უ]არდენ [13:7]...), ისე აუსლაუტში (მომიცემიეს) [3:7]...). გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია ვისაუბროთ არა მექანიკურ შეცდომებზე, არამედ დიალექტიზმების არსებობაზე (საღთოჲ [1:3], სასჭურო [15:8]...). შეინიშნება სიტყვის უჩვეულო შემოკლება (კ~ლი:კ~ზ: [16:2] „კათალიკოზსა“), ქარაგმის ნიშნის არარსებობა (მა [3:1] „მაღლსა“) და სხვ.

ეპიგრაფიკული ძეგლის ენობრივი თავისებურებების გათვალისწინებით მისაღები ჩანს მოსაზრება, რომ წარწერის შემსრულებელი პირი, რომელსაც ეტიფანე კათალიკოსის ხელნაწერი დოკუმენტი ქვაზე უნდა აღებეჭდა, არ უნდა ყოფილიყო ქართულის კარგად მცოდნე.

**Lela Tsikhelashvili**

### **The Linguistic Peculiarities of Anisi „Georgian Church“ Inscription (1218) by Catholicos-Patriarch Etiphane**

Three Georgian inscriptions in Mrgvlovani alphabet were made on the currently ruined South facade of Anisi „Georgian Church“. The paper analyzes the linguistic peculiarities of one of these inscriptions, made in 1218, based on the document written by Catholicos-Patriarch Etiphane. The inscription is made in Mrgvlovani alphabet. It consists of twenty lines and defines the rights and obligations of the clergy and laymen of the Chalcedon community of Anisi. The above-mentioned epigraphic source became available for scientific circles thanks to N. Marr, who published it in 1910 and appended it with the photograph of the inscription. This photograph facilitated the observation and study of the linguistic peculiarities.

Out of the orthographic peculiarities of the inscription made by Catholicos-Patriarch Etiphane, mention should be made of the following: the phoneme /u/ is expressed by a single grapheme **o**, the grapheme **ჟ** is not used in the spelling of words, it only denotes a number. Instead of it, in words, **u** is used, which is expressed by the grapheme **o**.

The morphological peculiarities of the inscription are of great interest, namely, in certain cases the case marker is wrongly used, there is incorrect use of personal markers, there are archaic forms of the perfect tense, which must be conditioned by the religious nature of the text (the perfect tense form is used in the text five times. Out of these, old norms are used thrice and the forms have **-ies** ending, whereas twice the ending **-ia** is used).

The syntactic peculiarities include the violation of the number agreement rule, the use of attribute in the genitive case without suffix **-a** and so on.

Another peculiarity of the inscription is the omission of certain graphemes both in the inlaut and the auslaut. In certain cases, this may be qualified not as mechanical errors, but as dialectal forms.

Taking into account the linguistic peculiarities of the above-mentioned epigraphic source, it is highly probable that the person who carved the manuscript of Catholicos-Patriarch Etiphane on the stone did not have sufficient knowledge of the Georgian language.

## ნინო წერეთელი

### ფოტოხელოვნება და ლიტერატურა: ნაპელბაუმები

ცნობილი ფოტოხელოვანის მოსე ნაპელბაუმის ოჯახში სამი პოეტი აღიზარდა – იდა (1900-1958), ფრედერიკა (1901-1958) და ლილია (რახილი) (1916-1988). იდა და ფრედერიკა ნ.გუმილიოვის სტუდიის გამორჩეული წევრები გახდნენ. 1921 წელს გუმილიოვის მოსწავლეებმა შექმნეს თავისი პოეტური გაერთიანება „ზვუჩაშჩაია რაკოვინა“ (წკრიალა ნიჟარა), რომლის პოეტური მუზა ფრედერიკა ნაპელბაუმი გახდა. მათ ამავე სახელწოდების ალამანახიც გამოსცეს 1922 წელს. ფოტოხელოვანი ნაპელბაუმი თავის ქალიშვილებთან ერთად ქმნიდა ფოტოხელოვნების შედეგებს, ხოლო ამ პერიოდის პეტროგრადის ლიტერატურული ცხოვრება მჭიდროდ არის დაკავშირებული ნაპელბაუმების სახელთან.

## Nino Tsereteli

### Photography and Literature : the Nappelbaums

Three poets - Ida Nappelbaum(1900-1992), Frederika Nappelbaum(1901-1958) and Rakhil Nappelbaum (1916-1988) were born in the family of outstanding portrait photographer - Moisei Nappelbaum. In 20s Ida and Frederika enrolled in the poetry studio "Sounding Seashell", which was led by the poet Nikolai Gumillev. Nappelbaum's family, was deeply involved in the cultural and avant-garde circles in Saint Petersburg and Moscow. Following father's example, Ida and Frederika tried their hand in photography. Many of the photos made by Moisei Nappelbaum's daughters demonstrate innovations and experiments in Photography.

## ლელა ხაჩიძე

### კოზმა იერუსალიმელი – „ვნების შვიდეულის საგალობლები“

ვნების შვიდეული ლიტურგიკული წლის ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდია. ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის რეფორმატორებმა – იოანე დამასკელმა და კოზმა იერუსალიმელმა ცნობილი საგალობლები მიუძღვნეს მას.

ვნების შვიდეულისათვის წმინდა კოზმამ შექმნა ხუთი „სამსაგალობელი“, რომლებიც შეიცავს მოკლე აკროსტიკებს. ყველა ეს საგალობელი შექმნილია შესაბამისი დღეებისათვის იერუსალიმური სისტემით დანესებული სახარების საკითხავების მიხედვით.

ვნების შვიდეულისათვის განკუთვნილი წმ. კოზმას თითოეული საგალობელი რამდენჯერმე ითარგმნა ქართულად. ნაშრომში განხილულია ქართულ ენაზე მათი თარგმნის ისტორია.

## Lela Khachidze

### Kosmas of Jerusalem - "Hymns of the Holy Week"

Holy Week is the most important period of the liturgical year. The reformators of byzantine hymnography - John Damascene and Kosmas of Jerusalem created famous hymns for it.

For Holy Week Saint Kosmas composed five "Three - ode" hymns which contain short acrostics. All these hymns are created to the Gospel readings established by Jerusalem system for relevant days.

Each of St. Kosmas "Three - odes" intended for chanting during Holy Week was translated into Georgian several times. The issue deals with the history of their translations into Georgian language.

## ზაზა ხინთიბიძე

### კლასიკური ტრადიციის პაროდირებული ალუზია, როგორც კომპოზიციური ფუნქცია რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“

მოხსენების პირველ ნაწილში გამოვლენილია ანტიკურობის რეცეფციის ერთი შემთხვევა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“. მოხსენების ავტორის აზრით, პოემის თავში - „თათბირი ტარიელისა“ – ფიქსირდება კლასიკური ტრადიციის, კერძოდ, ჰომეროსისეული ტროის ხის ცხენის პაროდირებული ალუზიის შემთხვევა.

მოხსენების მეორე ნაწილში ზემოაღნიშნული ალუზიის კომპოზიციური ფუნქციაა გამოვლენილი.

**Zaza Khintibidze**

### **The case of a Parodic Allusion to the Classical Tradition, as a Function of the Composition in “The Man in a Panther Skin” by Rustaveli**

In the first part of the paper a new case of the allusion to the Classical Tradition is identified in “The Man in a Panther Skin” by Rustaveli. According to the author of the paper, one of the chapters of the epic poem with the title “The Council of Tarieli” reveals the parodic allusion to the Trojan wooden horse, the best known from the Homeric epic.

In the second part of the paper the function of the above-mentioned parodic allusion is analysed from the point of view of composition of the poem.

#### **ლალი ქეცბა-ხუნდაძე**

### **ეპისტოლური დისკურსის ზოგიერთი თავისებურების შესახებ ლინგვისტიკის პერსპექტივიდან**

გერმანელი მწერლების პირადი წერილები ცალკეულ ადრესატებთან უმეტესწილად იმდენად მაღალი ესთეტიკური ღირებულებისაა, რომ ისინი ხშირად პუბლიცისტური, მხატვრული ლიტერატურის ზღვარზე ან მათ ნაზავს წარმოადგენს.

მოხსენების მიზანია, დავადგინოთ გერმანელი მწერლების წერილების რეფერენციული ინტერტექსტუალობის სივრცე, როგორც ჰიპერტექსტი, რომელიც შესაძლოა გამოვლინდეს ავტორის ინტენციის ინფორმაციული და კონცეპტუალური რეალიზაციიდან ადრესატების სავარაუდო პრე- ან პოსტტექსტების გათვალისწინებით. ამისთვის, ერთი მხრივ, უნდა დადგინდეს ე.წ. სისტემური რეფერენციული მიმართება ანუ ტიპოლოგიური ინტერტექსტუალობა, რომელიც გულისხმობს ცალკეული წერილის ტექსტის მიმართებას თვით ტექსტის ტიპთან ანუ სახეობასთან /ნიმუშთან; მეორე მხრივ კი, მიმართებით ინტერტექსტუალობას – ანუ ცალკეულ ტექსტთან მიმართებას, რომელიც ცალკეულ ტექსტებს შორის მიმართებებით წარმოიქმნება მოსალოდნელ და წინამავალ ტექსტებს შორის. სწორედ ამ სახით განისაზღვრება მონოლოგიური სახის ტექსტების დიალოგიურობა ან ე.წ. „დიალოგიზებული მონოლოგი“, რაც ხორციელდება ეპისტემური ანუ მოცემული კონკრეტული ტექსტის ადრესატის/ რეციპიენტის ცოდნაზე მიმართებით.

სხვადასხვა სახის ინტერტექსტუალური მიმართებები წერილობით ფორმაში განხორციელებულ განსაკუთრებულ საკომუნიკაციო გარემოში, სადაც კომუნიკანტები ერთმანეთისგან ადგილისა და დროის მიხედვით სხვადასხვა პირობებში იმყოფებიან, საშუალებას გვაძლევს, საერთო ჯამში, ვისაუბროთ წერილების კორპუსის დისკურსულ ინტერტექსტუალობაზე და ავტორის მიმონერა კონკრეტულ ადრესატთან ეპისტოლურ დისკურსად მივიჩნიოთ. ამასთან, ჩვენ ვეყრდნობით დისკურსის მიშელ ფუკოსეულ გაგებას, როგორც გამონათქვამების რაო-

დენობას, რომლებიც „მსგავს ფორმაციულ სისტემას მიეკუთვნებიან (ფუკო 1981) და მისი გერმანელი მიმდევრის, დიუსელდორფის დისკურსის სკოლის შემქმნელი დიტრიხ ბუსეს მოსაზრებას, რომ ტექსტები ერთ დისკურსში ექსპლიციტური და იმპლიციტური მითითებებით უკავშირდებიან ერთმანეთს და ინტერტექსტუალურ დისკურსულ კავშირს ქმნიან. ჩვენს მოხსენებაში ინტერპრეტაციის ძირითად ერთეულებს წარმოადგენენ ცალკეული წერილების ტექსტების ამონაჭრები (მიკროტექსტები), რომლებიც ავტორისა და ადრესატის ინტენციების მატერიალურ განხორციელებას წარმოადგენენ და, ამდენად, ფორმაციულ, დისკურსულ პრაქტიკაში არიან ჩართულნი. დისკურსის ცნობილი თეორეტიკოსების, ინგო ვარნკესა და იურგენ შპიტცმიულერის მიერ შემოთავაზებული უახლესი დისკურსლინგვისტური მრავალფენიანი ანალიზის DIMEAN (Diskurslinguistische Mehr-Ebenen-Analyse) მეთოდით ჩატარებული კვლევის შედეგად უნდა გამოვლინდეს ეპისტოლური დისკურსის ლინგვისტურ-დისკურსული თავისებურებების ვალიდურობა.

**Lali Ketsba-Khundadze**

### **Some Peculiarities of the Epistolary Discourse from the Linguistic Perspective**

Personal correspondence of German writers is largely characterized by high aesthetic value and therefore, can be considered to be on the verge of publicism, even literary fiction or a combination of both.

The goal of the paper is to identify the space of referential intertextuality viewed as a pretext, which can be revealed through the informative and conceptual expression of the author's intention based on pre- or post-texts. For this, on the one hand, a systemic reference or the so-called typological intertextuality should be established that involves the connection of a particular letter to the text type, i.e. to the type / sample of the text; on the other hand, relative intertextuality should be established, which implies the interconnections between individual texts derived from the precedent and expected texts. In this way, the dialogism of monologue-type texts is determined, or the so-called "Dialogized Monologue", based on the addressee's / recipient's knowledge of the epistemic or given specific texts.

Various types of intertextual relations presented in the form of written communication in special environments, where communicants are located in different times and places, enable us to talk about the overall corpus of intertextual discursive letters and consider the author's correspondence with a specific addressee as epistolary discourse. At the same time, we rely on Michel Foucault's understanding of the discourse, as a number of expressions which "belong to the similar formation system" (Foucault 1981) and the theory of Dietrich Busse, founder of Dusseldorf discourse School according to which texts within one and the same discourse characterized by implicit and explicit references are related to each other and make up an intertextual discourse.

The main units of interpretation in our paper are extracts from the letters (micro-texts) by Mann that are material implementations of the author's and the addressee's intentions and are thus involved in formational and discourse practice. The research conducted based on DIMEAN (Diskurslinguistische Mehr-Ebenen-Analyse) method of the latest advanced discourse analysis introduced by well-known discourse theorists Ingo Warnke and Jürgen Spitzmüller, determines the validity of the linguistic-discursive characteristics of epistolary discourse.



## ქეთევან ხუციშვილი

### არაფორმალური სავაჭრო ურთიერთობები და სოციალური კავშირები თბილისის მაგალითზე

საქართველოს ტერიტორიაზე ძველთაგანვე გადიოდა დიდი სავაჭრო გზები, რომლებიც ეკონომიკურ ინტერაქციას, საქალაქო ცხოვრების გააქტიურებას, სხვადასხვა სახის სოციალური კავშირების ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს. ალებ-მიცემობა, ბაზრობები, სავაჭრო ურთიერთობები საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა და გარკვეულ ფორმებს იღებდა დროის შესატყვისად.

ტრადიციული სავაჭრო ურთიერთობების სრულად აღმოფხვრა საჭოთა პერიოდის გეგმიური ეკონომიკის პირობებშიც ვერ განხორციელდა. ქალაქისა და სოფლის ურთიერთობის ერთ-ერთ ფორმად დარჩა გლეხების მხრიდან ქალაქის აგრარული პროდუქტებით მომარაგება. ამ ურთიერთობის ერთ-ერთ სახეს ცალკეული გლეხების ქალაქის კონკრეტულ რაიონებში საკუთარი პროდუქტის რეალიზება წარმოადგენდა.

მოსხენებაში განხილული იქნება ქ. თბილისის ზოგიერთი უბნის, მის შემოგარენთან სავაჭრო ურთიერთობის ეს ფორმა. ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე გაანალიზებულ იქნება ვაჭრობის ამ სახის საფუძველზე სოციალური ქსელების ფორმირების, მათი მნიშვნელობისა და ტრანსფორმაციის პროცესები.

## Ketevan Khutsishvili

### Informal Trade Relations and Social Networking on the case of Tbilisi

Georgian cities were founded on the crossroads of trade routes and were serving as meeting points for representatives of various ethnic groups. This stimulated the formation of specific trade relations and forms. Even under Soviet command economy the traditional modes of behaviour have not been totally exterminated, the peasants were coming to the cities and informally selling their products. Different city districts of Tbilisi were thus connected to the nearby countryside. The peasants were selling mainly milk products and seasonally honey, traditional sweets, species, or fruits and vegetables. Trust was the most important factor in their exchange relationship with clients. The peasant's activity continued after the collapse of the Soviet Union. This paper gives an overview over this activity, the establishment of social networks in its context, and its adaptation to transformation processes. It discusses the question why informal networks are still meaningful and sometimes more important than other - new - trade structures.

## ნათელა ჯაბუა

### ოდა-სახლის არქიტექტურული სტრუქტურის გააზრების ზოგიერთი ასპექტი

ოდა-სახლი საცხოვრისის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტიპს წარმოადგენს საქართველოში. მისი არქიტექტურული სტრუქტურა საკმაოდ მარტივია. ის წარმოადგენს ხის ერთსართულიან, ვენტილაციის მიზნით ქვის ბოძებზე დაფუძნებულ ანდა ორსართულიან, ქვედა ქვის და ზედა ხის ე.წ. პალატიან ნაგებობას. მისი გეგმარება სწორკუთხაა და ხშირად კვადრატს არის მიახლოებული. გადახურვა, როგორც წესი, ოთხფერდაა. სახლი ყავრით ან კრამიტით არის დაბურვილი. ოდა-სახლის ყველაზე სახიერ ნაწილს წარმოადგენს აივანი, რომელსაც მრავალფუნქციური დატვირთვა აქვს და ძალზე მეტყველ, დახვეწილ მხატვრულ სახეს ქმნის. გეგმის სიმარტივის მიუხედავად, ოდა-სახლის არქიტექტურულ სტრუქტურაში სხვადასხვა პრობლემური გამონკვევების ბევრი ასპექტი ზუსტად არის გააზრებული. გეოგრაფიულ-კლიმატური თავისებურებების მაქსიმალურად გათვალისწინება და საშენი მასალის რესურსის ეფექტური გამოყენება, დაგეგმარების თუ ოთახების რაოდენობის ვარიანტების სიმრავლე, კონსტრუქციული მდგრადობა და მობილურობა, კარ-მიდამოსა და, ზოგადად, გარემოსთან ორგანული კავშირი ოდა-სახლის ძირითად მახასიათებლებად გვევლინება.

ოდა-სახლის არქიტექტურულ-მხატვრულ გამომსახველობას უპირატესად აივანი განსაზღვრავს. აივნის შემკულობა, ნაირგვარი ორნამენტული მოტივები, ნაგებობის ერთიანი აღქმისას აყალიბებს მის მხატვრულ სახეს. მეორე მხრივ, უშუალოდ აივანზე მყოფთათვის ჭვირული დეკორის მთელი სისტემა ლანდშაფტის და, ფართო გაგებით, გარე სამყაროს მოჩარჩოებად აღიქმება. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ოდა-სახლიდან დანახული „ქვეყანა“ განსაკუთრებულ სურათ-ხატად წარმოჩნდება.

გარე სამყაროსადმი ამგვარი გახსნილობა ოდა-სახლის არსებითი მახასიათებელია. ის არა მარტო მიესადაგება გარემო პირობებს, არა მხოლოდ ერწყმის ლანდშაფტს, არამედ იხსნება გარემოში აივნის მეშვეობით. სწორედ აივანია ბუნებასთან დამაკავშირებელი რგოლი, ერთგვარი სამშვენისი და, ამავდროულად, ოდა-სახლიდან სამყაროს აღქმის არეალი. აღსანიშნავია, რომ ძველ საქართველოში სოფლის საცხოვრებელში, ოდაში, დამუშავებულმა ამ თემამ მეცხრამეტე საუკუნის ურბანულ განაშენიანებაში შესაბამისი ცვლილებები განიცადა და ქალაქური აივნისანი სახლის უაღრესად საინტერესო არქიტექტურული სახე შექმნა.

ოდა-სახლი არქიტექტურული სტრუქტურის გამართულობით და ვარიანტების შემუშავების შესაძლებლობების სიმრავლით ხასიათდება. ის ფუნქციონალური და იდეურ-მხატვრული საკითხების ძალზე რაციონალური და ეფექტური გადანყვეტის შესანიშნავი ნიმუშია, რომლის კონცეფცია ღრმა სიმბოლურ გააზრებაზეა დაფუძნებული. ოდა-სახლის გამორჩეული მახასიათებლები, როგორცაა მისი კონსტრუქციების მობილურობა, დაშლა-ანყობის შესაძლებლობა, ასევე, არქიტექტურული ფორმების განსხვავებული მხატვრული სტილების შესაბამისად მოდიფიკაცია, ძველი საქართველოს საცხოვრებლის ამ ტიპს თანამედროვე ყოფაში ახალ მოთხოვნებთან ადაპტაციის და შემდგომი განვითარების ფართო პერსპექტივას უქმნის.

## Natela Jabua

### Some Aspects of Insight of the Oda House Architectural Structure

Oda House is one of the most important types of dwellings in Georgia. Its architectural structure is quite simple. It is a wooden one-story building based on stone poles for ventilation, or a two-storied building with lower stone and upper wooden the so-called chamber construction. Its plan is rectangular, often nearly square-type. The roof usually has four sloping surfaces. The house is covered with roof lath or tiles. The most representational part of Oda is a balcony which is multi-functional and creates a very expressional and sophisticated artistic image. Despite the simplicity of its plan, many aspects of various problematic challenges are precisely thought out in Oda House's architectural structure. Focus on geographical and climatic peculiarities and effective use of building material resources, a multitude of options in respect of planning or number of rooms, constructive sustainability, and mobility, close association with the household and the environment, in general, are the main features of Oda.

The Oda House architectural and artistic expression is mainly defined by its balcony. The decoration of the balcony with some ornamental motifs creates artistic image of the house while the overall perception of the structure. Such openness to the outside world is an essential feature of Oda, which not only fits in the outward conditions and blends in the landscape but opens to the environment with the aid of the balcony. The balcony is a link to nature, a kind of adornment and at the same time an area to perceive the world from Oda. It is noteworthy that this topic elaborated in the old Georgian rural dwellings had undergone significant changes in the nineteenth century's urban development and created a very interesting architectural appearance of a civic house with balcony.

Oda is characterized by the orderliness of architectural structure and the possibility of developing various options. It is an excellent example of a very rational and efficient solution of functional and idea-driven artistic issues, the concept of which is based on a deep symbolic interpretation. The Oda House's distinguishing features, such as the mobility of its components, the possibility of its assembling and disassembling, as well as the modification of the architectural shapes in different artistic styles, provides for this type of old Georgian dwellings a wide perspective for adaptation with new requirements of modern life and further development.

## ნიკოლოზ ჯავახიშვილი

### ეტიუდები ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიიდან

ნარკვევში წარმოდგენილია დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებლის, აკადემიკოს ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილის (1876-1940) ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი რამდენიმე ეპიზოდი, რომლებიც დღემდე ან ნაკლებად იყო ცნობილი, ანდა უცნობი რჩებოდა.

აღნიშნული მნიშვნელოვანი ინფორმაცია დაცულია როგორც საქართველოს და რუსეთის სახელმწიფო არქივებში, ასევე ქართველ საზოგადო მოღვაწეთა და მეცნიერთა მოგონებებსა ეპისტოლურ მემკვიდრეობაში.

აქვე პირველად ვაქვეყნებთ სანკტ-პეტერბურგის ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულ რამდენიმე დოკუმენტს, რომლებიც ჩვენ მოვიძიეთ და ქართულ ენაზე ვთარგმნეთ.

## **NikoLoz Javakhishvili**

### **Essays from the history of life and activities of Ivane Javakhishvili**

The article presents the unknown and little-known biography pages from the history of life and activities of Academician Ivane Javakhishvili (1876-1940), great Georgian scholar and public figure, founder of Tbilisi State University, now – Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

The abovementioned important information is based on the Georgian and Russian state archives, as well as on the information from the memoirs and epistolary inheritance of Georgian public figures and scientists.

We published for the first time several documents from the Saint-Petersburg Central State Historical Archive which we have personally discovered and translated into Georgia.

---

გამოცემაზე მუშაობდნენ:

დალი გერმანიშვილი

ლელა ნიკლაური

მარინა ჭყონია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი, 2019

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14  
14, Iliā Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179  
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279  
[www.press.tsu.edu.ge](http://www.press.tsu.edu.ge)



უნივერსიტეტის  
გამომცემლობა